CMYK

# საქართველოს რესპუბლიკა

კვირა, 18 ივლისი, 2004 წელი. №165 (4894) * გაზეთი დაარსებულია 1918 წელს, აღდგენილია 1990 წელს. * ფასი 50 თეთრი

◉ განცდილი

## იმღერეთ, ბიჭებო!..

**სასიამოვნო საღამო იყო, რედაქციიდან რუსთაველის პროსპექტს ფეხით გავუყევი. ქუჩაში სიმღერის ხმა შემომესმა, ბიჭების გუნდი „შავლეგოს“ მღეროდა. გამიკვირდა, ჩვეულებრივ, როგორც ყოველთვის, კაფე-ბარებიდან და მსგავსი დაწესებულებებიდან მხოლოდ თანამედროვე ტიპის მუსიკის ხმა ისმის, ხალხური კი უჩვეულოდ მომეჩვენა. ხმა სულ უფრო ძლიერდებოდა, მალე კი ხუთი ბიჭისგან შემდგარმა გუნდმა გვერდით ჩამიარა.**

მიდიოდნენ და მღეროდნენ ბიჭები ქართულ ხალხურ სიმღერას, მღეროდნენ და თითქოს ამით ხაზს უსავმდნენ თავიანთ ქართველობას, ვაჟკაცობას, ნიჭს, გენს... ამ ორიგინალურ სანახაობას ქუჩაში გამვლელები თაყვანისცემით შესცქეროდნენ, ირგვლივ ყველაფერს ხალისი და ეშხი ემატებოდა.

ამ ხმათა ჟღერადობით განცდილი სიამაყე და სიამოვნება ნებისმიერ ქართველს ჩააფიქრებდა. რა მუსიკალური სტილი ან მიმდინარეობა უნდა შეიქმნას, ისეთი, ამ მრავალხმიან გუგუნს რომ დაჩრდილავს და დაფარავს? ფიქრობ და არ შეიძლება არ ირწმუნო საკუთარი წინაპრების უდიდესი კულტურა და სულიერება, ნიჭი, რომელსაც მსოფლიო არაერთხელ მოუყვანია აღტაცებაში.

ქართული ხალხური სიმღერა, მრავალხმიანი თანწყობა თავისი მელოდიურობით და ჟღერადობით მსოფლიო შედევრია, რომლის სიყვარულმაც ბევრი უცხოელი ქართული ენის ცოდნას აზიარა. მათი შესრულებით მოსმენილ „მრავალჟამიერსა“, თუ „ჩაკრულოს“ ქართველი მსმენელიც ბევრჯერ მოუხიბლავს.

უსმენ ქართულ ხალხურ სიმღერას და გრძნობ, როგორ გეძაბება ყოველი ნაკვთი სიამოვნებისგან, იღვიძებს შენში რაღაც შეუცნობი, რომელიც უხილავი ძაფებით გაერთებს საუკუნეების წინანდელ სამშობლოს. ეს ჯადოსნობაა საკუთარი გენის შეგრძნების, ჯადოქარი კი – ქართული სიმღერა.

„შავლეგოს“ „მრავალჟამიერი“ შეენაცვლა, ხალხით სავსე ქუჩას მათი ხმა ეკლესიის ზარების გუგუნივით ეფინებოდა და მსმენელს ჭეშმარიტ ხელოვნებას აზიარებდა.

მღეროდნენ ბიჭები და თან მიჰქონდათ შექებით და სიყვარულით სავსე ხალხის მზერა.

სიმღერის შეწყვეტის შიშით, მომღერლებთან გასაუბრება ვერავინ გაბედა, თუმცა, ინტერესი დიდი იყო. ერთი რამ კი ცხადია – ისინი იმდენად კარგად და შეწყობილად მღეროდნენ, რომ ან ეკლესიის მგალობლები, ან ერთ-ერთი მუსიკალური გუნდის წევრები უნდა ყოფილიყვნენ. ქუჩაში ბევრი თაყვანისმცემელიც გაუჩნდათ, რომლებიც ჯგუფს უხმოდ, ფეხდაფეხ აედევნენ.

მღეროდნენ ბიჭები და გიჩნდებოდა სურვილი, რაც შეიძლება დიდხანს ემღერათ.

სიმღერის დასასრულის მოახლოებისას კი, შენდაუნებურად, სურვილი უხმოდ ყვიროდა – კიდევ, კიდევ იმღერეთ ბიჭებო!...

**ლელა მანაგლიშვილი.**



**მერაბ მეტრეველის** ეს უმშვენიერესი ქანდაკება, რომელიც თბილისს ამშვენებდა, სამწუხაროდ, არაკაცებმა ჯართად ჩააბარეს.

◉ ინფორმაცია

### ვიკინგები თბილისში

**გუშინ, თბილისში, თანამედროვე ვიკინგები თბილისის მერს ზურაბ ჭიაბერაშვილს მტკვარზე, მეტეხის ხიდთან შეხვდნენ.**

**როგორც "ინტერ-პრესს" მერიის აპარატში განუცხადეს, ჯერ კიდევ XI საუკუნეში, შვედეთიდან ვიკინგების რაზმი შავი ზღვით კავკასიაში შემოვიდა. რაზმს ვინმე ინგვარ ბენ ვითფარნე ხელმძღვანელობდა. როგორც ისტორიული წყაროები გვამცნობენ, ვიკინგების ეს ჯგუფი მეფე ბაგრატ მეოთხეს მტრებთან ბრძოლაში დაეხმარა.**

### ჯარების სახეობები არ შეცვლილა

**საქართველოს შეიარაღებული ძალების რეორგანიზაციის პროცესი დასრულებულია. სამხედრო მოსამსახურეთა საერთო რაოდენობა 15 ათასი კაცით განისაზღვრა. ამის შესახებ, "ინტერ-პრესს" შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის უფროსმა გივი იუკურიძემ განუცხადა.**

**მისი თქმით, უკვე შექმნილია და დამტკიცებულია ახალი შტატები, რომლის ამოქმედების შესახებ ბრძანება თავდაცვის მინისტრთან არის წარდგენილი. გენშტაბის უფროსის განცხადებით, რეორგანიზაციის შედეგად ჯარების სახეობები არ შეცვლილა, თუმცა, შტაბების რიცხოვნობა შემცირდა.**

### ბიჭვინთაში საზაფხულო უნივერსიტეტი გაიხსნა

**ბიჭვინთაში მე-3 საერთაშორისო საზაფხულო უნივერსიტეტი გაიხსნა, რომლის ორკვირიან კურსს კავკასიის სხვადასხვა რეგიონიდან 36 მსმენელი გაივლის.**

**პროგრამა საერთაშორისო ურთიერთობების, მართვის სისტემებისა და კონფლიქტთან დაკავშირებული პრობლემების განხილვას ითვალისწინებს.**

### შეხვედრა ლევ მირონოვთან

**უშიშროების საბჭოს მდივანი გელა ბეჟუაშვილი სახელმწიფო კანცელარიაში რუსეთის საგანგებო დავალებათა ელჩს ლევ მირონოვსა და რუსეთის ელჩს საქართველოში ვლადიმერ ჩხიკვიშვილს შეხვდა.**

**მათ საქართველოსა და რუსეთს შორის არსებული ყველა პრობლემა განიხილეს, რომელთა შორის იყო ქართულ-ოსური კონფლიქტის საკითხიც.**

**ინტერ-პრესი.**

## ინტერპანორამა

**პალესტინის პრემიერ-მინისტრმა ახმედ კურეიმ პირადად შეატყობინა პალესტინელ კანონმდებლებს თანამდებობიდან გადადგომის შესახებ. არაფატს მისი თხოვნა ჯერ არ დაუკმაყოფილებია. „მან სთხოვა კურეის, უკან წაეღო განცხადება და დაჰპირდა, რომ უშიშროების სამსახურში ხელახალ რეფორმირებებს მოახდენდა“, – განაცხადა პრემიერ-მინისტრთან დაახლოებულმა პირმა.**



**ერაყის დედაქალაქიდან 100 კილომეტრზე მდებარე ქალაქ რამადის სიახლოვეს შეიარაღებული ჯგუფი თავს დაესხა იორდანელ აიდ ნასირს, რომელსაც იორდანიის დედაქალაქ ამანიდან ტვირთი ბაღდადში გადაჰქონდა. თავდამსხმელებმა იგი მოკლეს და თვალები ამოთხარეს.**



◉ შევეწიოთ!

### სამების ტაძარი საუკუნის მშენებლობაა

**ტაძრის მშენებლობას შეეწივნენ:**

| | |
|---|---|
| რაისა ღოღობერიძე | – 30 ლარი; |
| ირაკლი და თეკლა გოგრიჭიანები | – 35 ლარი; |
| ლევან გოგრიჭიანი | – 35 ლარი; |
| დავით ლომინაშვილი | – 5 ლარი; |
| ლ. ბერძენიშვილი | – 10 ლარი; |
| მალხაზ ნათენაძე | – 10 ლარი; |
| აკა, ლიკა, სოფო და მარიამ მიქელაშვილები | – 15 ლარი; |
| ავთანდილ ჩუთლაშვილი | – $15; |
| მარიამ და დავით ტყეშელაშვილები | – $100. |

◉ კვირის თვალსაწიერი

## იქამდე სულის მიტანას ეხუმრები?..

**ყოველ შემთხვევაში, ერთს უტყუარად მივაღწიეთ – მშვიდობა შევინარჩუნეთ.**

**არადა, აშკარად ვიდექით ისეთივე სიტუაციის წინაშე, როგორიც აფხაზეთში გვქონდა 1992 წელს.**

**მაშინ არძინბამ დაიქადნა, ქართველებს ვაიძულებთ პირველებმა გვესროლონო.**

**და გვასროლინეს კიდეც.**

**იმ პირველ სროლას ის მოჰყვა, რომ აფხაზები უმალ ჩაგრულ, აგრესორის მიერ სასიკვდილოდ გამეტებულ ხალხად „დაკვალიფიცირდნენ“, ქართველები კი – თავდამსხმელად და ოკუპანტად.**

და უმალ გათამაშდა უტყუარი ფსონი: მარად და ყველგან ჩაგრულის შემწე რუსეთი უყოყმანოდ დაუდგა მხარში სოხუმს. და სრულიადაც არ ჰქონდა მნიშვნელობა იმას, რომ ამ ქვეყნის ოფიციალური ხელისუფლება „აღიარებდა“ საქართველოს სუვერენიტეტსა და ტერიტორიულ მთლიანობას.

მაშინ აფხაზმა სეპარატისტებმა, რაკილა „თავდამსხმელთაგან თავდამცველები“ იყვნენ, „სამამულო ომიც“ მოიგეს და, შესაბამისად, ინფორმაციული ომიც.

ქოქოითმა ამ აფხაზური ფსონის გათამაშება მოინდომა.

ის, ვინც (გასაგებია, ვინც და საიდანაც) მას მოვლენათა განვითარების ასეთი გეგმა შეურჩია, ფორმალურად სწორი იყო: ქართველები დაიწყებდნენ და წააგებდნენ, რადგან ჩაგრულთა მხარდასაჭერად უმალ აღდგებოდა დიდი, დემოკრატიული რუსეთი ჩრდილოეთ კავკასიიანად და...

ამ მიზანს ემსახურებოდა, ანუ პროვოცირების ანკესი იყო რაკეტებით დატვირთული ავტოკოლონის ვითომდა კანონიერი შემოსვლა როკის გვირაბით, ჩვენი შინაგანი ჯარის ნაწილის ტყვედ აყვანა და ქართველი ჯარისკაცების სახალხოდ დამცირება ცხინვალის მოედანზე,

იხ. მე-2 გვ.

კვირის თვალსაწიერი

# იქამდე სულის მიტანას ეხუმრები?..

(პირველი გვერდიდან)

განუწყვეტელი სროლები ქართული სოფლების მისამართით, დაბოლოს, რუსეთის სახელმწიფო სათათბიროს მიერ მიღებული განცხადება, რომელშიც დაფიქსირდა დიდი აღმოჩენა: 1774 წელს რუსეთის მფარველობაში ერთიანი ოსეთის შესვლა თავისი განუყოფელი „ჩრდილოეთი და სამხრეთი ნაწილებით". „ეს ერთი ხალხია" და რაკი „ერთი ხალხია", თავისთავად გამოდის დასკვნა: მას, მაშასადამე, ერთად, ერთ სახელმწიფოდ ცხოვრების უფლებაც უნდა ჰქონდეს.

ქოქოითმა „ზემოდან" კარნახით ისიც კი სცადა, ქართველებისთვის დაებრალებინა... ქართველებისთვის სროლა. აკი მიტინგზე განაცხადა, ქართული სოფლები უნდა დავიცვათ ქართველი კრიმინალებისგანო. მაგრამ ეუთოს დამკვირვებელთა მისიამ, რომლისთვისაც ყველაფერი ნათელი გახდა, მართალი დასკვნა დაწერა და გააგზავნა თავის მთავარ ოფისში (ამის გამო „პრეზიდენტ" ქოქოითს ეუთოს მისია არ დაენახვება).

ამრიგად, ძალიან ეცადნენ, მაგრამ ომის პროვოცირება ვერ შეძლეს, რადგან ივლისის კრიზისის ავტორ-ორგანიზატორებმა ვერ გათვალეს, რომ გუშინდელი და დღევანდელი საქართველო ცა და დედამიწასავით განსხვავდება ერთმანეთისგან; რადგან, საქართველოს დღევანდელ ხელისუფლებას მტკიცედ აქვს აღებული საქართველოს გამთლიანების, დაკარგული ტერიტორიების დაბრუნების სხვა – მშვიდობიანი კურსი (თუმცა კი საქართველოს სამხედრო პოტენციალი დღეს, გუშინდელთან შედარებით, განუზომლად დიდია).

ომი, საერთოდ, საშინელება და ტრაგედიაა, მაგრამ ორმაგი საშინელება და ტრაგედიაა სამოქალაქო ომი. შიდა ქართლი და აფხაზეთი საქართველოს ნაწილებია, იქ მცხოვრები ოსები და აფხაზები – საქართველოს მოქალაქეები (ახლა იმას მნიშვნელობა არა აქვს, რომ ამ რეგიონებში მცხოვრებთა უმრავლესობა უკვე რუსეთის მოქალაქეა).

საკუთარი მოქალაქეების წინააღმდეგ ომი ყოველთვის წამგებიანია, რომც გაიმარჯვო, მაინც დამარცხებული ხარ. განდგომილთა შემოსაბრუნებლად სხვა გზების ძიებაა საჭირო და ჩვენ ამ სხვა გზას მივყვებით – ასეთია ზოგადად საქართველოს ხელისუფლების კურსი (ამ დროს ხელისუფლება იმასაც აცხადებს, რომ იგი მზად არის საკადრისი პასუხი გასცეს ნებისმიერ გარეშე ძალას, რომელიც შეეცდება იარაღით და ცოცხალი ძალით ჩაერიოს ჩვენს შინაურ საქმეებში).

სწორი, მისაღები კურსია. ხალხი ეთანხმება მას, სწორედ ამ სისწორისათვის და არა იმიტომ, რომ ომის ეშინია. არ ეშინია. ადგილობრივი მოსახლეობა ხელისუფლების გასაგონად აცხადებს, თუ საჭირო გახდა, ჩვენი იმედი გქონდეთო.

თუმცა, სწორედ მათ იმედად ყოფნა არ არის საჭირო. მოხალისეების დრო წავიდა. დღეს საქართველოს ჰყავს თავისი შეიარაღებული ძალები (არმია, შინაგანი ჯარი და ა.შ.), რომელმაც, როცა საჭირო გახდება, თავისი მოვალეობა უნდა შეასრულოს.

რა თქმა უნდა, კრიზისის დღეებში ცხინვალთან შეცდომებიც დავუშვით, მაგრამ, მადლობა ღმერთს, არა – საბედისწერო. არც რეგიონის მოსახლეობაში იარაღი დაგვირიგებია, არც ზოგადად ოსების წინააღმდეგ რაიმე პროპაგანდისტული ომი წამოგვიწყია და არც სროლაზე სროლით გვიპასუხია. თუ ვინმეს ვაგინებთ – კონკრეტულად, მაგალითად, „პრეზიდენტ" ქოქოითს და არა ზოგადად – ოსებს (ამბობენ, ოსური მედია ქართველებს და ქართველობას მიწაში დებსო. მადლობა ღმერთს, ჩვენი თანამოკალმეების კორექტულობა, ძირითადად, მისაბაძია).




ამიტომ არის, რომ შიდა ქართლის გარეთ – საქართველოს სხვადასხვა კუთხეში მცხოვრები ოსები მხარს უჭერენ საქართველოს ხელისუფლებას, ნდობის აქციებს მართავენ – ხმამაღლა, ქვეყნის თუ ცხინვალის გასაგონად.

მშვიდობა მოვიგეთ (ჩრდილოეთიდან შემოსული ბოევიკების კრემლის ბრძანებით გაყვანითურთ), მაგრამ ზოგი მნიშვნელოვანი რამ წავაგეთ მოსკოვში, ოთხმხრივი საკონტროლო კომისიის სხდომაზე. მაგალითად, როკის გვირაბის ერთობლივად გაკონტროლების, იქ ერთობლივი საგუშაგოს შექმნის იდეა.

და მაინც, როგორც ნათლად ჩანს, დაკარგული არაფერი არ არის. ცხინვალის რეგიონის „დასალაშქრავად" სწორედ ჰუმანიტარული დახმარების და ვარდების გზაა ყველაზე მორგებული და ქმედითი. ეს გზა კი, ასე თუ ისე, კარგად აქვთ ათვისებული საქართველოს ახალგაზრდა ხელისუფალთ.

და ის, რომ ბევრი რამ (და, რა თქმა უნდა, არა ყველაფერი!) კარგად აქვთ ათვისებული, პირდაპირ ნერვებს უშლის ოპოზიციას, განსაკუთრებით მის შეურიგებელ, „ცოფიან ნაწილს", მაგალითად, ლეიბორისტებს.

ბატონ შალვა ნათელაშვილს სასაცილოდ არ ჰყოფნის ხელისუფლების პოზიცია „კონფლიქტები და სეპარატიზმი აღმოფხვრას სასუქებითა და ფქვილით".

რა თქმა უნდა, ბატონი შალვა პრობლემას ერთობ ამარტივებს და აშარჟებს ოპონენტის დასამცრობად, მაგრამ, იმავდროულად, საგანგებოდ თვალსაც იბრმავებს, თუნდაც იგივე „სასუქებისა და ფქვილის დესანტის" დიდ ქმედით მნიშვნელობაზე.

საერთოდ ლეიბორისტული პარტია, ბოლო ხანს ძალზე სწორხაზოვანი და ქრონიკული წუნია გახდა. ყველაფრის კრიტიკა, ყველაფრის დაუნახაობა იმის ნიშანია, რომ ლეიბორისტული პარტია ობიექტურობას და, შესაბამისად, მომხრეებსაც კარგავს, რაც ძალზე საწყენია: ეს პარტია ხალხს – მხარდამჭერებსაც და მოწინააღმდეგეებსაც – ეიმედებოდა, როგორც სამართლიანობისთვის მებრძოლი ძლიერი ორგანიზაცია.

ცხინვალის რეგიონის ირგვლივ ატეხილ ხმაურზე ირაკლი წერეთელსაც გამოელვიძა და მიხეილ სააკაშვილის პასუხისმგებლობის საკითხის დაყენება გადაწყვიტა, როგორ თუ თქვა, ოსეთის ავტონომიის გაუქმება სისულელე იყოო, მან ამით ქართველ ერს და მის პირველ პრეზიდენტს ზვიად გამსახურდიას შეურაცხყოფა მიაყენაო. და უზენაეს საბჭოს და მის პრემიერ-მინისტრს მანანა არჩვაძე-გამსახურდიას მოუწოდა, საქართველოში შექმნილ რთულ ვითარებაზე სამსჯელოდ უზენაესი საბჭოს სესია მოიწვიეთო.

ამასობაში, სანამ ირაკლი წერეთელი იმ სესიაზე თავის საბრალდებო სიტყვას იტყოდეს, საქართველოს ეკონომიკის მინისტრმა კახა ბენდუქიძემ 2004-2006 წლებში საპრივატიზაციო ობიექტების პირველი ეტაპის ნუსხა დაამტკიცა. მასში 372 ობიექტია, ისინი, რომლებზეც იურიდიული მუშაობა უკვე დასრულებულია და მზად არის საჯარო გაყიდვისათვის. მათი უდიდესი ნაწილი შედარებით მცირე ობიექტებია, მაგრამ ახალი გარემოებების გათვალისწინებით, პერიოდულად მოხდება ამ ნუსხის განახლება, შევსება, დაზუსტება.

შემდგომი ნუსხა 3-4 თვეში გამოქვეყნდება და ა. შ. დაახლოებით წელიწადნახევრის განმავლობაში, სანამ გასაყიდი აღარაფერი იქნება.

ეს დროც ჩამოიმარცვლება და დაგვრჩება მხოლოდ მინისტრი კახა ბენდუქიძე, რომელიც სავარაუდოდ კიდევ წელიწადნახევრის შემდეგ (როგორც თვითონვე დაგვაიმედა), უკვე აყვავებულ, ბედნიერ საქართველოს ეკონომიკის სამინისტროს ლიკვიდაციას ახარებს.

ასე რომ, პერსპექტივა არის. მთავარია, იმ დრომდე მივაწიოთ.

მაგრამ მივაწევთ?

საკითხავი აი, ეს არის!

იქამდე სულის მიტანას ეხუმრები?..

**ალეკო ასლანიშვილი.**

საგზაო პოლიცია

# ტრასას თვალი წამით არ მოშორდება

**თენგიზ აღდგომელაძე – საგზაო პოლიციის მთავარი სამმართველოს მეხუთე განყოფილების უფროსი – პოლიციის მაიორია. მანამდე კი სამცხე-ჯავახეთის სამხარეო საგზაო პოლიციის ქვეგანყოფილებას ხელმძღვანელობდა. ასე რომ, ეს საქმიანობა მისთვის ახალი არ არის. სულ ზეპირად იცის ამ ურთულესი მხარის ასავალ-დასავალი. არაფერი გამოეპარება, მიუხედავად იმისა, რომ მის „გამგებლობაშია". ბორჯომის, ახალციხის, ასპინძის, ახალქალაქის და ნინოწმინდის რაიონები.**

**– ბატონო თენგიზ, როგორც ჩანს, საკმაოდ დიდია თქვენი სამოქმედო ტერიტორია.**

– ჩვენს სამოქმედო ტერიტორიას ორი საბაჟო საკონტროლო-გამშვები პუნქტი ესაზღვრება. ერთი თურქეთის და მეორე სომხეთის, სადაც ჩვენი ინსპექტორები პატრულირებენ.

ტერიტორიის მთლიანი სიგრძე 173 კილომეტრია. მას სამი სტაციონარული საგუშაგო ესაზღვრება: ახალდაბის, რუსთავის და ორლოვკის. ეს უკანასკნელი ზამთრის პერიოდში მუშაობს სომხეთის საზღვართან. მოგეხსენებათ, აქეთ ისეთი ქარბუქი იცის, მგზავრსაც და მის ტრანსპორტსაც ერთ წუთში თოვლის საფარის ქვეშ მოაქცევს ხოლმე. მაშინ დიდი ჯაფა ადგას ჩვენს სამსახურს.

ჩვენი განყოფილება დაყოფილია სამ ოცეულად. გვაქვს ექვსი მოძრავი საპატრულო მარშრუტი და 24 საათი, როგორც იტყვიან, ტრასაზე ვართ.

**– თქვენს სამოქმედო ტერიტორიაზე ხშირია საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევები?**

– წლევანდელი ხუთი თვის განმავლობაში ჩვენს სამოქმედო ტერიტორიაზე 9 საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევა მოხდა. ამ დროს 3 კაცი გარდაიცვალა, 10 კი დაზიანდა, სამწუხაროდ, გასული წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევების რიცხვი 5 ერთეულით გაიზარდა, გარდაცვლილთა რაოდენობა – ორი ერთეულით, ხოლო დაზიანებულთა – 4 ერთეულით. მოკლედ, ტრასას თვალი არ მოშორდება...

**– ახლა, საქართველოში, ვისაც არ ეზარება, ყველა ავტომანქანის საჭეს უზის. ალბათ, მურმან-ყრუს არ უქნია ის, რაც ამ „ინომარკებმა" დამართეს საქართველოს. ალბათ, არც თქვენი მონაკვეთია გამონაკლისი...**

– ჩვენმა თანამშრომლებმა წლეულს მოძრაობის წესების დარღვევის 6614 შემთხვევა გამოავლინეს. შარშანდელი ანალოგიურ პერიოდთან შედარებით, გზებზე მოძრაობის წესების დარღვევამ 523 ერთეულით მოიმატა. მარტოოდენ ჯარიმის სახით 5 თვეში ამოღებულია 30825 ლარი.

**– ხშირია აღურიცხავი საქონლის გადაზიდვა?**

– წლეულს, მაისში, განყოფილების თანამშრომლებმა ორი ავტომანქანა დააკავეს, რომელთა მძღოლებს საქართველოს ტერიტორიაზე აღურიცხავი საქონელი გადაჰქონდათ. ტვირთი სამცხე-ჯავახეთის საფინანსო პოლიციის მეხუთე განყოფილებას ჩაბარდა.

ასევე არ გამოგვეპარა ორი სატვირთო ავტომანქანა, რომლითაც 45-45 კუბური მეტრი დახერხილი ხე-მასალა გადაჰქონდათ, ყალბი დოკუმენტების გამოყენებით. ამ საკითხზე მოკვლევას აწარმოებს შინაგან საქმეთა სამცხე-ჯავახეთის სამხარეო სამმართველოს ეკოპოლიციის განყოფილება. წინა თვეს კვლავ დავაკავეთ ავტომანქანა, რომელსაც თურქეთის რესპუბლიკიდან ქუთაისში კონტრაბანდული ტვირთი გადაჰქონდა.

როგორც მოგეხსენებათ, საქართველოში, პირველი ივნისიდან, პირველ სექტემბრამდე, ხეტყის უკანონო ჭრის ფაქტების აღკვეთა-აცილების და გამოვლენის მიზნით მიმდინარეობს სპეციალური ღონისძიება „ფლორა-2004". ჩვენი განყოფილებაც აქტიურად ჩაება ამ ღონისძიებაში და 4 ივნისს ეკოპოლიციის თანამშრომლებთან ერთად დავაკავეთ ორი ავტომანქანა, რომელთა მძღოლებსაც ყოველგვარი დოკუმენტების გარეშე 28-28 კუბური მეტრი დახერხილი ხე-მასალა გადაჰქონდათ. ანალოგიური შემთხვევა მოხდა 10 ივნისსაც. ორი ავტომანქანა (27 და 28 კუბური მეტრი. დახერხილი ხე-მასალით) გადაეცა სამცხე-ჯავახეთის შს მთავარი სამმართველოს ეკოპოლიციას.

**– ბოლო დროს დიდი ლაპარაკია პოლიციელთა რიგების შემცირების შესახებ. თქვენ რა აზრის ბრძანდებით ამ საკითხთან დაკავშირებით?**

– სრულიად ვეთანხმები ამ გადაწყვეტილებას. უკეთესია მცირერიცხოვანი იყოს შემადგენლობა და დიდი ხელფასი ჰქონდეს პოლიციელს, ვიდრე გაბერილი შტატები გვქონდეს და გზაზე ხელგამოწვდილი პოლიციელი იდგეს.

ისე პოლიცია ძალიან ბევრ საქმეს აკეთებს და იშვიათად ისმის ჩვენი მისამართით საქებარი სიტყვები. მოგეხსენებათ, ჩვენც ადამიანები ვართ და გვსიამოვნებს და სტიმულს გვაძლევს ჩვენი საქმიანობის ობიექტურად გაშუქება.

ბევრი სასიკეთო საქმის გაკეთება გვაქვს გადაწყვეტილი. საგზაო პოლიციის მთავარი სამმართველოს უფროსის ვასილ მარგალიტაძის ხელმძღვანელობით ამ საქმეებს აუცილებლად ხორცს შევასხმათ და ჩვენს მხარეში სრულ წესრიგს დავამყარებთ.

* * *

**დილაუთენია** იწყება თენგიზ აღდგომელაძის სამუშაო დღე. ჯერ კარგად გათენებულიც კი არ არის, ის უკვე სოფელ რუსთავის საგუშაგოზეა. ეს მათი ცენტრალური პოსტია. ჯერ ღამის ამბებს მოისმენს, მერე მთელ 170 - კილომეტრიან ტრასას მოივლის... ხშირად გადაურჩენია ადამიანები. ეს ხომ ჩვენი უშუალო მოვალეობაა, – ბრძანებს თენგიზი. ავარიების დროს პირველები ჩვენ მივდივართ შემთხვევის ადგილზე. მე მაშინვე ადამიანების გადარჩენა მაინტერესებს და არ ვიბნევი, სწრაფად და ეფექტურად ვმოქმედებ. ახლა სხვა ტიპის პოლიცია იქმნება.

ძალიან მომწონს პირველი სამედიცინო დახმარების აღმოჩენასაც რომ შეგვასწავლიან. ადამიანებმა პრაქტიკულად უნდა იგრძნონ ჩვენი მხარდაჭერა, ჩვენი თანადგომა. მთავარი ეს არის.

**მარადი ანასაშვილი.**
**ახალციხე – თბილისი.**

⊙ დოკუმენტი

# ზვიად გამსახურდიას მიმართ შეწყდა სისხლის სამართლის საქმე და სისხლისსამართლებრივი დევნა

1992 წლის 13 ივნისს, გედევან გელბახიანმა, ი. დოკვაძესთან, გ. ელისაშვილთან და პ. გელბახიანთან წინასწარი შეთანხმებით, ქ. თბილისში გამართულ ბაზრობაზე წაყვანის საბაბით ბინიდან გაიყვანა მძახალი ნანა მაჭავარიანი, რამდენადაც, სწორედ აღნიშნული ბინიდან უნდა განხორციელებულიყო ჩიქოვანის ქ. № 39 სახლთან წინასწარ გაჩერებული, ტროტილით დამუხტული „ზაპოროჟეცის“ დისტანციური მართვის მოწყობილობის გამოყენებით აფეთქება ჯ. იოსელიანისა და მისი თანმხლები პირების განზრახ მკვლელობისათვის.

გედევან გელბახიანის მიერ ნ. მაჭავარიანის ბინიდან წაყვანის შემდეგ, დაგეგმილი დანაშაულის სისრულეში მოსაყვანად აღნიშნულ ბინაში განლაგდნენ ი. დოკვაძე, გ. ელისაშვილი და პ. გელბახიანი.

1992 წლის 13 ივნისს, დაახლოებით 11 საათსა და 15 წუთზე, ავტომანქანით სამსახურში მიმავალმა ჯ. იოსელიანმა გაიარა ს. ჩიქოვანის ქ. № 39 სახლის წინ. გ. ელისაშვილმა, ი. დოკვაძემ და პეტრე გელბახიანმა შორი მანძილიდან სამართავი პულტით ააფეთქეს „ტროტილით“ დამუხტული „ზაპოროჟეცი“, თუმცა, მათგან დამოუკიდებელი მიზეზის გამო, დანაშაულებრივი განზრახვა სისრულეში ვერ მოიყვანეს – ჯაბა იოსელიანმა ავტომანქანით რამდენიმე წამით გაასწრო აფეთქების ადგილს, რის გამოც იგი და მისი თანხმლები პირები შემთხვევით გადაურჩნენ სიკვდილს.

გედევან გელბახიანმა და დანარჩენმა თანამონაწილეებმა, განხორციელებული ტერორისტული აქტით, დამამძიმებელ გარემოებებში, განსაკუთრებული სისასტიკით, განზრახ მოკლეს ხუთი უდანაშაულო ადამიანი, მათ შორის მცირეწლოვანი ბავშვი – 7 წლის ოთარ ერაძე, ასევე თამარ ერაძე, ეთერ მახათაძე, კობა კვანტალიანი და მირანდუხტ იმნაიშვილი.

ძლიერი აფეთქების შედეგად დაინგრა და დაზიანდა ს. ჩიქოვანის ქუჩაზე განლაგებული №№ 39-ე, 39ა, მე-40, 41-ე, 41ა სახლები, რითაც მოსახლეობამ განიცადა მნიშვნელოვანი ზიანი.

ამ ეპიზოდში ზ. გამსახურდიამ ჩაიდინა საქართველოს რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსის 67-ე მუხლის პირველი ნაწილით, 78-ე მუხლით, 79-ე მუხლის მე-2 ნაწილით, 104-ე მუხლის მე-4 და მე-6 პუნქტებითა და 157 მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული დანაშაული.

აღნიშნულის შემდეგ, ზ. გამსახურდიამ ორგანიზება გაუკეთა უფრო ფართო მასშტაბის დანაშაულებრივ აქციას; კერძოდ:

1992 წლის 17 ივნისს ქ. გროზნოში გამოსცა დანაშაულებრივი ბრძანებულება ვალტერ შურღაიას საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის საგანგებო რწმუნებულად დანიშვნის შესახებ. ზ. გამსახურდიას პირადი განკარგულებით და ინსტრუქციით ვ. შურღაიას დაევალა ხელსაყრელ მომენტში, ყოფილ დეპუტატებთან და სხვა ერთგულ თანამზრახველებთან ერთად მოეხდინა არსებული ხელისუფლების ძალადობით დამხობა, რისთვისაც უნდა ეწარმოებინა მერყევი ელემენტების მოსყიდვა-გადაბირება. წინასწარ შემუშავებული დანაშაულებრივი გეგმის შესაბამისად განეხორციელებინა დივერსიული და ტერორისტული აქტები, ბანდიტური თავდასხმები სახელმწიფო მმართველობის ორგანოებზე, საწარმო-დაწესებულებებზე, სახელმწიფო ორგანიზაციებზე, მასობრივი ინფორმაციის საშუალებებსა და სხვა მნიშვნელოვან სასიცოცხლო ობიექტებზე მათი მოშლისა და განადგურების მიზნით.



ბანდიტური თავდასხმების მოწყობა და სახელმწიფო გადატრიალების მცდელობა შეთქმულებმა დაამთხვიეს 1992 წლის 24 ივნისს, ქ. დაგომისში საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარისა და რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტის შეხვედრის თარიღს, რათა ჩაეშალათ უმაღლეს დონეზე ორ სახელმწიფოს შორის მოლაპარაკება.

ყოფილი პრეზიდენტის მომხრე შეიარაღებულმა თანამზრახველებმა 1992 წლის 24 ივნისს, გამთენიისას, ერთდროულად მოახდინეს ბანდიტური თავდასხმები, კერძოდ:

თავს დაესხნენ საქართველოს რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროს შინაგანი ჯარების №2052 ოპერატიულ პოლკს, განაიარაღეს დაცვა, გაიტაცეს 241 ცალი „კალაშნიკოვის“ სისტემის ავტომატი მჭიდებითა და საბრძოლო მასალით, ხელის ტყვიამფრქვევი ტყვია-წამლით, ერთი საბრძოლო ტანკი, ორი ჯავშანტრანსპორტიორი, ორი სატვირთო ავტომანქანა „კამაზი“ და ერთი „ზილ-131“; ავტომატური იარაღით დაცხრილეს ფუნიკულიორის პლატოზე მდებარე ტელეანძა და დაჭრეს ანძის შენობის დამცველი ერთი მილიციელი. ავტომატური იარაღის გამოყენებით განახორციელეს შეიარაღებული შეტევა და აიღეს ქ. თბილისში, მერაბ კოსტავას ქ. №68-ში მდებარე საქტელერადიო დეპარტამენტის შენობა, საიდანაც დაახლოებით 6-დან 8 საათამდე გავიდნენ ეთერში და გადასცემდნენ ზ. გამსახურდიას მიმართვას ეროვნული გვარდიისადმი, რომელიც წინასწარ იყო გამოქვეყნებული გაზეთ „თავისუფალ საქართველოს“ 1992 წლის 20 ივნისის პირველ ნომერში; რადიოთი გამომსვლელები მოუწოდებდნენ ხალხს შეიარაღებისაკენ და არსებული ხელისუფლების ძალადობით დამხობისაკენ. თავდამსხმელებმა დაანგრიეს და დალეწეს შენობის ფასადი და ვიტრაჟები, გაანადგურეს და გაიტაცეს ძვირადღირებული აპარატურა, მაგრამ სახელმწიფო გადატრიალების მცდელობა იმავე დღეს ჩაშლილი და ლიკვიდირებული იქნა ეროვნული გვარდიის, „მხედრიონის“, მილიციის და შინაგანი ჯარების მიერ განხორციელებული საბრძოლო ოპერაციის შედეგად, რა დროსაც ტელერადიოდეპარტამენტის შენობაში დაკავებულ და განიარაღებულ იქნენ შეთქმულები.

ბანდიტური თავდასხმის ლიკვიდაციის პროცესში წარმოებული საბრძოლო მოქმედების დროს დაიღუპა ერთი გვარდიელი და ხუთი თავდამსხმელი.

აღნიშნული ქმედებებით, ზ. გამსახურდიამ ჩაიდინა საქართველოს რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსის 65-ე მუხლით, 71-ე მუხლის მე-2 ნაწილით, 78-ე მუხლით და 240-ე მუხლის მე-3 ნაწილით გათვალისწინებული დანაშაული.

ზ. გამსახურდიამ მოაწყო შეიარაღებული ბანდების ორგანიზება, რომელთა უშუალო ხელმძღვანელობა დაავალა გოჩა ბახიას, ვახტანგ (ლოთი) ქობალიას, ჯემალ ქობალიას, ზაურ ქობალიას, ზურაბ ნაროუშვილს და სხვებს, რომლებიც ძირითადად მოქმედებდნენ და მძიმე დანაშაულს ჩადიოდნენ დასავლეთ საქართველოში, მათ შორის, აფხაზეთის რეგიონში.

ზ. გამსახურდიას მიერ ორგანიზებულმა ბანდამ, 1992 წლის 9 მარტს, შეიარაღებული ბანდიტური თავდასხმები ჩაიდინა ზუგდიდის ქალაქისა და რაიონის შინაგან საქმეთა განყოფილებებსა და სასტუმრო „ეგრისზე“, სადაც ღამეს ათევდნენ საქართველოს ეროვნული გვრადიის მებრძოლები. ბანდიტებმა ატვომატური იარაღებიდან წარმოებული სროლებით დაცხრილეს სამივე შენობა, დაწვეს სასტუმრო „ეგრისი“, მოკლეს 3 გვარდიელი: დ. კულუმბეგოვი, ვ. კაციტაძე, მ. ჩუგნაძე; დროებით დააკავეს გვარდიელები რ. ფონია და ვ. ეხვაია, ასევე, პოლიციის ოფიცრები: გ. ნიჟარაძე, კ. თოდუა და ჯ. ქოჩუა; გაიტაცეს პოლიციის კუთვნილი ცეცხლსასროლი იარაღი და მიიმალნენ.

ბანდიტურ თავდასხმას უშუალოდ ხელმძღვანელობდნენ ვახტანგ და ჯემალ ქობალიები.

ზ. გამსახურდიას მიერ ორგანიზებულმა ბანდამ, 1992 წლის 29 იანვარს, ჩხოროწყუს რაიონის სოფელ ქვედა ჩხოროწყუს ტერიტორიაზე ავტომატური იარაღებით განახორციელა თავდასხმა ჩხოროწყუს შინაგან საქმეთა განყოფილების მუშაკებზე, რა დროსაც გაიტაცეს ტაბელური ავტომატური იარაღი და სამსახურებრივი ავტომანქანა.

ზ. გამსახურდიას მიერ ორგანიზებულმა ბანდამ, 1992 წლის 30 იანვარს, ჩხოროწყუს რაიონში ჩაიდინა ატვომატური იარაღით შეიარაღებული თავდასხმა ამავე რაიონის შინაგან საქმეთა განყოილებაზე და ამავე განყოფილების უფროსის ომეხ მალანიას საცხოვრებელ სახლზე.

ზ. გამსახურდიას მიერ ორგანიზებულმა ბანდამ, 1992 წლის 20 თებერვალს, დაახლოებით 03 საათსა და 45 წუთზე, ქ. ზუგდიდში ავტომატური იარაღებით განახორციელა თავდასხმა „ვაზ-2121“ მარკის ავტომანქანაზე, რომლითაც პატრულირებას ახორციელებდნენ ეროვნული გვარდიის წევრები; ადგილზე დამამძიმებელ გარემოებებში განზრახ მოკლეს გვარდიის წევრები გურამ წივწივაძე და ვაჟა ჯალიაშვილი, ხოლო ვალერი ბაქრაძემ მიიღო სხეულის დაზიანება.

ზ. გამსახურდიას მიერ ორგანიზებულმა ბანდამ, 1992 წლის 22 აპრილს, ზუგდიდის რაიონის სოფელ ფოჩხელის ტერიტორიაზე ავტომატური იარაღებით ჩაიდინეს თავდასხმა წალენჯიხის რაიონის მიმართულებით მიმავალ „გაზ-24“-ის მარკის ავტომანქანაზე, რომელსაც მართავდა შეიარაღებული ფორმირება „ავაზას“ წევრი ჯონი შანავა, რომელიც დამამძიმებელ გარემოებაში განზრახ მოკლეს.

ზ. გამსახურდიას მიერ ორგანიზებულმა ბანდამ, 1992 წლის 10 მაისს, დაახლოებით 21 00 საათზე, ზუგდიდის რაიონის სოფელ ინგირში შეიარაღებული თავდასხმა განახორციელა მოქალაქე ჯ. მაქაცარიაზე, რომელსაც წაართვეს „რაფი-322“-ის მარკის ავტომანქანა. დაახლოებით 21 საათსა და 30 წუთზე, სოფელ ახალსოფელში იმავე ბანდის წევრები არ დაემორჩილნენ პიკეტზე მყოფი საქართველოს რესპუბლიკის შინაგანი ჯარის თანამშრომლების კანონიერ მოთხოვნას, გაეჩერებინათ ავტომანქანა; გაქცევის მიზნით, ბანდის წევრებმა ავტომატური იარაღიდან ცეცხლი გაუხსნეს მათ. სროლის შედეგად სხეულის დაზიანება მიაყენეს შინაგანი ჯარების ლეიტენანტს დავით ჩერქეზიშვილს.

ბანდის წევრებმა გატაცებული ავტომანქანა მიატოვეს და მიიმალნენ.

(გაგრძელება იქნება).

გაგრძელება. დასაწყისი იხ. „სრ“ № 161, 162, 164.

⊙ ინფორმაცია

### ჯილეხი ლემშვენიერაში

გარდაბნის რაიონის სოფელ ლემშვენიერაში ჯილეხის შემთხვევა დაფიქსირდა. 40 წლის მამაკაცს დაავადების კანის ფორმა განუვითარდა.

როგორც ინტერ-პრესს დაავადებათა კონტროლის ეროვნული ცენტრის ხელმძღვანელმა შოთა ცანავამ განუცხადა, პაციენტმა ავადმყოფი ხბო დაკლა, რის შედეგადაც მას დაავადება განუვითარდა.

ამჟამად, სანიტარიული და ვეტერინარული სამსახურები მოკვლევას აწარმოებენ, თუ სად წავიდა დაავადებული ხორცი და ხომ არ არის ჯილეხის სხვა შემთხვევები გამოვლენილი. გარდა ამისა, ლაბორატორიულ გამოკვლევას ატარებს დაავადებათა კონტროლის ცენტრი, რომელიც დასკვნას სამშაბათისთვის გამოიტანს.

### შაბათობა დმანისში

გუშინ, ქვემო ქართლის გუბერნატორის სოსო მაზმიშვილის ინიციატივით დმანისში "შაბათობა" მოეწყო. რაიონში ჩასული მხარის სხვადასხვა სამსახურის უფროსებმა გუბერნატორთან ერთად საეკლესიო კომპლექსის ღობის მშენებლობაში მიიღეს მონაწილეობა, რისთვისაც რამდენიმე ტონა ცემენტიც ჩაიტანეს ადგილზე.

დმანისელი მიტროპოლიტის მეუფე ზენონის ლოცვა-კურთხევითა და საპატრიარქოს ხელშეწყობით, მდინარე მაშავერას პირზე ფიჭვნარში რამდენიმე თვეა, რაც უნიკალური საეკლესიო კომპლექსის მშენებლობა მიმდინარეობს. იქ დმანისის მიტროპოლიტის რეზიდენცია განთავსდება და სასულიერო აკადემიის გახსნა იგეგმება.

### ყალბისმქმნელი თელავიდან

ფინანსური პოლიციის ოპერატიული დეპარტამენტის კახეთის №2 განყოფილებამ და შინაგან საქმეთა თელავის სამმართველომ ყალბი დოკუმენტების დამზადების ბრალდებით თელავში, ფალიაშვილის ქუჩა №25-ში მცხოვრები თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის მასწავლებელი ალექსანდრე ჯანდიერი დააკავეს.

ჯანდიერის საცხოვრებელი ბინის ჩხრეკისას აღმოჩენილია თბილისის საინჟინრო-სამედიცინო ინსტიტუტის დიპლომების ყდები და თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბეჭედი. დაკავებული პედაგოგი ასევე არასამთავრობო ორგანიზაცია "ადამიანის უფლებების დაცვა და ანტიკორუფციული კავშირის" ხელმძღვანელი გახლდა. ირკვევა, რომ ორგანიზაციაში გაწევრიანების მსურველებს იგი შესაბამის მოწმობაში 30 ლარს სძალავდა და სანაცვლოდ მაღალანაზღაურებად სამსახურს სთავაზობდა.

### დივერსია გამორიცხულია

ქართულ-ოსური კონფლიქტის ზონაში, პატარა ლიახვის ხეობაში სოფელ ქსუისის ქართულ სკოლას ცეცხლი გაუჩნდა. ხანძრის შედეგად დაიწვა დირექტორის კაბინეტი და რამდენიმე საკლასო ოთახი.

სავარაუდოდ, ხანძრის გამომწვევ მიზეზად მოძველებული ელექტროგაყვანილობა სახელდება. ხანძრის ლოკალიზება სოფლის მოსახლეობამ სახანძრო რაზმის დაუხმარებლად შეძლო.

სოფლის საკრებულოს გამგებელი მადონა ოქროპირიძე ხანძართან დაკავშირებით დივერსიას გამორიცხავს.

ინტერ-პრესი.

საქართველოს რესპუბლიკა
№ 165, კვირა, 18 ივლისი, 2004 წელი.

◉ წუთისოფელი

# ცხოვრება გვანჯი ჩიქოვანისა

**ჩაწერილი ექიმ დავით კვიტაიშვილის მიერ თბილისის მეორე კოლონიაში, ორთაჭალაში, 1948 წელს**

მანჯურიის დაბაში კარგა ხანს მომიხდა დარჩენა. იქ ერთ ქართველს, ორახელაშვილს, სასტუმრო ჰქონდა. ამ სასტუმროში თავს იყრიდნენ კავკასიელები, უმეტესად ქართველობა. მეც ხშირი სტუმარი ვიყავი ორახელაშვილის სასტუმროსი, სადაც შეკრებილები ვმსჯელობდით სხვადასხვა საკითხებზე, მეტწილად, სამშობლოში დაბრუნების შესაძლებლობებსა და ომის მიმდინარეობაზე. რამდენადაც უფრო მაგვიანდებოდა და ფერხდებოდა ჩემი წასვლა, იმდენად უფრო ვშფოთავდი, მაგრამ გულს მაინც არ ვიტეხდი. ერთხელაც გავედი სადგურზე, როცა ჩამომდგარი იყო ფრონტზე მიმავალი ეშელონი. გვერდზე გავიხმე ერთი უნტერ-ოფიცერი და ვუთხარი: ჩემო ძმაო, მე კავკასიელი კაცი ვარ. მშობლებს ძალად გამოვექეცი, რადგან ჩემი ძმები ფრონტზე არიან, მეც მინდა ძმებთან წავიდე სამშობლოს დასაცავად და თუ შეიძლება, დამეხმარე, რომ თქვენთან ერთად ვიმგზავრო-მეთქი. ამ უნტეროფიცერმა და მისმა ამხანაგმა მომკიდეს ხელი, წამიყვანეს მოშორებით და უკანა ვაგონში ჩამსვეს. სიხარულისგან ძლიერ ვიყავი აფორიაქებული. ეშელონის დაძვრას აღარაფერი აკლდა, ის იყო, მესამე ზარიც დაირეკა, რომ ამ დროს ვაგონის კარებთან მოვიდა ერთი ჟანდარმი, თითი ჩემსკენ გამოიშვირა და მკაცრად მითხრა: А ну-ка, молодой человек выходите скорей! რაღა მექნა, უხმოდ ავდექი და გადმოვხტი. მატარებელი დაიძრა და მე აღელვებული, მაგრამ თავშეკავებით გავცქერი მიმავალ მატერებელს. ჟანდარმი მაფრთხილებს, ჭკუას მარიგებს: Сейчас военное время и нельзя ехать без разрешения. Сейчас я Вас отпущу, а в следующий раз не делайте этого!



ზუგდიდი. გვანჯი ჩიქოვანი (მარცხნიდან მესამე) მეგობრებთან ერთად. 1915 წელი.

მე სასწრაფოდ გავშორდი ჟანდარმს. ამის შემდეგ ვერიდებოდი სადგურში გასვლას და რამდენადაც შემეძლო ვფრთხილობდი, მაგრამ იმდენად მქონდა ძვალ-რბილში გამჯდარი სურვილი, რომ ჩემს განზრახვაზე ხელის აღება შეუძლებელი იყო. ერთხელ კიდევ გავედი სადგურზე და სწორედ მაშინ ვნახე, რომ ჩამომდგარიყო ორი ეშელონი, კაზაკების ცხენოსანთა დივიზია. საუკეთესო ოფიცრებისა და ჯარისკაცებისგან იყო შედგენილი ეს ეშელონები. საუკეთესოდაც იყვნენ ჩაცმულები, ლამაზი ჩოხები შვენოდათ, დიდებულ შთაბეჭდილებას ახდენდნენ. ვაგონიდან ორი ლამაზი ოფიცერი გადმოვიდა და ბუფეტისკენ გაემართა. გავყევი ამ ოფიცრებს და შეუმჩნევლად, თითქოს მათ ვახლდი, დავჯექი სწორედ იმ მაგიდასთან, სადაც ისინი დასხდნენ. მოითხოვეს საუზმე და სასმელი. მეც მოვითხოვე და თანდათან ჩავები მათთან საუბარში. მე ძალიან მოვეწონე იმათ და მკითხეს, თუ საიდან მოვემგზავრებოდი. მაშინ გულახდილად ვთხოვე, მოეხერხებინათ ჩემთვის, მათ ეშელონს გავყოლოდი, რადგან მოხალისედ მივდიოდი ფრონტზე, სადაც ჩემი ძმები იბრძოდნენ. იმ როს დიდად სახელმოხვეჭილი იყო ქართველი გენერალი ჯამბაკურ-ორბელიანი, რომელიც პარტიზანული დივიზიის მეთაურად ითვლებოდა. კაზაკ ოფიცრებს ვუთხარი, რომ მასთან მინდოდა მისვლა. ოფიცრებმა იქვე მოილაპარაკეს, ეთხოვათ მათი შენაერთის უფროსისთვის, რომელსაც იასაულს ეძახდნენ. საუზმის შემდეგ მართლაც წამიყვანეს იასაულთან და მოახსენეს ჩემი თხოვნა. იასაულმა თქვა, მე არაფერი მაქვს საწინააღმდეგო, ოღონდ გენერლის გარეშე არაფერი შემიძლიაო. წამიყვანეს დივიზიის უფროს გენერალ მარტინოვთან. გენერალი მეტად ახოვანი და ლამაზი ვაჟკაცი იყო. ძალიან გულთბილადაც მიმიღო. მხარზე ხელი დამკრა და ვინაობა გამომკითხა. მე, რა თქმა უნდა, ვერ ვეტყოდი მას ჩემს ნამდვილ მდგომარეობას, ვინაიდან ეს არათუ ხელს შეუწყობდა ჩემი მიზნის მიღწევას, არამედ საქმეს კიდევ უფრო წაახდენდა. ამიტომ მე სრულიად თამამად მოვახსენე გენერალს, რომ დედ-მამის ნებართვის და სურვილის გარეშე წამოსული ვარ ქუთაისიდან. მინდა მოქმედ არმიაში ჩავირიცხო მოხალისედ, რადგან ჩემი უფროსი ორი ძმა ფრონტზე იბრძვის-მეთქი. გენერალი ძლიერ გაახარა ჩემმა ასეთმა გაბედულებამ, თითქოს მისი ღვიძლი და ახლობელი ვყოფილიყავი, წამიყვანა ბუფეტის ცალკე ნომერში, მოითხოვა მშვენიერი საუზმე და გამიბა გულთბილი საუბარი. მითხრა, რომ ძალიან უყვარს საქართველო, რადგანაც დიდხანს ცხოვრობდა ქუთაისში, იცნობს – ჩიქოვანებს, დადიანებს, მიქელაძეებს, წერეთლებს და არასდროს დაავიწყდება ქართული სტუმართმოყვარეობა და იქ გატარაბული დრო. მე დიდად გამამხნევა გენერლის ასეთმა ალერსიანმა მოპყრობამ და მასთან დაახლოვებამ. ამ ჩვენი მუსაიფის დროს მაგიდასთან ჩამოიარა ჟანდარმთა პოლკოვნიკმა შერშოვმა. იგი ცბიერი თვალებით იმზირებოდა იქეთ-აქეთ. გავიდა თუ არა, გენერალმა ღიმილით მითხრა: Молодой человек, Вы знаете этого господина?

დიახ, ვიცნობ-მეთქი, თავი დავუქნიე მე.

Да! – გენერალმა განაგრძო, – Между нами говоря, это и есть настоящий царский жандармский дух, и, представьте себя, я, генерал-лейтенант, должен просить у него разрешения, взять Вас с Собой, а он имеет право, отказать мне в этом. Я сердечно хочу исполнить Вашу просьбу, но если он откажет, это будет досадно и обидно. Но если Вы решитесь просить у него, то я подоиду и тоже попрошу!

ამაზე იმ წუთშივე ვუპასუხე: არა, პატივცემულო ბატონო გენერალო! მე არაფრით არ ვიზამ, რომ თქვენ მაგას რაიმე სთხოვოთ. თან ისიც ვიფიქრე, ამ შერშოვის გამოისობით ჩემი საქმე მთლად არ გაფუჭდეს-მეთქი.

ამის მერე გენერალი თავაზიანად გამომემშვიდობა და ადიუტანტების თანხლებით ეშელონისკენ გაემართა. ოფიცრებმა ბევრი ინანეს და მითხრეს, რად გვინდოდა იასაული ან გენერალი, ჩვენ თვითონ უნდა ჩაგვესვი ჩვენთან ვაგონში და წაგვეყვანეო. წავიდნენ ეშელონები. დავრჩი ბაქანზე ძლიერ დაღონებული და გულგატეხილი. ყოველივე ამის გარდა, სახარჯო ფულიც მელეოდა და თავმოყვარეობა ნებას არ მაძლევდა, სხვები შემეწუხებინა.

**(გაგრძელება იქნება).**

**გაგრძელება. დასაწყისი იხ. „სრ“ № 147-151, 153-163.**

◉ ადამიანი დროში

# სანამ ცოცხალი ხარ, გიყვარდეს და სიკეთე თესე

**ასეთ ადამიანზე ამბობენ, ერთ ადგილზე გაჩერება არ შეუძლია, ვეცხლისწყალივით არისო.**

**– რატომ უნდა გავჩერდე? – უკვირს ქალბატონ მადონას და სანდომიან სახეზე გაოცება ეხატება.**

**მადონას თავადაც ბევრი საქმე აქვს, მაგრამ სხვათაგან ისიც განასხვავებს, რომ დაუზარელია. არასოდეს, როგორი დაღლილიც უნდა იყოს, დახმარებაზე უარს არ ამბობს, რადგან სიყვარულის ენერგიით და გულით მუშაობს.**

**წყნეთში, იფნის ბაღში დგას მისი სახლი. ავ თვალს არ დაენახვება მისი კოპწია ეზო-ყურე. ინათებს თუ არა, ეზოშია. მწვანილის რა სახეობას არ ნახავთ მის ბოსტანში, სიმინდიც აქოჩრილა, კაცები სახლში არ არიან. ყველაფერს უვლის, ყველაფერს ასწრებს. ვიდრე მცირეწლოვანი გოგოები – ნინო და თამუნა გაიღვიძებენ, საუზმეს მოუმზადებს, გუშინდელ გარეცხილ სარეცხს გაახამებს, გაფენს და გამოუყვება გზას თბილისისაკენ.**

ხუთი შვილის დედას საფიქრალ-საზრუნავს რა გამოულევს. სამარშრუტო ტაქსში გეგმებს აწყობს. ძირითად საქმეს არ ეღალატება, იქნებ შუალედში მოასწროს და, სანამ მორიგ პაციენტს მიიღებდეს, საკუთარი საქმე მოაგვაროს.

უფროსმა ვაჟმა – გიორგიმ თავდაცვის სამინისტროს სამხედრო აკადემია დაამთავრა, შინაგანი ჯარის სამეთაურო-საშტატო სპეციალობის ოფიცრისა და ისტორიის მასწავლებლის კვალიფიკაცია მიენიჭა. იგი ახლა ყველაზე ცხელ წერტილში, სამაჩაბლოშია, დედა ყოველ დილას ეკლესიაში შეივლის, საქართველოს გამთლიანებისა და გაძლიერებას შესთხოვს ღმერთს. ეს რომ ასე იქნება, ეჭვი არ ეპარება მადონას და განახლებული ენერგიით სხვის საშველად მიემართება.

მეორე ვაჟიშვილი – მურთაზი, უკვე სახელგანთქმული სტილისტია და ახლა მოსკოვში მუშაობს, მისი მომდევნო, შორენა გათხოვდა და მალე დედა გახდება. ნინო და თამუნა, როგორც უკვე გაუწყეთ, ჯერ სკოლის მოსწავლეები არიან. მთელი დღე მათი ანაბარაა წყნეთის სახლ-კარი.

ამ სათნო და საოცრად სასიამოვნო ქალზე ბევრი მსმენია. მას შეუძლია რამდენიმე სეანსის შემდეგ ადამიანის განკურნება ყოველგვარი ქირურგიული ჩარევის გარეშე. ბევრს დაუბრუნა სიცოცხლის რწმენა, გამოაჯანმრთელა, ფეხზე დააყენა, ენერგია შთაბერა. ამაზე ის უამრავი ბარათებიც მეტყველებს, ყოფილი პაციენტები რომ უგზავნიან.

მადონა ჯოლოგუა მოსკოვის არატრადიციული მეთოდებით გაჯანსაღების სამეცნიერო-მეთოდური ცენტრის კურსდამთავრებულია. იგი ფლობს სხვადასხვა დაავადების კონტაქტური და არაკონტაქტური მასაჟების მეთოდს, მნიშვნელოვან ეფექტს აღწევს დაავადებების მკურნალობისას.

აი, როგორ დაიწყო მისი ცხოვრების გზა: – ფოთიდან ჩამოსული ციცქნა ქალიშვილი ჯარასავით ტრიალებდა დაზგებს შორის კამვოლური დართვის ფაბრიკაში. მისი მონდომება შეუმჩნეველი არ დარჩენიათ, ლიმიტით საქართველოს პოლიტექნიკურ ინსტიტუტში გააგზავნეს სასწავლებლად, რომელიც წარმატებით დაამთავრა. ის ახალგაზრდობიდანვე სხვაზე ზრუნვის ნიჭით გამოირჩეოდა. მისთვის სტიპენდია ფაბრიკას უნდა გადაეხადა 15-პროცენტიანი დანამატით. ამ თანხის აღებაზე უარი თქვა და ფაბრიკის ბავშვთა სახლს გადაურიცხა, სათამაშოებს მაინც უყიდიანო...

სად არ იმუშავა შემდგომ, წინდებისა თუ წყნეთის სამკერვალო ფაბრიკებში... ყველგან გამოირჩეოდა სამართლიანობით, ვერ იტანდა სხვის დაჩაგვრას და ზოგჯერ, სწორედაც სხვების გამოსარჩლების გამო ისჯებოდა. 1989 წელმა არსებითად შეცვალა მისი ცხოვრების გზა. რეზო ხომერიკმა აღმოაჩინა პირველად მისი საოცარი ნიჭი. თავადაც არ სჯეროდა, რომ უნიკალური თვისების პატრონი იყო. ამის გამოსაკვლევად წავიდა მოსკოვში.

– ყველაფერი ღვთის ნებაა, – ამბობს მადონა, – მოსკოვში ჩემს ჩასვლას დაემთხვა მსოფლიოში ცნობილი შვეიცარიელი პარაფსიქოლოგის ილია კორბის ვიზიტი. საოცრება კი ის იყო, რომ თურმე კორბი ჯერ კიდევ სამი წლის წინათ უნდა ჩამოსულიყო, მაგრამ მაშინ ვერ მოახერხა. ესეც ჩემი ბედი იყო, ღმერთმა ამ ღვთისნიერ და უნიკალურ სპეციალისტს რომ შემახვედრა.

ხალხით გადაჭედილი უზარმაზარი დარბაზი მედიკოსებით იყო სავსე, მხოლოდ მე ვიყავი ქიმიკოსი. ჩემს გაოცებას საზღვარი არ ჰქონდა, როცა ამ აუდიტორიაში კორბმა მე ამომარჩია, გარეთ გამიხმო და მითხრა, – თქვენ არ იცით, რა ნიჭის პატრონი ბრძანდებითო.

გამეხარდა, მაგრამ სწავლის გასაგრძელებლად კაპიკიც აღარ მქონდა. აქაც ღმერთმა გადმომხედა, ერთმა ღვთისნიერმა ექიმმა, ქალბატონმა ნელი ქევხიშვილმა, რომელიც ასევე კორბის შესახვედრად იყო ჩამოსული, 300 მანეთი მასესხა. აი, ასე შევძელი იმ კურსების დამთავრება. იმ დღიდან მოვდივარ და მომაქვს ეს მძიმე, მაგრამ საპატიო ტვირთი, რადგან ადამიანის სიცოცხლის გახანგრძლივება, ხშირად მთლიანად გაჯანსაღება, ჩემი აზრით, ყველა სიკეთეზე უმაღლესია.

გულის უკმარისობის მოხსნა, ღვიძლის ზრდაში შემცირება, გულის კუმშვადობის გაზრდა, არტერიული ჰიპერტონიის მოწესრიგება, სტენოკარდიული შეტევის კუპირება, კიდურების ენდარტერიტებში ტკივილების სამუდამოდ დავიწყება... მნიშვნელოვანი ეფექტი აქვს მიღწეული ქრონიკული ქოლეცისტიტის, ცისტიტის, კლიმაქსის და მასთან დაკავშირებული გართულებების დროს, ეროზიისგან, პოლიკისტოზისგან განკურნება, იმუნური სისტემის აღდგენა, უჯრედის განახლება... დაუსრულებლად შეიძლება ჩამოვთვალოთ ის დაავადებები, რომელთა მკურნალობისას ქალბატონ მადონას საოცარი შედეგებისთვის მიუღწევია. ალბათ, ამდენის თქმას ვერ გავბედავდი, თავად რომ არ ვიყო თვითმხილველი იმ სასწაულებისა, რასაც მადონა ახდენს. კარდიოლოგიის სამეცნიეროკვლევითი ინსტიტუტის არტერიული ჰიპერტონიის განყოფილებაში ჩატარებული ექსპერიმენტი თვით ექიმებმა მიიჩნიეს სენსაციად.

გარდა პროფესიული ღირსებისა, მადონა ჯოლოგუა პიროვნული ღირსებითაც გამორჩეულია. ამიტომაც ენდობიან და უყვართ პაციენტებს.

იხ. მე-5 გვ.

⊙ ადამიანი დროში

# სანამ ცოცხალი ხარ, გიყვარდეს და სიკეთე თესე

(მეოთხე გვერდიდან)

**ირინა ყანდარელი, პედიატრი. თბილისის სახელმწიფო სამედიცინო აკადემიის ფიტოთერაპიის კლინიკის თანამშრომელი:** – მქონდა ვესტიბიულარული აპარატის დარღვევა, თავის ტვინის სისხლძარღვების 30 პროცენტით შევიწროება. სიმპტომატური მკურნალობის შემდეგ ჩემი მდგომარეობა გაუარესდა. ვთხოვე დახმარება მადონას. მე რეალისტი ვარ. ამ შემთხვევაში მედიცინა უძლურია. ბიოკორექციამ მიშველა. არანაირი წამალი არ მიმიღია. 20 სეანსის შემდეგ გამოვჯანმრთელდი და აი, ხედავთ, დღეს უკვე კარგადა ვარ. ამის შემდგომ ვისაც კი ვურჩიე მადონასთან მკურნალობა, ყველა მადლიერია. არ ვიცი, ვის რისი სჯერა და სწამს, ის გააკეთოს, მე კი ღრმადა ვარ დარწმუნებული, რომ ის, რასაც მადონა აკეთებს, არის სამომავლო თერაპია, XXI საუკუნის მედიცინა. სადაც სკალპელი აუცილებელია, ის ოპერაცია უნდა გაკეთდეს, დანარჩენი ავადმყოფობა მშვენივრად ემორჩილება ბიოკორექციას, კონტაქტურ და არაკონტაქტურ მასაჟს.

**მანანა შელია, უნივერსიტეტის რელიგიისმცოდნეობის კათედრის მეცნიერი თანამშრომელი:** – რაც მადონა ჯოლოგუა გავიცანი, ჩემი ცხოვრება მთლიანად შეიცვალა. დიაბეტით ვიყავი დაავადებული. ამავე დროს მაწუხებდა გულის იშემია და დიაბეტისგან გამოწვეული სხვა დაავადებები. 21 პროცედურის შემდეგ უკეთესობა ვიგრძენი, შემდეგ სულ გამოვჯანმრთელდი.

**დემურ ნაჭაძე, სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის პირველი განყოფილების ყოფილი უფროსი:** – ამჟამად პენსიონერი ვარ. ცოტა ადრე რომ გამეცნო ქალბატონი მადონა, დღეს პენსიაზე არ ვიქნებოდი. პირველი ჯგუფის ინვალიდი ვიყავი, ცხოვრება მძულდა. ვერ წარმოიდგენთ, რამდენი ექიმი მოვიარე. ან რამდენი წამალი მაქვს დალეული. ვერავინ და ვერაფერმა ვერ მიშველა. მადლობას ვუხდი ღმერთს, რომ ქალბატონ მადონას შემახვედრა.

ასე დაუსრულებლად შეგვიძლია ვესაუბროთ ქალბატონ მადონას პაციენტებს. საინტერესოა, თავად რას ფიქრობს მათზე?

– ჩემთვის არავითარი მნიშვნელობა არა აქვს, რა პროფესიისა იქნება პაციენტი. თითოეული მათგანის გასაჭირი ჩემი გასაჭირიცაა. ერთ-ერთი ჩემი პაციენტი პარლამენტარი მალხაზ ბარამიძე იყო, რომელსაც ტროპიკული წყლული ჰქონდა. გამოვაჯანმრთელე, მაგრამ მე მას, როგორც განსაკუთრებულ პიროვნებას, ისე არ მოვქცევივარ. ერთი ქალბატონი, რომელიც თავად ექიმია, წელს ქვემოთ დამბლადაცემული იყო, ეტლით გადაადგილდებოდა. დღეს უკვე საკუთარი ფეხით დადის. ასევე განვკურნე ადამიანი, რომელსაც ხარის გული ჰქონდა, სიცოცხლე გულის მანკით დაავადებული ბავშვებისთვისაც მიჩუქებია... ასე რომ, საკეთებელი უამრავია, ღმერთმა ენერგია მომცეს, დასძენს იგი.

– საკუთარი კლინიკა რომ მქონდეს, ისეთ გარემოს შევქმნიდი, მარტო იქაურობა გამოაჯანმრთელებდა ადამიანს, მოვაწყობდი აბაზანებს, ჩავრთავდი მცენარეულ კოქტეილებს, აგრეთვე, ტრადიციულ მედიცინას. შევიძენდი ექოსკოპიის და კარდიოგრაფიის აპარატებს, რათა პაციენტს საკუთარი თვალით ენახა მონიტორზე, რა ცვლილებები ხდება მის ორგანიზმში.



– საქართველოში არსებული რთული ეკონომიკური მდგომარეობის გამო ხშირად ადამიანებს მკურნალობის საშუალება არა აქვთ. ამიტომაც მივმართე ფონდ „ღია საზოგადოება-საქართველოს“. მსურდა, 6 თვე უფასოდ მემკურნალა გაჭირვებული ადამიანებისთვის, მაგრამ ამაოდ, – სინანულით მეუბნება მადონა.

ვფიქრობ, ინტერესმოკლებული არ იქნება იმ რეკომენდაცია-დახასიათებების გაცნობა, რაც მადონას პროექტს თან ახლდა:

**„ქალბატონი მადონა ჯოლოგუა მოსკოვის არატრადიციული მეთოდებით გაჯანსაღების სამეცნიერო-მეთოდური ცენტრის კურსდამთავრებულია. იგი ფლობს სხვადასხვა დაავადებათა მკურნალობის კონტაქტური და არაკონტაქტური მასაჟების მეთოდს. მნიშვნელოვან ეფექტს აღწევს ისეთი დაავადებების მკურნალობისას, როგორიცაა ჰიპერტონიული დაავადება, ქრონიკული ქოლეცისტიტი, ცისტიტი, შაქრიანი დიაბეტი, კლიმაქსი და მასთან დაკავშირებული გართულებები.**

**საინტერესო შედეგები აქვს მიღებული არაკონტაქტური მასაჟის გამოყენებით ქვემო კიდურების ენდარტერიტების მკურნალობის საქმეშიც.**

**გარდა პროფესიული ღირსებისა, ქალბატონი მადონა ჯოლოგუა გამორჩეულია თავისი პიროვნული თვისებებით. მუდამ სათნო, მშვიდი, კეთილმოუბარი ქალბატონი პაციენტების დიდი სიყვარულით და ნდობით სარგებლობს. იგი საუკეთესო მეგობარია და თანამშრომელია, პატივისცემას იმსახურებს.**

**ქ-ნი მადონა თავისი სამედიცინო საქმიანობას შესანიშნავად ათავსებს ოჯახის დიასახლისისა და დედის მოვალეობასთან. ჰყავს 5 შვილი. ის ქართული ტრადიციების ერთგული, მოსიყვარულე დედა და მეუღლეა.**

**ამდენად, მისი მოღვაწეობა ნებისმიერი საზოგადოებისთვის პატივი უნდა იყოს“.**

ყოველივე ამას ხელმოწერით განამტკიცებენ **კარდიოლოგიის ინსტიტუტის დირექტორი, აკადემიკოსი ბ. ქობულია; ინსტიტუტის არტერიული და ჰიპერტონიული განყოფილების გამგე, მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატი ბ. წინამძღვრიშვილი; ინსტიტუტის წამყვანი მეცნიერი თანამშრომელი, მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატი დ. კაჭახიძე.**

უფრო უშუალოა წყნეთის გამგებელი **რ. არეშიძე:** – მხარს ვუჭერთ იმ კეთილშობილურ პროექტს, რომელიც წარმოგვიდგინა ქალბატონმა მადონა ჯოლოგუამ. მიუხედავად წყნეთის ბუნებრივი მონაცემებისა, არ გაგვაჩნია სამკურნალო კლინიკა, რომელიც მოემსახურებოდა ჩვენს ხალხს აღდგენა-გაჯანსაღებაში. კარგად ვიცნობთ მადონა ჯოლოგუას, გვჯერა მისი ერთგულებისა და კეთილსინდისიერებისა, იგი მთელი სულითა და გულით იზრუნებს პაციენტების გამოჯანმრთელებაზე. დღემდე გვიკვირს, როგორ უმალ გადაარჩინა ჩვენებური თემურ ოძელაშვილი ინსულტს. იგი ბგერებს ვერ ამბობდა და რამდენიმე წუთში აალაპარაკა. მანვე წყნეთის წყალსადენის უფროსი ვალერიან აფციაური ერთ დღეში მოციმციმე არითმიისგან განკურნა და დღემდე ჯანმრთელია. ეს დაუზარელი, ენერგიული, კაცთმოყვარე ადამიანი, ნამდვილად ღირსია ჩვენი თანადგომის.

ჩვენ მზად ვართ, მივეხმაროთ ქალბატონ მადონა ჯოლოგუას ამ კლინიკის მოწყობაში. შუამდგომლობას გავუწევთ სატელეფონო ხაზის გაყვანაში, საწვავით მომარაგებაში, კლინიკის კეთილმოწყობაში...

* * *

როცა ასეთ დახასიათებებს გასცემენ ექიმებიც და ჩვეულებრივი პაციენტებიც, ეს უფრო დიდი აღიარებაა, მაგრამ, რადგან თავადაც არ ულხინს, დიდ ოჯახს ხომ გასავალიც დიდი აქვს. დღეს ყველას (თუმც ნახევარზე მეტისთვის მაინც ახერხებს) უფასოდ ვერ ემსახურება.

ვფიქრობ, ოდესმე მაინც აუხდება საკუთარი კლინიკის გახსნის ოცნება. ამის იმედს თავად მადონას შემართება და პროფესიონალიზმი მაძლევს.

მანამდე კი იგი კვლავ ფიტოთერაპიის განყოფილებაში იღებს პაციენტებს, რომელიც ს. ხეჩინაშვილის სახელობის ყელ-ყურ ცხვირის კლინიკის პირველ სართულზე მდებარეობს.

აქ, ამ ნათელ კაბინეტებში, ცნობილი ფიტოთერაპევტები საქმიანობენ, მადონა ყველას დიდ პატივს სცემს და ემადლიერება, განსაკუთრებით კლინიკის ხელმძღვანელს მანანა ჯაფარიძეს.

– ბატონი ნუგზარ ჯოგლიძე, ხომ ჩემი ღმერთიაო, – მეუბნება მადონა.

სწორედაც ბატონმა ნუგზარმა, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორმა, პროფესორმა, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ფიტოთერაპიის კათედრის გამგემ, გაუწოდა პირველად დახმარების ხელი და დღემდე მხარში უდგას, რადგან მან საკუთარ მშობელზე გამოსცადა მადონას მკურნალობის ძალა.

და თუ თქვენ სადმე, ამ ქერათმიან, ჩქარი ნაბიჯით მიმავალ ქალბატონს შეხვდებით, ნუ გაიკვირვებთ: მადონა ჯოლოგუას, დიდი ოჯახის დიასახლისს, ყველაფრის მოსწრება უნდა, სახლშიც და გარეთაც. მისი დევიზი ხომ კეთილშობილურია: „სანამ ცოცხალი ხარ, გიყვარდეს და სიკეთე თესე“.

**მარადი ანასაშვილი.**

⊙ ეგებ, გამოგვადგეს!

# შენ, წვიმავ, ჩემო დამაქცეველო...

## მომე, მომე მე ხელფასი

**წალეკა მთელი რუსეთი დანაშაულმა. ეს ქვეყანა საქართველოს ეპოტინება, აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთს ეთოთხმეტება, არადა, ხელიდან საკუთარი თავი უსხლტდება. 2003 წელს აქ მოხდა 2 850 000 ბოროტმოქმედება. სხვას გვერდი ავუაროთ და მარტოოდენ მკვლელობები ავიღოთ. ყოველ 100 ათას კაცზე გათვლით „იმპერიაში“ ჩადენილია 20-ჯერ მეტი მკვლელობა, ვიდრე იაპონიაში, 17-ჯერ მეტი, ვიდრე გერმანიაში, 14-ჯერ მეტი, ვიდრე საფრანგეთში, 12-ჯერ მეტი, ვიდრე შვედეთში...**

და თქვენ გგონიათ, ეს ყოფილა ყველაფერი? რას ბრძანებთ! 2 ივლისს რუსეთის გენერალურმა პროკურორმა ვლადიმირ უსტინოვმა ჩაატარა კოლეგიის გაფართოებული სხდომა. წარმატებებზე კრინტიც არ დაუძრავს. ხუთ საჭირბოროტო საკითხზე შეჩერდა, რომელთა შორის მკვლელობების მოხშირება უპირველესი გახლდათ.

თუმცა, მოხშირება ერთია, მათი ზუსტი აღრიცხვა კი მეორე. ჰოდა, მხოლოდ იაროსლავლის ოლქში, გასვლით ბრიგადას, თვალის ერთი გადავლებით, ალმოუჩენია 66 დამალული მკვლელობა. ეს თვალის ერთი გადავლებითო, და თუ ჩავუღრმავდებითო, ალბათ 166-ზე შევჩერდებითო. მაშ!



პროკურატურის მეორე ჩავარდნა მოხდა ხელფასების, პენსიებისა და შემწეობების გაცემაში. სადღეისოდ ხელფასებში რუსეთს ვალად აძევს 25 მილიარდი რუბლი. ჯამაგირის თანხები თურმე სხვა ზიზილ-პიპილოებში იხარჯება. ბურიატიაში, მაგალითად, სასამართლოს ძალით ამოუღიათ 40 მილიონი, ულიანოვსკის ოლქში – 110 მილიონი რუბლი. ხელფასის დაგვიანებისთვის კი მხოლოდ 4 კაცი მივეცით პასუხისგებაშიო, – ნანობს გენპროკურორი.

ხელფასების, პენსიებისა და შემწეობების დაგვიანებით გაცემისთვის საქართველოში 4-ის კი არა, 104-ის დასჯაც სასაცილოა. თუმცა, ამ კუთხით ვიღაც-ვიღაცეებს (თუნდაც „საფოსტო ბანკის“ მესვეურებს) შეიძლება ცხვირიდან ძმარი ადინონ. აი, მესამე საკითხზე კი აბა, რა მოგახსენოთ. იგი ეხება მოსახლეობის გამოზამთრებას, კერძოდ, ბინების გათბობას. წინა ზამთარს გულგრილობისთვის რუსეთში ადმინისტრაციული წესით დაუსჯიათ კომუნალური მეურნეობის 600 მუშაკი, სასამართლოს გადაწყვეტილებით კი – 900 მუშაკი.

ნეტა, ჩვენი ბინების გათბობაზე ოდესმე თუ იფიქრებენ ქართველი პროკურორები? თუმცა რა, რუსეთისგან განსხვავებით, მათ ეს ფუნქციურად არ ეკისრებათ. ვისაც ეკისრება? ქართველი კაცი, მით უმეტეს სოფლად, გათოშილ ცოლშვილს ათბობს ტყით, – შეშით, ფიჩხით. თუ ეკონომიკის მინისტრმა ეს ტყე პირწმინდად გაგვიყიდა, მოსახლეობის უმეტესობა სიცივით ამოწყდება, ამის გამო კი პასუხი არავის მოეთხოვება.

მეოთხე ჩავარდნაა დანაშაულის პროფილაქტიკაში, მეხუთე კი – საგამოძიებო აპარატის უნიათობაში. უბნის ინსპექტორებიც და გამომძიებლებიც თურმე ძირითადად დაკავებული არიან ცნობებისა და ანგარიშების შედგენით, ვიდრე პრაქტიკული საქმიანობით. მსგავსი რამ ჩვენც გვაწუხებს.

ეს საკითხები რუსეთში ისეთ დონეზეა აყვანილი, რომ გენერალურმა პროკურორმა კოლეგიის სხდომაზე მოიწვია პრეზიდენტის თანაშემწე ვიქტორ ივანოვი, უშიშროების ფედერალური სამსახურის დირექტორი ნიკოლოზ პატრუშევი, თავდაცვის მინისტრი სერგეი ივანოვი, ფედერაციის საბჭოს წევრი ისა კოსტოევი, სახელმწიფო სათათბიროს უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე მიხეილ გრიშანკოვი და სხვები. რაც მთავარია, მსგავსი კოლეგიის სხდომა ერთი თვის (დიახ, ერთი თვის) შემდეგ კიდევ გაიმართება და უსულგულოებს სასჯელიც უკვე კონკრეტულად „გამოეწერება“.

წინა ხელისუფლება ამ კუთხით თავს არ იკლავდა, ყველაფერს „ყინავდა“. ურიგო არ იქნება, თუ რუს ჩინოვნიკებს ქართველი კოლეგები ახლა მაინც გაეჯიბრებიან ხელფასების, პენსიებისა და შემწეობების დროულად დარიგებაში, ნახშირით, ნავთითა და შეშით მოსახლეობის მომარაგებაში.

იხ. მე-9 გვ.

საქართველოს რესპუბლიკა
№ 165, კვირა, 18 ივლისი, 2004 წელი.

# არის თუ არა მარსზე სიცოცხლე?

**მარსის ატმოსფეროში აღმოჩენილია ამიაკის კვალი, რაც შეიძლება ნიშნავდეს იმას, რომ ამ პლანეტაზე არის ორგანული სიცოცხლე.**

როგორც მკვლევარები აღნიშნავენ, ამიაკის ზოლები შეინიშნება მარსის ატმოსფეროს სპექტრებში, რომელიც მიიღეს ევროპის კოსმოსური სააგენტოს კუთვნილი „მარსს ექსპრესის“ ორბიტული სადგურიდან.



ამიაკს ატმოსფეროში მცირე ხანს შეუძლია არსებობა. ატმოსფეროში ამ გაზის შეღწევის წყარო შეიძლება იყოს სულ ორი – ან აქტიური ვულკანები, რომლებიც მარსზე ჯერჯერობით არ აღმოუჩენიათ, ან მიკრობების მოქმედება.

ამერიკის კოსმოსური სააგენტოს – ნასას ერთ-ერთი პლანეტოლოგის აზრით, ამიაკის არსებობა მარსის ატმოსფეროში, შესაძლოა იყოს იმის პირდაპირი მინიშნება, რომ ამ პლანეტაზე არის სიცოცხლე.

პირველი მონაცემები მარსის ატმოსფეროში ამიაკის კვალის შესახებ მიიღეს „მარს ექსპრესის“ ბორტზე დამონტაჟებული ფურიეს პლანეტარული სპექტრომეტრით.

პროფესორმა ვიტორიო ფორმიზანომ, იგი პასუხს აგებს ამ ხელსაწყოს მუშაობისათვის, სპექტრომეტრის მეშვეობით მიღებული ახალი მონაცემები უნდა გააცნოს პარიზის საერთაშორისო კონფერენციის მონაწილეებს, რომელიც მომავალ კვირას გაიხსნება.

# დააპატიმრეს სკოლის დირექტორი

**პოლიციამ დააპატიმრა ინდოეთის ერთ-ერთი სკოლის დირექტორი, რომელშიც მომხდარი ხანძრის შედეგად დაიღუპა 80-ზე მეტი ბავშვი. როგორც იტყობინებიან, დირექტორს, შესაძლოა, წაუყენონ ბრალდება დანაშაულებრივი გულგრილობისთვის.**

ტრაგედია მოხდა ინდოეთის ტამილ ნადუს სამხრეთ-აღმოსავლეთის შტატში. დაღუპული ბავშვების დანახშირებული გვამები დაასვენეს ერთ-ერთ საკლასო ოთახში, სადაც მივიდნენ მშობლები დაღუპულთა ამოსაცნობად.

შტატის დედაქალაქ მადრასიდან სამხრეთ-აღმოსავლეთით 300 კილომეტრზე მდებარე ამ სკოლაში ხანძრის გაჩენის მომენტისათვის ორასამდე მოსწავლე იმყოფებოდა.

არის მონაცემები იმის თაობაზე, რომ ხანძარი გაჩნდა ადგილობრივი დროით დილის 11 საათისათვის სკოლის სამზარეულოში და იგი მალე მოედო საკლასო ოთახებსაც. სკოლას ჩალის სახურავი ჰქონდა და იგი დაეცა მოსწავლეებს მაშინ, როცა ისინი აპირებდნენ ვიწრო დერეფნებით გასვლას ალმოდებული ნაგებობიდან.

მეხანძრეებმა განაცხადეს, რომ მათ შეძლეს სულ ცოტა 80 ბავშვის გადარჩენა, სანამ დაემხობოდა სახურავი. მეხანძრეებმა აგრეთვე სცადეს შეენგრიათ კედლები, რათა გაეადვილებინათ ბავშვებისათვის შენობიდან გამოსვლა.

რაიონის ადმინისტრაციის მეთაურმა ჯეი რადჰაკრიშნანმა განაცხადა, რომ ხანძარი ორ საათში ჩააქრეს.

დაღუპულთა უმრავლესობა გოგონები არიან, მაგრამ გვამები თითქმის დანახშირებულია და მათი იდენტიფიცირება შეუძლებელია. ჯერჯერობით ვერ დაუდგენიათ, არიან თუ არა დაღუპულთა შორის მასწავლებლებიც.




# რა საფრთხეს გვიქმნიან დალტონიკები?

**მხედველობის ეს დეფექტი 1794 წელს პირველმა აღწერა ინგლისელმა ქიმიკოსმა და ფიზიკოსმა ჯონ დალტონმა, რომელიც თვითონაც უჩიოდა ამ დეფექტს. ხანგრძლივი დროის განმავლობაში ამ „არასერიოზულ“ დაავადებას დიდ ყურადღებას არ უთმობდნენ, სანამ შვედეთში 1875 წელს არ მოხდა დიდი სარკინიგზო კატასტროფა.**

გამოძიების წინაშე წამოიჭრა მეტისმეტად რთული საკითხი: როგორ მოხდა, რომ მემანქანემ (სხვათა შორის, იგი სასწაულით გადარჩა და ამტკიცებდა, რომ შემადგენლობა მწვანე შუქზე გაატარა), ვერ შენიშნა სემაფორის წითელი სინათლე? ამ კითხვაზე პასუხის გაცემა შეძლო მხოლოდ ექსპერტმა: ცნობილმა ფიზიოლოგმა ჰალმგრენმა მემანქანეს უჩვენა კოჭზე დახვეული სხვადასხვა ფერის ძაფები და სთხოვა ეთქვა, თუ რომელი რა ფერის იყო. განსასჯელმა მწვანე ძაფზე თქვა, რომ წითელი იყო, რითაც დამსწრენი შოკში ჩააგდო. მას შემდეგ დალტონიზმის პრობლემას დიდი ყურადღებით მოეკიდნენ, განსაკუთრებით – სატრანსპორტო საშუალებებისა და ავიაციის გამოჩენის შემდეგ. დალტონიზმს, ანუ დიქრომაზიას, ხშირად უწოდებენ ნაწილობრივ „ფერების სიბრმავეს“, რომლის დროსაც ადამიანს ერღვევა ნორმალური ტრიქრომატიკული ფერთა აღთქმა, ამ დროს იგი ერთდროულად აღიქვამს სამ ძირითად ფერს – წითელს, მწვანეს, იისფერს და მათგან ნაწარმოებ ელფერებს. დიქრომანტებმა შეიძლება ვერ გაარჩიონ წითელი (პროტანოპია), მწვანე (დეიტერანოპია) და იისფერი (ტრიტანოპია). სტატისტიკის თანახმად, შთამომავლობითი დალტონიზმი ვლინდება მამაკაცების 8 და ქალების 0,5 პროცენტში.

# გათავისუფლებული კომპენსაციას მოითხოვს

**შვეციის მოქალაქე მეხდი-მუჰამედ გაზელი, რომელიც ახლახან გუანტანამოდან გაათავისუფლეს, კომპენსაციის მოთხოვნას აპირებს.** იგი კატეგორიულად უარყოფს ნებისმიერ ბრალდებას „ალ-ყაიდას“ ქსელთან ურთიერთობის შსახებ და ამბობს, რომ ამერიკელმა სამხედროებმა 2001 წელს ტყუილუბრალოდ დააპატიმრეს ავღანეთის ქალაქ ჯალალაბადში თავისი მეგობრის – რიგითი ავღანელის ოჯახში.



# დააკავეს ჯინჯიჩის მკვლელობაში ეჭვმიტანილი

**საბერძნეთში დააკავეს სერბიის პრემიერ-მინისტრის ზორან ჯინჯიჩის მკვლელობაში ეჭვმიტანილი პიროვნება.** დაკავებულის ფოტოსურათი და მონაცემები ინტერპოლმა გადმოგვცა, – ნათქვამია პოლიციის განცხადებაში. იტყობინებიან იმასაც, რომ დაკავებული 34 წლისაა, მაგრამ მის გვარს არ ასახელებენ.

# მოკლედ

**ბაღდადში** თავს დაესხნენ ერაყის იუსტიციის მინისტრს. ავტომობილი, რომელშიც დადებული იყო ასაფეთქებელი მოწყობილობა, აფეთქდა მაშინ, როცა მის გვერდით ჩაიარა მინისტრის კორტეჟმა, თვითმხილველთა თქმით აფეთქება ძლიერი იყო.

* * *

**ერაყი** დატოვა ფილიპინების ჯარების ნაწილმა. ფილიპინების ხელისუფლება ასრულებს მოთარეშეთა მოთხოვნას, რომლებსაც დატყვევებული ჰყავთ ამ ქვეყნის მოქალაქე ანჯელო დე ლა კრუზი. ფილიპინების კონტიგენტის 11 წევრმა სამი მანქანით გადაკვეთა ერაყ-ქუვეითის საზღვარი. გამტაცებლები აცხადებენ, რომ ფილიპინების საჯარო კონტიგენტმა ივლისის დამლევამდე უნდა დატოვოს ერაყის ტერიტორია.

* * *

**ერაყის** ქალაქ მაჰმუდიაში ააფეთქეს ეროვნული გვარდიის შენობა. წინასწარი მონაცემებით, აფეთქებას დიდი მსხვერპლი მოჰყვა. პოლიციამ გადაკეტა შემთხვევის ადგილისაკენ მისასვლელი გზები, იქ მხოლოდ „სასწრაფო დახმარების“ მანქანებს უშვებენ.

* * *

**ერაყის** ნავთობსა და გაზს უმაღლესი საბჭოს ქვეყნის პრემიერ-მინისტრი უხელმძღვანელებს. საბჭო შეიმუშავებს სახელმწიფო პოლიტიკას ნავთობისა და გაზის სფეროში, დაარეგულირებს ნავთობის ფასებს და გააკონტროლებს ნავთობის სამინისტროს საკადრო პოლიტიკას.

* * *

**იაპონიაში** სულ უფრო მეტი პოპულარობით სარგებლობს ბრძოლები წესების გარეშე, რომლებსაც ქვეყნის წამყვანი ტელეარხებიც კი გადასცემენ. ორთაბრძოლები თითქმის ყოველთვის ნოკაუტით მთავრდება, ხშირად კი მის ორგანიზატორებს უწევთ გადაუდებელი სამედიცინო დახმარების ბრიგადების გამოძახება. აღსანიშნავია, რომ ასეთი ორთაბრძოლების მოყვარულთა შორის სუსტი სქესის წარმომადგენლები ჭარბობენ.

# საგანგებო მდგომარეობა ღაზას სექტორში

**პალესტინის ეროვნული უშიშროების საბჭომ გამოაცხადა საგანგებო მდგომარეობა ღაზას სექტორში მას შემდეგ, რაც იქ გაიტაცეს რამდენიმე ადამიანი.**

უკვე გავრცელდა ინფორმაცია, რომ გაათავისუფლეს მოთარეშეთა მიერ დატყვევებული საფრანგეთის ოთხივე მოქალაქე.

მძევლების აყვანასთან დაკავშირებული კრიზისის გამო გადადგა პალესტინის ძალოვან უწყებათა ორი ხელმძღვანელი.

ამინ ჰინდიმ და რაშიდ აბუ შაბაქმა ხელმძღვანელობას უპატაკეს თანამდებობიდან გადადგომის შესახებ, მას შემდეგ, რაც შეიტყვეს, რომ ღაზას სექტორში პალესტინელთა პოლიციის უფროსიც მცირე ხნის განმავლობაში დაკავებული ჰყავდათ გამტაცებლებს.

როგორც კი მიიღეს ინფორმაცია ამ პირთა გადადგომის შესახებ, მოთარეშეებმა გაათავისუფლეს ერთ-ერთი ჰუმანიტარული ორგანიზაციის ოთხი ფრანგი თანამშრომლიდან ორი, რომლებიც პარასკევს აიყვანეს მძევლად. მოგვიანებით საინფორმაციო სააგენტოებმა გაავრცელეს ცნობები ყველა ფრანგი მძევლის განთავისუფლების შესახებ და ისინი იმოწმებდნენ როგორც თვით გამტაცებლების, ისე თვით მძევლად გამონათქვამებს.

პალესტინელი წყაროები იტყობინებიან, რომ პალესტინელთა დაზვერვის მეთაურმა ჰინდიმ და მისმა კოლეგამ აბუ შაბაქიმ, რომელიც ღაზას სექტორში მეთაურობდა უწესრიგობის აღკვეთისათვის განკუთვნილ ძალებს, განთავისუფლების შესახებ თხოვნით მიმართეს პალესტინის ავტონომიის ლიდერს იასირ არაფატს. ჯერჯერობით არ არის ცნობილი, დააკმაყოფილეს თუ არა ძალოვანი ხელმძღვანელების ასეთი თხოვნა.

როგორც ჰინდიმ, ისე აბუ შაბაქმა განაცხადეს, რომ თანამდებობებს სტოვებენ „ღაზის სექტორში არსებული ქაოსის, აგრეთვე იმის გამო, რომ პალესტინის ავტონომიის ხელმძღვანელობას არ სურს რეფორმათა დაწყება“, – იტყობინებოდა „რეიტერის“ სააგენტო.

ოთხი ფრანგი მოთარეშეებმა დაატყვევეს ღაზის სექტორში მდებარე ქალაქ ჰან იუნისის ერთ-ერთ კაფეში. თვითმხილველების თქმით, მძევლები მიიყვანეს პალესტინის წითელი ნახევარმთვარის შენობაში, რომელიც ალყაშემორტყმული იყო შეიარაღებული ადამიანების მიერ.

მოგვიანებით თვითმხილველებმა შენიშნეს, რომ ორმა მძევალმა ქალმა დატოვა შენობა, ამავე დროს, მოთარეშეები აცხადებდნენ, რომ დანარჩენ მძევლებსაც გაანთავისუფლებდნენ.

მანამდე კი, ღაზის სექტორში პალესტინელთა პოლიციის შეფი ჯაბალი გაანთავისუფლეს მას შემდეგ, რაც იგი მცირე ხნით ჰყავდათ დატყვევებული გამტაცებლებს.



# მილოშევიჩის ჯანმრთელობის მდგომარეობა გაუარესდა

**იუგოსლავიის ყოფილი ლიდერის სლობოდან მილოშევიჩის სასამართლო გადაიდო 31 აგვისტომდე მისი ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესების გამო.**

სასამართლო პროცესი ორშაბათს უნდა განახლებულიყო, მაგრამ მილოშევიჩის კარდიოლოგმა განაცხადა, რომ განსასჯელი თავს ცუდად გრძნობდა და იგი ვერ წარსდგებოდა სასამართლოს წინაშე.

როგორც ცნობილია, 62 წლის სლობოდან მილოშევიჩი, რომელიც ჰიპერტონიით არის დაავადებული, თვითონ იცავს თავის ინტერესებს ჰააგის სამხედრო დანაშაულობათა ტრიბუნალში. მილოშევიჩს ბრალად ედება გენოციდი, ადამიანურობის წინააღმდეგ დანაშაული, აგრეთვე სამხედრო დანაშაულობათა ჩადენა.

მილოშევიჩის პროცესი, რომელიც 2002 წლის თებერვალში დაიწყო ჰააგის საერთაშორისო ტრიბუნალში, არაერთხელ გადაიდო მისი ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესების გამო.

როგორც მიმომხილველები აღნიშნავენ, იმან, რომ იუგოსლავიის ყოფილმა ლიდერმა თვითონ გადაწყვიტა საკუთარი თავის დაცვა,



გააღრმავა სტრესი, რომელსაც მილოშევიჩი განიცდიდა მთელი ამ სასამართლო მარათონის მანძილზე.

ახლა მოსამართლეები განიხილავენ ასეთ საკითხს: ხომ არ აიძულონ მილოშევიჩი დათანხმდეს ადვოკატის დაქირავებას, რათა ნაწილობრივ მაინც მოიხსნას ის უდიდესი დაძაბულობა, რომელიც მას აწევს.

უცხოეთის სააგენტოებისა და ჟურნალ-გაზეთების მიხედვით მოამზადა

**ზაზა ბეჟანიძემ.**

# სპორტი




## ◎ ჩოგბურთი

# ბალის პირამიდა დაინგრა

**კარში ბიჭები არიან ქარიმ და მოჰამედ მაამოუნები - მაღლები, მოქნილები და ჩოგანსაც მარჯვედ იქნევენ. მაგრამ ჩვენს ბიჭებს მათი მოთვინიერება არ გასჭირვებიათ. უკვე გაუწყეთ, რომ გუშინწინ ერთეულთა თანრიგში ირაკლი ლაბაძემ და ირაკლი უშანგიშვილმა, შესაბამისად, მოჰამედს და ქარიმს სძლიეს.** მართალია, ქართველ ჩოგბურთელთა ლიდერი ლაბაძე მარჯვენა ხელს იტკიებდა, მაგრამ გუშინ, გუნდის ინტერესებიდან გამომდინარე, მაინც გამოვიდა კორტზე ლადო ჩიხლაძესთან ერთად წყვილებში საასპარეზოდ. ეგვიპტელთა კაპიტანს ქარიმ ბალის, ეტყობა, გულის კუნჭულში იმედის ნაპერწკალი კიდევ უღვიოდა, ამიტომ მასპინძელთა წინააღმდეგ მაამოუნების დუეტი გამოიყვანა, თუმცა, მარცხს მაინც ვერ გადაურჩა – გამოცდილი ლაბაძის გვერდით შესანიშნავად იასპარეზა 19 წლის ჩიხლაძემ, რომლის ძლიერ მოწოდებებს ვერაფერი დაუპირისპირეს ეგვიპტელებმა და სამივე პარტია პირწმინდად წააგეს – 3:6, 2:6 და 2:6..

**ირაკლი ლაბაძე:** მაამოუნების სახით საკმაოდ ძლიერი და გამოცდილი მეტოქეები გვყავდა, მაგრამ ამჯერად ჩვენ უკეთ ვითამაშეთ. საბოლოო წარმატებას სათავე დაუდო ირაკლი უშანგიშვილმა, რომელმაც პირველსავე შეხვედრაში ეგვიპტელთა უძლიერესი ჩოგბურთელი ქარიმ მაამოუნი დაამარცხა. ბედნიერი ვარ, რომ საერთო გამარჯვებაში ჩემი წვლილიც ურევია...

დამოუკიდებელი გუნდის სტატუსით საქართველოს ჩოგბურთელებმა დევისის თასზე პირველად 1994 წელს კოტ დი ვუარში იასპარეზეს. ევრო-აფრიკული ზონის III ჯგუფში ჩვენმა სპორტსმენებმა (ანატოლი ახალაძე, იოსებ სიამაშვილი, დავით გოგილაშვილი, ლევან გელაშვილი, კაპიტანი – ვლადიმერ გოგლიძე) მაშინ ოთხიდან სამი შეხვედრა მოიგეს.

საქართველოს ნაკრებისთვის წარმატებული გამოდგა დევისის თასის 1996 წლის გათამაშება. ევრო-აფრიკული ზონის მე-3 ჯგუფის ორთაბრძოლები სტამბოლში გაიმართა. ჩვენმა ბიჭებმა (ვლადიმერ გაბრიჩიძე, დავით კაჭარავა, ვლადიმერ მარგალიტაძე, ირაკლი კუნჭულია, კაპიტანი – ნიკო ელერდაშვილი) ყველა მეტოქე დაამარცხეს და II ჯგუფში აღზევდნენ. მომდევნო წელს კი თბილისში სლოვენიასთან წააგეს, თუმცა, ნიგერია დაამარცხეს და ჯგუფში ადგილი შეინარჩუნეს.

მომდევნო სამი წელი საქართველოს ჩოგბურთელებისთვის წარუმატებელი გამოდგა. ისინი ზედიზედ დამარცხდნენ მეტოქეებთან და ზონის მე-4 ჯგუფში აღმოჩნდნენ. 2002 წლიდან კვლავ დაიწყო ჩვენი გუნდის აღმავლობა. ვლადიმერ გაბრიჩიძემ, ირაკლი უშანგიშვილმა და ვლადიმერ კაკულიამ ერთი საფეხურით დააწინაურეს ნაკრები. შარშან ირაკლი ლაბაძის დახმარებით (მასთან ერთად თამაშობდნენ ირაკლი უშანგიშვილი, დავით კვერნაძე და ომარ მურღულია) ჩვენები ევრო-აფრიკული ზონის II ჯგუფს დაუბრუნდნენ.

წლეულს, მართალია, პირველი შეხვედრა იტალიელებთან დავთმეთ სტუმრად 2:3, მაგრამ, როგორც ვნახეთ, ჯგუფში ადგილის შენარჩუნება არ გაგვჭირვებია. პერსპექტიული გუნდი გვყავს, დევისის თასზე მას მეტი წარმატების მიღწევა შეუძლია...

**ლეილა მესხის ჩოგბურთის აკადემიის კორტებზე დღეს ბოლო ორი ორთაბრძოლა გაიმართება, თუმცა, საბოლოო შედეგისთვის მათ უკვე მნიშვნელობა აღარ აქვს.**

**ლექსო ცინცაძე.**

**სურათზე: შეჯიბრების მომენტი.**

**ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო.**

## ◎ ცხოვრების ჯანსაღი წესი

# როცა ფიზიკური ნაკლიც ვერ გაფერხებს...

**ბოლო წლებში ნაკლები ყურადღება ექცეოდა ფიზიკური ნაკლის მქონე ადამიანთა სპორტში აქტიურ ჩაბმას. 1998 წლის შემდეგ არავის გაუმართავს მათთვის ღონისძიებები ცხოვრების ჯანსაღი წესის დასამკვიდრებლად. ტრადიციის აღორძინება ისევ თბილისის მერიის კულტურისა და სპორტის საქალაქო სამსახურმა (დავით ოქიტაშვილი და გიორგი უდესიანი) ითავა საქართველოს პარაოლიმპიურ კომიტეტთან (თავმჯდომარე დავით მაისურაძე) ერთად. ორგანიზატორებს დახმარება გაუწია შპს „იბერიამ“ (გენერალური დირექტორი დავით ლომჯარია) – „პეპსის“ ოფიციალურმა ბოთლერმა საქართველოში.**

რაც შეეხება შეზღუდული შესაძლებლობების პირთა თბილისის სპარტაკიადას, იგი ორი დღის განმავლობაში მიმდინარეობდა დიდუბე-ჩუღურეთის რაიონის სასპორტო სკოლის (დირექტორი მიხეილ სუმბათიანი) ბაზაზე. საასპარეზოდ სპორტის ექვს სახეობაში 300-მდე ქალ-ვაჟი გამოვიდა სარბიელზე. მათ შორის იყვნენ მსოფლიო პარაოლიმპიური თამაშების ჩემპიონები – ბესო ლეკიაშვილი და ნიკოლოზ გარანკინი.

გაუწყებთ თბილისის სპარტაკიადის ჩემპიონთა და პრიზიორთა ვინაობას:

**შაში. ქალები.** 1. თამარ ხორბალაძე, 2. ლუბა აბულაძე, 3. მანანა მამულაშვილი. **ვაჟები.** 1. რომან გოგოლაძე, 2. შალვა ყაფლანიშვილი, 3. ჯაბა ჭიოკაძე.




**ჭადრაკი**. 1. გოგი ჭუმბურიძე, 2. ზურაბ ყალიჩავა, 3. ნიკოლოზ მირონოვი.

**მაგიდის ჩოგბურთი. ქალები.** 1. მილენა აივაზოვა. 2. ნათია კაციტაძე, 3. ვიკა არუთინოვა. **ვაჟები.** 1. ჯემალ არაზანაშვილი, 2. თამაზ თავართქილაძე, 3. დავით გეგენავა.

**დარტსი.** 1. ელზა მანჯაფარაშვილი და ხვიჩა ჩაჩანიძე, 2. თამაზ თავართქილაძე, 3. მურმან კალანდია.

**ბურთის კალათში ჩაგდება.** 1. ფარჰად აბასოვი, 2. მამუკა ტერტერაშვილი, 3. ბესო ლეკიაშვილი.

**მკლავჭიდი (აბსოლუტური პირველობა).** 1. ბესო ლეკიაშვილი, 2. ფარჰად აბასოვი.

ასპარეზობის დამთავრების შემდეგ თბილისის მერიის კულტურისა და სპორტის სამსახურის უფროსის მოადგილემ გიორგი უდესიანმა გამარჯვებულები და პრიზიორები ფასიანი საჩუქრებით დააჯილდოვა.



**ვაჟა დანელია.**

**სურათებზე: გიორგი უდესიანი აჯილდოებს მილენა აივაზოვას; ასპარეზობის მომენტები.**

**რობერტ ბაგოიანის ფოტო.**





## ◎ ყოველი მხრიდან



### 15 სექტემბერს გადაწყდება

**მოსკოვში გამართულ პრესკონფერენციაზე ფიდეს პრეზიდენტმა კირსან ილუმჟინოვმა შეკრებილთ აცნობა, რომ 15 სექტემბერს გამოცხადდება ქალაქი, სადაც გაიმართება ამ დღეებში ტრიპოლში დამთავრებული მსოფლიო ჩემპიონატის გამარჯვებულის, უზბეკი რუსტამ კასიმჯანოვისა და მსოფლიო რეიტინგით პირველი მოჭადრაკის გარი კასპაროვის ორთაბრძოლა.**

**ფიდეს ახლანდელი ჩემპიონისა და კლასიკური ჭადრაკის პირველი ნომრის მატჩის მასპინძლობაზე პრეტენზიას აცხადებს სამი ქალაქი – დუბაი (გაერთიანებული არაბეთის საამიროები), ტაშკენტი (უზბეკეთი) და ლონდონი (ინგლისი), ბოლო დროს ასეთი სურვილი გერმანიამაც გამოთქვა.**

მატჩის საპრიზო ფონდი მილიონ დოლარზე ნაკლები არ იქნება.

### სარეკორდო კონტრაქტი — 136,4 მილიონი

**კალათბურთის ეროვნული ასოციაციის ვარსკვლავის კობი ბრაიანტის გადაწყვეტილებამ ძალზე გაახარა თითქმის დაშლის გზაზე დამდგარი „ლოს-ანჟელეს ლეიკერსი“. როგორც კანადის ტელეკომპანია** TSN **იუწყება, ამ სახელოვანმა კალათბურთელმა გადაწყვიტა გუნდში დარჩენა და გააფორმა ახალი, შვიდწლიანი კონტრაქტი, რომლის თანახმად, ბრაიანტი მიიღებს 136,4 მილიონ დოლარს, რაც სარეკორდოა საკალათბურთო ლიგის ისტორიაში.**

შეგახსენებთ, რომ ამ ზაფხულს „ლეიკერსში“ სერიოზული ცვლილებები მოხდა – გუნდი დატოვა ცენტრალურმა მოთამაშემ, ამერიკული კალათბურთის ერთ-ერთმა ბრწყინვალე ვარსკვლავმა შაკილ ო‘ ნილმა, შემდეგ მას მიჰყვა მთავარი მწვრთნელი ფილ ჯექსონი – ამ, ერთ-ერთ უძლიერეს გუნდთან ხუთი წელი რომ მუშაობდა. ისე რომ, კობი ბრაიანტის გუნდიდან წასვლა „ლეიკერსის“ დაშლას მოასწავებდა.

კობი „ლეიკერსში“ მოვიდა 1996 წელს, 18 წლისა და ამ გუნდის შემადგენლობაში სამჯერ მოიპოვა საჩემპიონო ბეჭედი. სხვათა შორის, ბრაიანტს ასევე ხანგრძლივ, ხელსაყრელ კონტრაქტებს სთავაზობდნენ „კლოპერსი“ და „ბოსტონი“.



### რონალდომ ყველას „აურია“

**როგორც რონალდოს წარმომადგენელმა განაცხადა, ბრაზილიელი მადრიდის სამეფო კლუბ „რეალს“ დატოვებს 2006 წლის მსოფლიო ჩემპიონატის შემდეგ. ეს პირდაპირ საწინააღმდეგოა იმ ცნობისა, რაც პრესამ ამ დღეებში გაავრცელა; თითქოს უახლოეს სეზონში რონალდო „ტოტენჰემში“ ითამაშებსო.**

მართალია, რონალდოს წარმომადგენელმა როდრიგო პავიამ თქვა, რომ ფეხბურთელი არ გააგრძელებს სამეფო კლუბთან ამჟამად მოქმედ კონტრაქტს, რომელსაც ვადა 2006 წელს გასდის. მაგრამ „რეალის“ პრეზიდენტმა ფლორენტინო პერესმა განაცხადა, რომ იგი აპირებს ბრაზილიელთან ხელშეკრულების გაგრძელებას კიდევ ორი სეზონით, რაზეც თითქმის უკვე მოილაპარაკეს.

თუმცა, გასულ კვირას რონალდომ ისიც თქვა, რომ სურს თავისი ძალების გამოცდა ინგლისის ჩემპიონატში. მაგრამ როდის და სად, არ დაუზუსტებია.

სპორტი
საქართველოს რესპუბლიკა
№ 165, კვირა, 18 ივლისი, 2004 წელი.

## ყოველი მხრიდან

### ათენში მაინც წავა

**საკრამენტოში, აშშ მძლეოსანთა ჩემპიონატზე ძალზე მოეცარა ხელი სახელგანთქმულ სპრინტერს მერიონ ჯონსს. ის თავის ძირითად დისტანციაზე – 100 მეტრზე სირბილში ამერიკის საოლიმპიადო ნაკრებში ვერ მოხვდა.**

სამაგიეროდ, მსოფლიო მძლეოსნობის ვარსკვლავმა თავი ისახელა სიგრძეზე ხტომაში. 27 წლის სპორტსმენმა ძალზე კარგი ნახტომი გააკეთა – 7,11 მეტრი. მეორე ადგილზე გამოსული აპშოუ მხოლოდ 6,83 მეტრზე გადახტა.

ისე რომ, მერიონ ჯონსს უკვე აქვს ათენის ერთი საგზური, მეორე კი, შესაძლოა, 200 მეტრზე სირბილში მოიპოვოს.

შეგახსენებთ, რომ 2000 წელს სიდნეიში, ჯონსმა ოქროს მედლები მოიპოვა 100 და 200 მეტრზე სირბილში, აგრეთვე ესტაფეტაში 4X400 მ. ხოლო „ბრინჯაო“ – სიგრძეზე ხტომასა და ესტაფეტაში 4X100 მ.

### მარადონას ფიფა დაეხმარება



**ფეხბურთის გულშემატკივრებმა კარგად იციან, რომ საშველი არ დაადგა ნარკომანიიდან მსოფლიო ფეხბურთის ვარსკვლავის, არგენტინელი დიეგო მარადონას განკურნებას. ცნობილია, რომ ის კუბაშიც მკურნალობდა, ბოლო ხანებში კი სამშობლოს ცნობილ კლინიკებში.**

ფეხბურთის ასოციაციათა საერთაშორისო ფედერაცია – ფიფა – მზადაა, გადაიხადოს გულშემატკივართა კერპის მკურნალობის საფასური შვეიცარიის ერთ-ერთ სპეციალიზებულ კლინიკაში. ამის შესახებ ჟურნალისტებს განუცხადა ფიფას ვიცე-პრეზიდენტმა, არგენტინელმა ხულიო გრონდონამ. მარადონას სამკურნალოდ მზადყოფნას აცხადებს ორი შვეიცარიული კლინიკა.

წლეულს დიეგო ორჯერ მოხვდა რეამინაციაში... უმძიმეს მდგომარეობაში მყოფი, სუნთქვისა და საკვებ მომნელებელი ტრაქტის მოშლილობით. ექიმების დასკვნით ამის მიზეზი იყო ნარკოტიკებისადმი დიდი მიდრეკილება.

ამჟამად მარადონა, – მისი ნების საწინააღმდეგოდ, მაგრამ ნათესავების დაჟინებით – მოთავსებულია ფსიქიატრიულ საავადმყოფოში. მისი მკურნალი ექიმის ალფრედო კოეს თქმით, მარადონას სამკურნალო ადგილი მისმა მშობლებმა და ძმებმა უნდა აამოირჩიონ. მაგრამ, თუ პრესას დავუჯერებთ, მარადონას ოჯახი წინააღმდეგია, რომ მან არგენტინა დატოვოს.

### გერმანელი ქალები მოითხოვენ

**შეიძლება უცნაურადაც მოგეჩვენოთ, მაგრამ გერმანელი პოლიტიკოსი ქალები ფეხბურთის ჩინოვნიკებისგან მოითხოვენ იმ წესის გაუქმებას, რომლის მიხედვითაც, ფეხბურთელი, რომელიც გოლის გატანის შემდეგ სიხარულის გამოსახატავად მაისურს გაიხდის, ყვითელი ბარათით ჯარიმდება.**

როგორც ტელეკორპორაცია BBC იტყობინება, ეველინ შონხუტ-კაილი და მარგარიტ ვოლფი მიიჩნევენ, რომ ფეხბურთის მატჩის დროს მაყურებლებმა



უნდა იხილონ გაშიშვლებული სხეული. როგორც ჩანს, მწვანეთა პარტიის ამ წარმომადგენლებს მხარს უჭერს გერმანიის მთელი საქალეთი.

ამ წესის გაუქმების წინააღმდეგ გერმანელმა პოლიტიკოსმა ქალებმა მას შემდეგ დაიწყეს ლაშქრობა, რაც პორტუგალიაში, ევროპის ჩემპიონატზე მაისურის გახდისთვის დასაჯეს კრიშტიანუ რონალდუ.

მათ ღია წერილში ნათქვამია: „უარი თქვით ყვითელ ბარათზე და მოთამაშეებს საშუალება მიეცით, გამოაჩინონ თავიანთი ათლეტური სხეული“.

### „უწესო“ ძროხები აქაც ჰყოლიათ

**გზაზე უცებ გამოჩენილმა ძროხების ნახირმა კინაღამ ჩაშალა მსოფლიოში ერთ-ერთ ყველაზე პრესტიჟული მრავალდღიანი სუპერველორბოლის „ტურ დე ფრანსის“ მორიგი, მეთერთმეტე ეტაპი. ასეთმა მოულოდნელმა დაბრკოლებამ საშუალება არ მისცა ველომრბოლელთა დიდ ჯგუფს დასწეოდა წინ გაჭრილ სამ ველოსიპედისტს, რომლებიც ეტაპის გამარჯვებულებიც გახდნენ.**

როგორც გაზეთები იტყობინებიან, ექვსი ძროხა ფინიშამდე 50 კილომეტრზე გამოიჭრა ტრასაზე და რამდენიმე ასეულ მეტრზე მორბოდა სპორტსმენთა ძირითადი ჯგუფის წინ. ძროხები მთელი გზის გასწვრივ ისე მჭიდრო ჯგუფად მირბოდნენ, რომ ველოსიპედისტებმა ვერ გადაუსწრეს მათ. გზა მხოლოდ მაშინ გაიხსნა, როცა ძროხებმა ორღობეში შეუხვიეს.

## ბილიარდი

### თამაში – უსიგარეტოდ!

**საქართველოს პროფკავშირების კულტურის სასახლეში ბილიარდის კლუბმა „ზევსმა“ თბილისის მობილიარდე ქალთა პირველობას უმასპინძლა ამერიკულ „პულში“. პირველი ადგილი დაიკავა ანა დარახველიძემ, რომელმაც ფინალში 7:4 სძლია საქართველოს ჩემპიონს – ნათია დოლიძეს. მესამე ადგილზე ეკა თორაძე გავიდა.**

16-19 სექტემბერს თბილისში ვაჟთა შორის „კავკასიის თასი“ გათამაშდება. შეჯიბრებაში, ამიერკავკასიის ქვეყნების გარდა, ბალტიისპირეთის, ჩინეთის, პოლონეთის, უელსისა და თურქეთის მობილიარდეებიც იასპარეზებენ.



აქვე ერთი შენიშვნა გვინდა გამოვთქვათ: ბილიარდის ოფიციალური ტურნირები კარგა ხანია, სპორტული ღონისძიებების პროგრამაში შევიდა, ამიტომ, ვფიქრობთ, თამაშებისას ბილიარდის კლუბებში სიგარეტს არ უნდა ეწეოდნენ. არადა, ტურნირების მსვლელობისას ბილიარდის კლუბებში ქალებიც და კაცებიც უზომოდ აბოლებენ, თან კლუბების ბარებში ალკოჰოლურ სასმელებსაც შეუზღუდავად ყიდიან.

ბილიარდი თუ სპორტის ერთ-ერთი სახეობაა, მაშინ კეთილი ვინებოთ და შეჯიბრებების დროს მაინც თავი შევიკავოთ მოწევისგან.

**გაბრიელ ბარჯაძე.**

**სურათზე: მარცხნიდან – ეკა თორაძე, ნათია დოლიძე და ანა დარახველიძე.**

**რობერტ ბაგოიანის ფოტო.**

## უიმბლდონის ჩემპიონი

### „მე მარია მქვია“

**ამას წინათ მარია შარაპოვამ ვრცელი ინტრვიუ მისცა გერმანულ ჟურნალ „ტენის მაგაცინს“, რომელსაც სახელოვანი ჩოგბურთელი ბორის ბეკერი გამოსცემს. გთავაზობთ ამონარიდებს ამ პუბლიკაციიდან.**



**– მარია, თქვენ ქალთა ჩოგბურთის სუპერვარსკვლავი ხდებით. ეს ძალიან ხომ არ იმოქმედებს 17 წლის ქალიშვილზე?**

– არა, რას ბრძანებთ! ყოველ შემთხვევაში, მე ასეთ გავლენას ვერ ვგრძნობ. მთლიანად თამაშისადმი მაქვს გულისყური მიპყრობილი. ყოველივე სხვა ნაკლებად მაინტერესებს. ჩემი მიზანია, მსოფლიოს № 1 ჩოგბურთელი გავხდე. ვიცი, მივაღწევ კიდეც.

**– ვის ბაძავთ?**

– კონკრეტულად არავის. ჩემთვის უფრო მნიშვნელოვანია საკუთარი სახის შენარჩუნება. თუმცა, ყოველთვის მხიბლავდა შტეფი გრაფის თამაში. მართალია, პირადად არ ვიცნობ, მაგრამ მინდა, იგივე შევძლო, რასაც მან მიაღწია. „დიდი მუზარადის“ რამდენ ტურნირში გაიმარჯვა?..

**– გინდათ, ასეთივე მდიდარი და სახელგანთქმული გახდეთ?**

– ვიმეორებ: მსურს, რომ მსოფლიოში № 1 ჩოგბურთელი ვიყო, დანარჩენი თავისით მოვა.

**– ბევრნი „ახალ კურნიკოვად“ გნათლავენ. საჩოგბურთო ლოლიტას იმიჯი ხომ არ გაღიზიანებთ?**

– ამგვარი შედარებებისადმი სრულიად გულცივი ვარ. ჯერ კიდევ იმ დროიდან, რაც 2001 წელს პროფესიულ შეჯიბრებებში დავიწყე მონაწილეობა, ანას მადარებენ, ოღონდ დღემდე ვერ გავიგე, რატომ? იქნებ იმიტომ, რომ მეც ქერათმიანი ვარ! ვიმეორებ, მე მქვია მარია, თანაც ასეთი შედარება უაზრობაა, რადგან მე უკვე ოთხი დიდი ტურნირი მოვიგე, ანას კი ერთხელაც არ გაუმარჯვია.

**– გამომწვევი განცხადებაა. ეს ხომ არ ნიშნავს, რომ ამგვარი შედარება მაინც განერვიულებთ?**

– თქვენ ვერ გამიგეთ: მე ანას საწინააღმდეგო არაფერი მაქვს. ჩვენ ერთმანეთს ვიცნობთ, კარგი ურთიერთობა გვაკავშირებს, ამის მიუხედავად, მინდა, ყველამ დაიმახსოვროს: მე ვარ მარია!

**– თქვენ ჩინებულად გამოიყურებით არა მარტო კორტზე, არამედ პოდიუმზეც, კონტრაქტიც გაქვთ მსოფლიოში ერთ-ერთ უდიდეს სამოდელო სააგენტოსთან...**

– მართალია, მაინტერესებს მოდის საკითხები, მოდელად მუშაობის ბევრი წინადადებაც მივიღე, მაგრამ პრობლემა ის არის, რომ თავისუფალი დრო ცოტა მრჩება. ჩემთვის ჩოგბურთი აბსოლუტური პრიორიტეტია. სამოდელო ბიზნესში დღეისთვის რაიმე კონკრეტული ჯერ არ დამისახავს, თუმცა, არ გამოვრიცხავ, რომ ამ საქმესაც მოვკიდო ხელი.

**– სკოლაც ხომ უნდა დაამთავროთ?**

– მართალი ბრძანდებით. მთავარი საგნებია ინგლისური, მათემატიკა, ხელოვნება და გეოგრაფია. გამოცდებს და ჩათვლებს ამერიკული ინტერნეტის სკოლაში ვაბარებ. ვემზადები, სადაც კი ვახერხებ. ძირითადად გზაში – ერთი ტურნირიდან მეორეში მოგზაურობისას. შეიძლება არც კი დაიჯეროთ, მაგრამ მე ძალიან კარგი მოსწავლე ვარ, მასწავლებლები მაქებენ. სწავლა ჩემთვისაც საინტერესოა – სწორედ ამ დროს ჩოგბურთისგან ვისვენებ.

**– მეგობარი თუ გყავთ?**

– ჯერჯერობით არა, ამჯერად ჩემთვის მთავარია ჩოგბურთი. კარიერას რომ დავამთავრებ, ოცნების მამაკაცს მერე მოვნახავ.

მოამზადა
**გივი თორელმა.**

## ათლეტიზმი

### ივარჯიშეთ ჩვენთან ერთად

#### დედა ნახე, მამა ნახე... I ნაწილი

**13 წლის** წყალბურთელი **ლუკა ტუკვაძე** საქვეყნოდ ცნობილი ქართველი სპორტსმენების, წყალბურთელ გელა ტუკვაძისა და მხატვრული ტანმოვარჯიშის მაია ნადიბაიძის უმცროსი ვაჟია. იგი გულმოდგინედ ვარჯიშობს განათლების სამინისტროსთან არსებულ ბავშვთა და მოზარდთა ოლიმპიური რეზერვების წყალბურთის სპეციალიზებულ სკოლაში, ხოლო სპორტკომპლექს „ქარიშხალას“ ათლეტიზმის სექციაში საქართველოს ათლეტიზმის ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტის, საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატის ნაზი გოგიშვილის ხელმძღვანელობით ძალასა და გამძლეობას იუმჯობესებს.

გთავაზობთ ვარჯიშების სერიას ლუკა ტუკვაძის შესრულებით.

**მხრების კუნთებისთვის**

**1. წოლჭიმი განიერი ჭიდით (სურ. 1, 2).** სრულდება 8 მისვლა 6-6 გამეორებით.

**მხრის სამთავა კუნთებისთვის (ტრიცეპსებისთვის).**

**2. ტრენაჟორის ბლოკის ღერძის ჩამოწევა ხელების გამართვამდე (სურ. 3, 4).** სრულდება 6 მისვლა 10-10 გამეორებით.



**ზურაბ ჭავჭანიძე.**

**ნაზი გოგიშვილის** ფოტო.









⊙ ᲔᲒᲔᲖ, ᲒᲐᲛᲝᲒᲕᲐᲓᲒᲔᲡ!

# ᲨᲔᲜ, ᲬᲕᲘᲛᲐᲕ, ᲩᲔᲛᲝ ᲓᲐᲛᲐᲥᲪᲔᲕᲔᲚᲝ...

(ᲛᲔᲮᲣᲗᲔ ᲒᲕᲔᲠᲓᲘᲓᲐᲜ)

## კოკისპირული გადამრევს მხოლოდ

**ᲤᲣᲚᲘᲡ შოვნის რამდენი ხერხი იცოდა ოსტაპ ბენდერმა? 400?**

**იცით, რამდენი ხერხია ბიუჯეტის შევსების? ალბათ, 1400!**

**აი, ერთ-ერთი მათგანი:**

გერმანიის ქალაქ ჰენშტადტ-ულებურგის მერმა კარლ ციგლერმა იფიქრა, იფიქრა და ხაზინის ამოყორვის ძალზე ორიგინალური ხერხი მოიფიქრა. მან ქალაქის ყოველ სრულწლოვან მცხოვრებს დაუწესა... წვიმის გადასახადი. წელიწადში ეს გადასახადი შეადგენს 104 ევროს (დაახლოებით 250 ლარს). ხალხმა უკმაყოფილება გამოხატა, მერმა კი ისეთი არგუმენტები მოიტანა, რომ ყველა გააჩუმა: ჩვენს ქალაქში კოკისპირული წვიმები იცის, ერთიანად ზიანდება სახლები, ქუჩები, ხიდები, პარკები, ბაღები და მათს შესაკეთებლად მერიამ წამდაუწუმ საიდან უნდა მოიტანოს თანხებიო. თუ თქვენი მხარდაჭერა არ იქნება, მე პოსტს დავტოვებ, თქვენ კი იცხოვრეთ ამ წვიმისაგან დანგრეულ და გაოხრებულ ქალაქშიო.



გაოგნებულმა გერმანელებმა ენა მუცელში ჩაიგდეს და წვიმის გადასახადის გადახდაც მალე ჩვეული აკურატულობით დაიწყეს.

რა, ჩვენს მწირ ბიუჯეტს შევსება არ სჭირდება? დღევანდელი საგადასახადო კოდექსი თითოეულ მოქალაქეს ახრჩობს. ახლა რომ ვინმეს წვიმის გადასახადი უხსენო, იქნებ ყელიც გამოგღადროს, მაგრამ სულ ხომ ასეთი გასაცოდავებულები არ ვიქნებით? მალე ლოიალური ტარიფები დაწესდება. აქაური ხალხიც ამოისუნთქავს და წვიმის კი არა, ქარის, სეტყვის, მიწისძვრის გადასახადსაც სიამოვნებით გაიღებს.

მარტო წლეულს ამ წვიმამ ლამის წაიღო გურჯაანის, ლენტეხის, ზუგდიდის, სიღნაღის, მესტიის რაიონები... მიწისძვრით დაზარალებულებმა ჯერ კიდევ ვერ გაამყარეს სახლები თბილისშიც (მერიის წინ მათი აქცია გვარიანად დაარბიეს), რაჭაშიც, შიდა ქართლშიც... გერმანელთა მსგავსად, საკუთარ თანამემამულეებზე იქნებ უწინარესად უნდა იზრუნონ ადგილობრივმა მცხოვრებლებმა, ვიდრე უცხოურმა ორგანიზაციებმა?

## აფრენილო ქალო, რაღა დაგიმალო

**ᲯᲔᲠ კიდევ 1888 წელს საფრანგეთში, მოდის ამ უპირველეს სახელმწიფოში, გაასამართლეს ქალბატონი დელაფუა, — სახელოვანი არქეოლოგი, რომელმაც იპოვა დარიოსის ტაძრის ნანგრევები და ამისათვის ებოძა ორდენი საპატიო ლეგიონისა. გაასამართლეს კი იგი... შარვლის ტარებისათვის.**

იმხანად პოლიცია ქალებს, დიახაც, აპატიმრებდა და სასამართლოში აგზავნიდა ვაჟკაცის ტანსაცმლის ხელყოფისათვის. სხვათა შორის, ამ პერიოდისთვის მთელს საფრანგეთში სულ რაღაც ათიოდ ქალმა სწორედ სასამართლოში დაამტკიცა, რომ მათთვის აუცილებელი იყო შარვლის ტარება და ნებაც მიიღო მისი „ექსპლუატაციისთვის“. რატომ მიიღო? — ჩვენ ისეთი საქმე გვაქვს, რომ კაბით მუშაობისას დროდადრო ყველაფერი გვიჩანს და ამით ჩვენს სირცხვილს ვფარავთო.

როგორც ვთქვი, ქალბატონი დელაფუა არქეოლოგი გახლდათ და მასაც ქალური ნამუსის შესანახად შარვლის ტარების ნება დართეს, ოღონდაც მისი შეკერვა მხოლოდ და მხოლოდ ქმრის თერძთან დაუდგინეს.

მითხარით ახლა, რა ვუყოთ ჩვენს თანამედროვე ქალებს, განსაკუთრებით კი გოგონებს, რომლებიც ვაჟკაცური ტანსაცმლით ქალურ სირცხვილს კი არ ფარავენ, პირიქით, ჭიპებსა და ტრუსებს ძალით აჩენენ? მოსამართლემ თუ არა, მოყვარემ მაინც არ უნდა შეჰკადროს მათ თუნდაც პატარა შენიშვნა?

**ᲑᲝᲜᲓᲝ ᲒᲣᲚᲘᲐᲨᲕᲘᲚᲘ.**

⊙ ᲗᲐᲝᲑᲐ



**ᲛᲐᲠᲘᲙᲐ ᲒᲘᲝᲠᲒᲝᲑᲘᲐᲜᲘ ერთი უსათაურო ლექსით გვეწვია რედაქციაში — იგი შეყვარებულია პოეზიაზე და ცეკვაზე. დაამთავრა იაკობ ნიკოლაძის სახელობის სამხატვრო სასწავლებელი, ამჟამად კი თსუ ფერწერის სპეციალობის მე-2 კურსის სტუდენტია. ასე რომ, ჯერჯერობით გზის დასაწყისშია და ალბათ არჩევანის დროც მალე დაუდგება — ვნახოთ!..**

რაღაცა დიდი, დიდი და მძიმე,
მძიმე და ფართე, ფართე და ვრცელი,
ვრცელი და გრძელი, ოცნება მველი
და ორი ფერი: შავი და თეთრი,
თან არაფერი, თან ყველაფერი.

ოთახი ბნელი, რაღაცა მველი,
თითები გრძელი, შეხება ნელი,
ნოტის ათასის, ასიათასის,
მესმის მე „ის“,
ისაა მიწის და ხანაც ცის,
უოველთვის ზღვის,
წვიმიან დღის, წვეთების ღვრის,
წითელი მზის და თეთრი მთვარის,
ერთის ან ათის, ათის ან ასის.
უოველთვის არის, მარადის არის,
მარად „ის“ არის, მაგრამ არავის
არის...

უფრო ბნელდება, ნოტი ნელდება,
ცეკვა ჩერდება,
ხელი ხელს შორდება,
ერთი ორდება,
სულ ასე მშორდება.

**ᲛᲐᲠᲘᲙᲐ ᲒᲘᲝᲠᲒᲝᲑᲘᲐᲜᲘ.**
**5/02/04.**

⊙ ᲐᲚᲘᲐᲠᲗᲐᲚᲘ — ᲑᲐᲚᲘᲐᲠᲗᲐᲚᲘ

# თბილისური მოტივები

## კოკა გატყდა

**ᲩᲔᲛᲘ დიდი ხნის ნაცნობი გერასიმე ხარბედაძე ერთი პატარა სამკერვალოს ბატონ-პატრონია. მისი რეზიდენცია დედაქალაქის პრესტიჟულ უბანშია და ბილიკი ლამის მაინც აუჭინჭრდეს — კლიენტი ერთობ გაუიშვიათდა.**

გერასიმეს ერთი უცნაურობა სჭირს: სულ თვითონ ლაპარაკობს, მე კი ღობეში გაკვეხებული კვახივით ვზივარ და სიტყვას იშვიათად თუ ჩავაგდებ, ეგეც მაგარი ბიჭობაა. ისეთი ულვაშები აქვს, მგონი, ასეთებზე ამბობენ, კარაქწასმულ პურს ამობრუნებულსა ჭამსო.

— ლამაზად ჩაცმულ ქალს რომ დავინახავ, ცა გამეხსნება. ზოგსა ჰგონია, ქალით მოვიხიბლე... მეტი იმას რა ვუთხარი! მე მხოლოდ კარგად მორგებული ტანსაცმელი მაინტერესებს.

ერთხელაც, ყბაახვეული დამხვდა.

— ერთ ქალბატონს ნამეტანი კაი საყელო ჰქონდა და აველევენე. იუკადრისა, ვინ ოხერი ხარ, რას დამდევ, შე ბებერო ყეყეჩოო. ქოლგა დაკეცა და წვერით ლოყაში მატაკა. შეიყარა ქვეყანა... დავლუნე თავი და გამოვიძურწე...

რაღაცის თქმა დავაპირე. ისევ იმან დამასწრო:

— ახლა ნუ მიწყენ, ქუჩაში უნდა გავიდე, იქნებ რაიმე ხეირიანს გადავაწყდე...

და გერასიმე ხარბედაძე ცუხცუხით გარეთ გავარდა.

## ნაცრისფერი თბილისი

**ᲝᲠᲘᲝᲓᲔ წლის წინათ თბილისში ინგლისელი ფეხბურთელები ჩამოვიდნენ. ერთ-ერთმა მათგანმა სამშობლოში დაბრუნების შემდეგ განაცხადა, თბილისში ყველაფერი — ცა, შენობები, ხალხიც კი ნაცრისფერიაო.**

მაშინ ძალიან გავგულისდი — ჩვენ ხომ უცხოელთაგან მხოლოდ ქება-დიდების მოსმენასა ვართ დაჩვეული. დავაკვირდი და აღმოვაჩინე, რომ ცა მართლა ნაცრისფერი იყო — ქალაქს ისე დამხობოდა თავზე, თითქოს მოგუდვას უპირებსო. შენობებიც ერთფეროვანი, ქუჩებიც. ხალხი — ჩაქამებული, ხელჩაქნეული, გულგატეხილი...

იქნებ იმ ინგლისელს უპირველესად ეს შეეჩხირა თვალში?

## დაიბევა...

**ᲐᲛᲐᲡ წინათ ვერის ძველ სასაფლაოზე მოვხვდი. ახლო წარსულში აქ აღარავის მარხავდნენ. ახლა ახალი სამარხებით არის სავსე. სასაფლაოს ერთი მხრიდან „სემიონოვკის“ დასახლება ესაზღვრება. ჩემი ყურადღება ჯანდიერთა შთამომავლის აშკარად ადგილნაცვალმა საფლავმა მიიქცია.**

— მაგ ქალბატონის საფლავი ამ ბილიკის ბოლოში იყო. იჩოჩა, იჩოჩა და აქამდე „მოაღწია“. ახლა მაგის ადგილზე სხვა მარხია. ეტყობა, პატრონი აღარა ჰყავს და ვიღაცამ ხელი მოითბოო, — მითხრა თანამგზავრმა.

იქვე, ეკლესიის წინ, ერთმანეთზე მიჯრილ სამახებს შორის, ვიღაცას ასე, 25-30 (თუ მეტი არა) კვადრატული მეტრი მიწა მეტლახით გადაუთეთრებია, ჩანს, ადგილი დაიბევა! მაგრამ ერთ კაცს, გასწიე და გაგლიჯე, ერთი ორზე სჭირდება, ამას კი ერთბაშად ათ-თხუთმეტ კაცზე მაინც უზრუნია.

ეტყობა, თავის გვარ-ჯილაგიანად ერთბაშად აპირებს იმ ქვეყნად გადაბარგებას...

## კიდევ კარგი...

**ᲨᲣᲐᲚᲐᲛᲘᲡᲐᲡ პატარა იტალიურ ეზოში კივილი გაისმა. მეზობლები გარეთ გამოცვივდნენ. მარტო ანტონინა პეტროვნას არ შეუწუხებია თავი.**

— ვინ მოკვდა? — იკითხა მეორე დილით.

— ალიკა. გულმა უმტყუნა.

ალიკა ახალგაზრდა კაცი იყო, გამრჯე და მშრომელი. სამი მცირეწლოვანი ბავშვი დარჩა.

— ჰოო, მე მეგონა, პავლე გარდაიცვალა. ჭერიდან წყალი ჩამომდის, დამპირდა, შეგიკეთებო... უკბილო პირი დააბჩინა ანტონინა პეტროვნამ. ის უხსოვარი დროიდან ცხოვრობდა ამ ეზოში, მაგრამ ერთი ღერი ქართულიც არ იცოდა.

## იროკეზების მიმდევრები

**ᲐᲘ, ახალი წელიც მოვიდა. „დეზერტირებში“ ისეთი ჯგლეთაა, არ გაივლება. ძალიანაც ვითრიე ფეხი, მაგრამ თავს ზემოთ ძალა არა მაქვს. ამ მილეთ ხალხს მეც უნდა ავედევნო და რაც დამაბარეს, შევიძინო. ჩემს წინ ორი ჯეილი მიჩოჩავს და მიმასლაათობს:**

— ინდოელთა ერთი ტომია, იროკეზებს ეძახიან. დასხდებოდნენ და მთელი წლის სარჩოს ერთ დღეში შეთქვლეფდნენ, მერე კი, შიმშილით კუჭგამხმრები, თითებს ილოკავდნენ, — ამბობს ერთი.

— ჩვენც ეგრე არა ვართ? — ნაღვლიანად ჩაილაპარაკა მეორემ.

ხალხი კი მიჩოჩავდა, მიჩოჩავდა...

**ᲔᲚᲒᲣᲯᲐ ᲚᲔᲑᲐᲜᲘᲫᲔ.**

კომპეტენტური აზრი

# დედამიწიდან ასროლილი მფრინავი თეფშები

## ასტრონომია თუ ასტროლოგია?

**კოსმოსის ათვისების საქმეში XX საუკუნის კოლოსალურ მიღწევათა შემდეგ, XXI საუკუნეში, განათლებულ ადამიანს, აღარ უნდა ერეოდეს ერთმანეთში ტერმინები „ასტრონომია“ და „ასტროლოგია“. მიუხედავად ამისა, ხშირია შემთხვევები, როცა თითქოსდა წიგნიერი პიროვნებანიც კი ვერ არჩევენ ერთმანეთისაგან ამ ორ ცნებას.**

**ამასთან დაკავშირებით, არ შეიძლება ერთი ძველი ანეკდოტი არ გაგახსენდეს: მელომანობაზე თავგამოდებული ორი ადამიანი კამათობდა, თუ როგორ უნდა დაწერილიყო სწორად ცნობილი კომპოზიტორის გვარი: „შუმანი“ თუ „შუბერტი“? ბოლოს შეთანხმდნენ, არც ერთი ეს დაწერილობა არაა მართალი, სწორია „შოპენიო“. მაინც რა მგავსება და განსხვავებაა ამ ცნებებს შორის? ამ კითხვაზე პასუხის გაცემა ვთხოვეთ ცნობილ ასტრონომს, პროფესორ ვიქტორ ჯაფიაშვილს.**

გარეგნული მსგავსება დიდია, შინაარსობრივი განსხვავება კი — არსებითი. ასტრონომია ორი ბერძნული სიტყვისაგან შედგება: „ასტრონ“ — ვარსკვლავი და „ნომოს“ — კანონი; ასევე ასტროლოგიაც: „ასტრონ“ — ვარსკვლავი და „ლოგოს“ — მოძღვრება. ასტრონომიაც და ასტროლოგიაც ციურ სხეულებს სწავლობენ. ორივე ეს ცნება უძველეს დროშია წარმოქმნილი. ისინი თავიდან მჭიდროდ იყვნენ დაკავშირებული ერთმანეთთან. ასტრონომია იყო და არის მეცნიერება, რომელიც იკვლევს ციური სხეულების ბუნებას: მათ მოძრაობას, აგებულებას, წარმოშობას, განვითარებას და ა.შ. ასტროლოგია კი იყო და დარჩა ცრუ მეცნიერებად, რომელიც ცდილობს იწინასწარმეტყველოს ადამიანებისა და მთელი ხალხების მომავალი მნათობთა მდებარეობისა და მოძრაობის მიხედვით.

სამართლიანობა მოითხოვს აღინიშნოს, რომ პირველ ხანებში ასტროლოგიამ დიდი დახმარება აღმოუჩინა ასტრონომიას. ასტროლოგები უშუალოდ მონაწილეობდნენ ციური სხეულების დაკვირვებებში და აგროვებდნენ დაკვირვებით მასალას, რითაც ხელს უწყობდნენ ასტრონომიული მეცნიერების განვითარებას. ამიტომ ადრინდელი ასტრონომები და ასტროლოგები ცოტა რამით თუ განსხვავდებოდნენ ერთმანეთისაგან. მათ, ხშირად, საერთო სახელითაც კი მოიხსენიებდნენ, „ვარსკვლავთმრიცხველებს“ უწოდებდნენ.



შემდგომში ასტრონომია ჩამოყალიბდა მეტად საინტერესო, განვითარებად მეცნიერებად, რომელიც მჭიდროდაა დაკავშირებული სხვა მეცნიერებებთან და თავის გამოკვლევებში ფართოდ იყენებს ტექნიკის თანამედროვე მიღწევებს, როგორც მძლავრი ტელესკოპების აგებით, ისე ელექტრონიკის ურთულესი აპარატურის ათვისება-დანერგვით. ასტრონომებს შეუძლიათ უაღრესად დიდი სიზუსტით და მრავალი წლით ადრე იწინასწარმეტყველონ სამყაროში მიმდინარე ბევრი მოვლენა (მაგალითად, მზისა და მთვარის დაბნელებანი, კომეტების გამოჩენა და სხვ.). ასტრონომთა მიერ მიღებული მეცნიერული შედეგები საყოველთაო ყურადღებით სარგებლობს და კაცობრიობის საერთო საგანძურშია შესული.

სულ სხვა ბედი (თუ უბედურება) ეწია ასტროლოგიას. ამ მოძღვრების მიმდევრებმა ხელი აიღეს ციური სხეულების უშუალო დაკვირვებაზე და მთლიანად გადავიდნენ ასტრონომთა მიერ მოპოვებული დაკვირვებითი შედეგების ცრუ ინტერპრეტაციაზე, რითაც ამუხრუჭებენ ასტრონომიის განვითარებას. ისინი ადგენენ ე.წ. **„ჰოროსკოპებს“** (ბერძ. „ჰორა“ — დრო, „სკოპეო“ — ვუყურებ), ანუ მნათობთა განლაგებისა და მოძრაობის ამსახველ სპეციალურ ცხრილებს, რომელთა მიხედვითაც „წინასწარმეტყველებენ“ (უფრო სწორი იქნება, თუ ვიტყვით მკითხაობენ) ამა თუ იმ პიროვნების ან მთელი ხალხებისა და სახელმწიფოების (ზოგჯერ — რაიმე მოვლენის) მომავალს.

სამართლიანობა მოითხოვს ითქვას, რომ დიდი გერმანელი ასტრონომი კეპლერიც კი ადგენდა ჰოროსკოპებს. ოღონდ აქ ორი შენიშვნა უნდა გაკეთდეს. ჯერ ერთი, კეპლერი მოღვაწეობდა XV-XVI საუკუნეების მიჯნაზე, როცა ასტროლოგია, გაფურჩქნული იყო და ბევრს სჯეროდა მისი; მეორე, რაც მთავარია, კეპლერი წარმოშობით ღარიბი ოჯახიდან იყო და ხელმოკლედ ცხოვრობდა. ამის გამო თავის ავტობიოგრაფიაში ერთგან წერს, ისე მიჭირდა, ერთხანს ჰოროსკოპებსაც კი ვადგენდი და იმით ვირჩენდი თავსო.

თუმცა ოპონენტები იმასაც მეტყვიან, რომ ზოგიერთი თანამედროვე ასტრონომიც, ლოიალურ დამოკიდებულებაშია ასტროლოგიასთან. ასეთ ასტრონომებს მე „თანამედროვე კეპლერები“ შევარქვი. დღევანდელი დუხჭირი ცხოვრება აიძულებს მათ იზრუნონ დამატებითი „პურის ფულის“ მოსაპოვებლად.

ისტორია ხშირად მეორდება. სწორედ ამ გარემოებით სარგებლობენ ასტროლოგები და თავიანთ ბურუსით მოცულ მოძღვრებაზე დაყრდნობით „წინასწარმეტყველებენ“ ომებს, წყალდიდობებს, ხანძრებს, ავარიებს და სხვ. ამავე დროს, როგორც წესი, არასოდეს უთითებენ ზუსტ დროსა და ადგილს. თუმცა, იშვიათად დრო და ადგილიც მიუთითებიათ, მაგრამ ასეთ შემთხვევაში პროგნოზების 2-3 პროცენტი თუ გამართლებულა, რაც კარგად შეესაბამება ალბათობის თეორიის კანონებს.

მოვიყვან მაგალითს. ამ რამდენიმე წლის წინათ ფრანგმა მეცნიერებმა ჩაატარეს მეტად საინტერესო ცდა-ექსპერიმენტი. სტუდენტთა დიდ ჯგუფს, მასში შემავალ პიროვნებათა დახასიათების მიზნით, ჩამოართვეს ავტობიოგრაფიული მონაცემები. გარკვეული დროის შემდეგ ამავე სტუდენტებს დაურიგეს ასტროლოგიური მახასიათებლები, ანუ ჰოროსკოპები, რომლებიც, **თითქოს**, დაფუძნებული იყო პლანეტების განლაგებაზე თითოეული მათგანის დაბადების შესაბამისი მომენტისათვის. **სინამდვილეში** ყოველმა სტუდენტმა მიიღო სრულიად **ერთნაირი** ტექსტი. ამის შემდეგ სტუდენტებს ინდივიდუალურად გაესაუბრნენ პროფესიონალი ფსიქოლოგები, რომლებიც დაინტერესდნენ მათი პასუხებით კითხვაზე: სწორია თუ არა ასტროლოგების მიერ ნაწინასწარმეტყველები მათი ზნე-ხასიათი? და იცით რა მოხდა? გამოკითხულ სტუდენტთა 69 პროცენტმა (!) უპასუხა, რომ ასტროლოგებმა ზუსტად აღწერეს მათი ხასიათი.

ბევრი მეკითხება, ასტროლოგია ცრუ მეცნიერებაა, რატომ არ აკრძალავენო? ასტროლოგია არის მისნობა, ანუ მარჩიელობა მნათობთა დახმარებით. იგი არაფრით არ გამოირჩევა ისეთი ქმედებებისაგან, როგორიცაა ბანქოს, ყავიანი ჭიქის ან ხელისგულის მეშვეობით მკითხაობა.

აი, როგორია, თანამედროვე ქართველ ასტროლოგთა მსჯელობის ნიმუში: „არანაირი ახალი საქმის წამოწყება არ შეიძლება ახალ მთვარეზე“; „ახალ მთვარეზე მოვიდა მიხეილ სააკაშვილი საკრებულოში და კი ხედავთ, როგორ განვითარდა მოვლენები“... მართლაცდა ხომ სულ მალე ვიხილეთ, თუ რა ბრწყინვალედ დააგვირგვინა „ვარდების რევოლუციამ“ საქართველოში მიმდინარე მოვლენები! როგორც ასეთ შემთხვევაში ამბობენ, კომენტარი ზედმეტია...

რაც შეეხება აკრძალვას, ამას აზრი არა აქვს. მოგეხსენებათ, აკრძალული ხილი ტკბილიაო. ესეც არ იყოს, ამის გაკეთებას არც ერთი დემოკრატიული ქვეყანა არ იკადრებს. ჩვენ კი ახლა დემოკრატიულობის დამკვიდრებას ვცდილობთ თავგამოდებით. ადამიანს თავისუფლად მოქმედება და აზროვნება კი არ უნდა აუკრძალო, სახელმწიფოში უნდა შექმნა ისეთი პირობები, როცა ყოველი მოქალაქე ამჯობინებს არა ექიმბაშთან და მისანთან მისვლას, არამედ ისარგებლებს თანამედროვე აპარატურით აღჭურვილი სამედიცინო დაწესებულებებით.

რამდენჯერმე გამოვაქვეყნე წერილები გაზეთებში. ერთხელ დაქადნებული (ნახეთ რა ვუყო ასტროლოგებს-მეთქი!) ტელევიზიითაც გამოვედი, მაგრამ ეს საქმე კურიოზულად დამთავრდა. ჩემი თხოვნით პირველ არხზე გამომიყვეს გარკვეული დრო. გამოსვლა წინასწარ ჩაწერეს, შემდეგ კი, საგრძნობლად შემოკლებულად (ამას ვინ ჩივის) გადასცეს. გადაცემა რომ დამთავრდა (ჩემს ბინაში ვუყურებდი) პროგრამის წამყვანმა ახალგაზრდა ქალმა დიდი მოწიწებით გამოაცხადა: თქვენ უყურებდით და უსმენდით ცნობილ **ასტროლოგს** ვიქტორ ჯაფიაშვილსო...

ხშირად მეკითხებიან ე. წ. „მფრინავი თეფშების“ შესახებ. ასტრონომები ხომ დღედაღამ ცას მისჩერებიხართ, იქ მსგავს რამეს თუ ხედავთო? ასტრონომებს ზოგჯერ, ხუმრობით, „ცის დარაჯებსაც“ გვიწოდებენ. უნდა გითხრათ, რომ უკანასკნელი რამდენიმე ათეული წლის განმავლობაში მართლაც ხშირია შემთხვევები, როცა ცაზე მანამდე არნახული ფორმის მოძრავი მნათი ობიექტები ჩნდება. ხალხმა მათ, ზოგიერთების გარეგნული ფორმის გამო, „მფრინავი თეფშები“ შეარქვა. გაჩნდა ჰიპოთეზები ამ სხეულთა „უცხოპლანეტური“ წარმოშობის შესახებ. სინამდვილეში კი მათი უმრავლესობა წარმოადგენს დედამიწიდან კოსმოსში გაშვებული ხომალდების და მათი მატარებელი რაკეტების ნარჩენებს, რომლებიც იწვიან პროგრამის დამთავრების შემდეგ დედამიწის ატმოსფეროში უკან შემოჭრისას, ხახუნის გამო და იწყებენ ნა

იხ. მე-11 გვ.

იუბილე

# უანგარო მეგობარი და მოღვაწე



სამედიცინო პარაზიტოლოგიის აღიარებულ ექიმს, სამედიცინო პარაზიტოლოგიისა და ტროპიკული მედიცინის სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტის კლინიკური განყოფილების ხელმძღვანელს, პროფესორს, საქართველოს პროფილაქტიკური მედიცინის აკადემიკოსს, „ზაზა ფანასკერტელ-ციციშვილის“ სახელობის პრემიის ლაურეატს, უანგარო მეგობარს ოთარ პლატონის ძე ზენაიშვილს ა.წ. 18 ივლისს დაბადებიდან 80 და სამეცნიერო-პედაგოგიური და საზოგადოებრივი მოღვაწეობის 55 წელი შეუსრულდა.

1946 წლიდან მუშაობდა ცხინვალში, ხოლო 1950 წლის პირველი ნახევრიდან საქართველოს ჯანდაცვის სამინისტროს აპარატში; შემდეგ კონკურსით ჩაირიცხა სამედიცინო პარაზიტოლოგიისა და ტროპიკული მედიცინის ს/კ ინსტიტუტში. 1955 წელს დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია. 1961 წელს ირჩევენ ინსტიტუტის კლინიკური განყოფილების ხელმძღვანელად, სადაც მუშაობს დღემდე.

1971 წელს წარმატებით დაიცვა სადოქტორო დისერტაცია და ავტორია 150-ზე მეტი სამეცნიერო ნაშრომის და რამდენიმე მონოგრაფიისა.

მისი ხელმძღვანელობით დაცულია 7 საკანდიდატო დისერტაცია. ბოლო წლებში იგი ნაყოფიერად მუშაობს საქართველოში ექინოკოკოზის, ფასციოლოზის, ვისცარული ლეიშმანიოზის კონსერვატული მკურნალობის მეთოდების დახვეწაში. წლების მანძილზე ეწეოდა პედაგოგიურ მოღვაწეობას. არჩეულია თბილისის სამედიცინო უნივერსიტეტის ხარისხების მიმნიჭებელ საბჭოს წევრად. ერთ-ერთი დამფუძნებელია საქართველოს ინფექციონისტთა, ჰეპატოლოგთა, პარაზიტოლოგთა, ეპიდემიოლოგთა და მიკრობიოლოგთა ასოციაციისა. არჩეულია მედიკოს-რეზიდენტთა ასოციაციის წევრად. დაჯილდოვებულია ღირსების ორდენით, მედლებითა და საპატიო სიგელებით.

საქართველოს ჯანმრთელობის დაცვის მინისტრის ბრძანებით 2003 წელს მიენიჭა წლის მედიცინის საუკეთესო მუშაკის წოდება და გადაეცა საპატიო მედალი.

ვულოცავთ ბატონ ოთარს საიუბილეო თარიღს, ვუსურვებთ დიდხანს სიცოცხლეს, ჯანმრთელობას, ბედნიერებას პირად ცხოვრებაში და წარმატებას მისთვის სანუკვარ საქმეში, რომელსაც ასე თავდადებულად და სიყვარულით ემსახურება მრავალი წლის განმავლობაში.

**ირაკლი თოფურია,**
**ს. ვირსალაძის სახელობის სამედიცინო პარაზიტოლოგიისა და ტროპიკული მედიცინის ს/კ ინსტიტუტის დირექტორის მოადგილე სამეცნიერო ნაწილში, მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე, პროფესორი**
**თენგიზ ქუჩუკაშვილი.**
**დირექტორის მოადგილე სამეურნეო ნაწილში**

სენსაცია?!

# შეძლებენ მეცნიერები „სიცოცხლის ელექსირის“ შექმნას?

**კუბის, ჰონკონგისა და ჩრდილოეთ კორეის საიდუმლო ლაბორატორიებში ცდილობენ შეიმუშაონ წამალი, რომელიც ადამიანის სიცოცხლეს 500 წლამდე გაახანგრძლივებს**

**1956 წელს ინდოეთის გაზეთები იტყობინებოდნენ, რომ გარდაიცვალა მთებში მიკარგული ჩრდილოეთ ინდოეთის ქალაქ პატიალის მმართველი. ერთი შეხედვით ეს მოვლენა აბსოლუტურად ორდინარულია და გაოცებასაც კი იწვევს, თუ რატომ დაუთმეს გაზეთებმა ამ ინფორმაციას პირველი გვერდები, მაგრამ, აღსანიშნავია ერთი გარემოება — რაჯა ტაპასვიჯიმ ამქვეყნად იცოცხლა... 180 წელი, რასაც ოფიციალურად ადასტურებენ მისი სამთავროს დოკუმენტები.**

**როგორც გაზეთები იტყობინებოდნენ, ასეთ უჩვეულო დღეგრძელობას რაჯა უნდა უმადლოდეს ჰიმალაელ განდეგილს, რომელსაც ახალგაზრდობის წლებში შეხვდა. მოხუცი, რომელიც ამტკიცებდა, რომ მას მალე 5000 (!) წელი შეუსრულდებოდა, იხსენებდა, თუ როგორ უსაუბრია ალექსანდრე მაკედლონელთან, როგორ მიურთმევია კუმისი ჩინგიზ-ყაენის კარავში. სწორედ ამ ადამიანმა, როგორც მოგვიანებით აღიარებდა ტაპასვიჯი, მისცა მას „უკვდავების ელექსირი“ უცნაური შავი სითხე. სამთავროს ალქიმიკოსებმა ვერაფრით ვერ შეძლეს გაეგოთ მისი შემადგენლობა. სითხე რაჯას ყოველ ათ წელიწადში ერთხელ უნდა მიეღო. როგორც კი ელექსირი გაუთავდა ტაპასვიჯიმ მიაბარა სული უფალს. პატიალში რაჯას სახლის გულდასმით ჩხრეკვას არანაირი შედეგი არ მოჰყოლია — ვერ იპოვეს ფიალა, რომელთანაც მიკარების უფლებასაც რაჯა არავის აძლევდა...**

### ოქროსმჭამელები

„სიცოცხლის ელექსირის“ შექმნის იდეა მოსვენებას არ აძლევს ადამიანებს თითქმის იმ დღიდან, რაც ჩვენს პლანეტაზე წარმოიშვა სიცოცხლე. პირველი ჩანაწერები ამ მისტიკური წამლის შესახებ იპოვეს ძველი ეგვიპტის მატიანეებში. ამ სამეფოს ღმერთები არ იყვნენ უკვდავნი, როგორც სხვა ქვეყნებში! — მათ უნდა შეესვათ „უკვდავების წყალი“, რომელიც ღმერთებს შემატებდა სიცოცხლეს უახლოესი ასი წლის განმავლობაში. ჭურჭული „უკვდავების წყლით“ ეგვიპტის ტაძრებში ინახებოდა და მას უმკაცრესად იცავდნენ — ჭურჭელი იდგა ტაძარში მანამ, სანამ სითხე მთლიანად არ აორთქლდებოდა, რადგან უბრალო ადამიანებისათვის აკრძალული იყო ღმერთების სასმელის გასინჯვა. მისი შესმა მხოლოდ დედოფალმა კლეოპატრამ გაბედა, მაგრამ იმის გამო, რომ მან მალე მოიკლა თავი, ისტორიისათვის უცნობი დარჩა ამ სასწაულმოქმედი სითხის მიღების შედეგი. ჩინეთის იმპერატორი სიუან-ძუნი კი, რომელმაც დალია სამეფო კარის ალქიმიკოსის მიერ მომზადებული „სიცოცხლის ელექსირი“, ერთი თვის შემდეგ აღესრულა — წამალი მთელი წლის განმავლობაში დუღდებოდა ცეცხლზე და ამის გამო შხამად იქცა. XVIII საუკუნეში ითვლებოდა, რომ „უკვდავების სასმელს“ ფლობდა ცნობილი ავანტიურისტი გრაფი კალიოსტრო, მაგრამ ვერც ამ დიდგვაროვანმა შეძლო თავისი სიმართლის დამტკიცება, რადგან იგი მოკლეს საპყრობილეში. ამის შემდეგ, მარადიული ცხოვრების მოსურნეებმა, თითქოსდა, ჩაიქნიეს ხელი „უკვდავების ელექსირზე“.

მაგრამ, თურმე — ამაოდ. ჩვენს დღეებშიც კი მსოფლიოს სულ ცოტა სამი ქვეყნის სამეცნიერო ლაბორატორიები ცდილობენ „სიცოცხლის ელექსირის“ კომპონენტების პოვნას.

ჰონკონგელი პროფესორი, წარმოშობით ტიბეტელი დევიდ ნგავანგი, უკვე ოცი წელია მუშაობს თავის წამალზე.

იხ. მე-11 გვ.

◎ სენსაცია?!

# შეძლებენ მეცნიერები „სიცოცხლის ელექსირის“ შექმნას?

(მეათე გვერდიდან)

თავდაპირველად მის ლაბორატორიას აფინანსებდნენ „ინგლისელი ბიზნესმენები“, ხოლო მას შემდეგ, რაც ჰონკონგი ჩინეთს გადაეცა, ნგავანგის სპონსორები უკვე „ჩინელი ბიზნესმენები“ გახდნენ. მართალია, მეცნიერი უარყოფს რამე კავშირს სპეცსამსახურებთან და აცხადებს, რომ მის მუშაობაში არაფერი საიდუმლო არ არის, იგი ლაბორატორიაში მაინც არავის უშვებს. დოქტორ ნგავანგს გულწრფელად სწამს, რომ სავსებით შესაძლებელია „სიცოცხლის ელექსირის“ შექმნა, მაგრამ ამას დიდი დრო დასჭირდება.

— მე გამიმართლა, რადგან უკვე ვიცოდი, თუ ძველი ალქიმიკოსების რომელმა რეცეპტმა ვერ გაამართლა. მაგალითად, პირველ ხანებში მიაჩნდათ, რომ საჭირო იყო სისხლში ოქროს დამატება, — განმარტა პროფესორმა ნგავანგმა. — ოქრო, მართლაც, ჩინებულად სპობს მიკროორგანიზმებს, აშუშებს იარებს, ჰოდა, შუა საუკუნეების ალქიმიკოსებიც (მათ რიცხვში, სხვათა შორის, ნოსტრადამუსიც შედიოდა), ფიქრობდნენ, რომ რეგულარულად თუ მიიღებდა ადამიანი საჭმლის ულუფასთან ერთად მცირე რაოდენობის ოქროს, ეს მას მისცემდა დიდხანს სიცოცხლის შესაძლებლობას. მაგრამ ეს ასე არ არის. ინდოელ იოგებს მიაჩნდათ, რომ ადამიანს შეეძლო ეცოცხლა ასობით წელი, თუ მარტო მთის ფუტკრების თაფლს შეჭამდა. არც ამან გაამართლა. აცტეკთა იმპერატორი მონტესუმა კი იკეთებდა ინექციებს მაიმუნის ემბრიონისგან. აქ ძნელი სათქმელია, რამდენად გამართლებული იყო ეს, რადგან მონტესუმა, როგორც ცნობილია, მოკლეს.

## 300 წელი აინშტაინისთვის

**ახლა,** როგორც 50 წლის პროფესორს მიაჩნია, ზუსტად არის დადგენილი, რომ ოქრო ადამიანის ორგანიზმს ეხმარება, თუმცა, მარადიულ სიცოცხლეს ვერ უზრუნველყოფს. ამ ბოლო ხანებში დევიდ ნგავანგი ცდილობს მიიღოს ისეთი შემადგენლობა, რომელიც შეძლებს ორგანიზმში მობერებული უჯრედების გადაადგილებას, მათ შეცვლას ახალი უჯრედებით, — ფაქტობრივად, ეს თვითკლონირების ელექსირია. ანუ, გული, ღვიძლი, კუჭი რეგულარულად განახლდება თავისთავად და შეუფერხებლად იმუშავებენ. ამ ათიოდე წლის წინათ, როცა ნგავანგმა ასეთი რეცეპტი შესთავაზა მეცნიერებს, ეს ადამიანი ბევრს იდიოტად მიაჩნდა — კლონის შესახებ ხომ მაშინ არაფერი გაეგოთ. მაგრამ ახლა ნგავანგის გამოკვლევებისთვის ფულს არ იშურებენ. როგორც პროფესორი ვარაუდობს, შეუძლებელია ისეთი ელექსირის გამოგონება, რომლის ერთხელ დალევის შემდეგ, ადამიანი უკვდავი გახდება. საჭიროა წამლის რეგულარულად მიღება — თუნდაც 10-15 წელიწადში ერთხელ. ხოლო მაშინ, როცა ადამიანს აღარ მოესურვება სიცოცხლე — იგი, უბრალოდ, შეწყვეტს წამლის მიღებას. ჯერჯერობით პროფესორმა შეძლო ორგანიზმის მკვდარი უჯრედები შეეცვალა ხელოვნურით, მაგრამ ახალი უჯრედებიც იხოცებიან გაჩენიდან სულ რამდენიმე საათის შემდეგ. სხვათა შორის, თვით დოქტორი დარწმუნებულია, რომ „უკვდავების ელექსირი“ ყველამ არ უნდა მიიღოს, რადგან ეს პლანეტაზე კატასტროფას გამოიწვევს. — წარმოიდგინეთ, რომ დედამიწაზე მილიარდი კი არა, ოცჯერ მეტი ჩინელი ცხოვრობს, — იცინის პროფესორი ნგავანგი. — კომმარულ სიზმარს ჰგავს არა? დედამიწის მთელი მოსახლეობა უკვდავი რომ გახდეს, მაშინ, ხომ ძალზე მალე ამოიწურება ყველა რესურსი და სურსათის მარაგი. მე ვცდილობ შევქმნა ელექსირი, რომელიც მარადიულ სიცოცხლეს უზრუნველყოფს ისეთი ადამიანებისთვის, როგორიც იყო, ვთქვათ, აინშტაინი. აბა, წარმოიდგინეთ რამდენ სასარგებლო რამეს გამოიგონებდა, ეს უნიჭიერესი მეცნიერი, სამასი წელი რომ ეცოცხლა! რაც შეეხება იმას, რომ რომელიმე სისხლისმსმელმა დიქტატორმა შეისყიდოს ჩემი წამალი „შავ ბაზარზე“, ამის თაობაზე მშვიდად ვარ — ისტორიის გამოცდილებით თუ ვიმსჯელებთ, სასტიკი ტირანები ძალზე იშვიათად თუ აღესრულებოდნენ ბუნებრივი სიკვდილით.

## ხელოვნური სისხლი

**ამის** მიუხედავად, სხვა მსგავსი ლაბორატორიები მაინც მოქმედებს ისეთ ქვეყნებში, რომლებიც, მეტი რომ არ ვთქვათ, არ გამოირჩევიან დემოკრატიული რეჟიმებით. ჯერ კიდევ ჩრდილოკორეელი „საყვარელი ბელადის“ კიმ ირ სენის სიცოცხლის დროს დაიწყო „ჯადოსნური სასმელის“ შემუშავება. რომლის რეგულარული მიღება კიმს სულ ცოტა 500 წელს მაინც აცოცხლებდა. თუმცა, ახლა ამ „სამეცნიერო ცენტრებმა“ უკანა პლანზე გადაიწიეს, მაგრამ ისინი არ დაუხურავთ — ახალმა ლიდერმა, „საყვარელმა ხელმძღვანელმა“ კიმ ჩენ ირმა ძირითადი ყურადღება გაამახვილა უფრო პოპულარულ კლონირებაზე — თუ არსებობს სინჯარებში გამოყვანილი ხელოვნური შინაგანი ორგანოები, ადამიანს შეუძლია იცხოვროს არა ხუთასი, არამედ ათასი წელიც კი, თუმცა, არც „სიცოცხლის ელექსირის“ შემუშავების იდეაზე ღირს ხელის აღება. ასეთივე მუშაობა, თუმცა, ამას ოფიციალურად არ აღიარებენ, მიმდინარეობს კუბაშიც — „ჯანმრთელობის სასმელის“ შექმნისათვის მიმდინარე გამოკვლევებს აფინანსებს პირადად ფიდელ კასტრო, რომელსაც კარგად აქვს შეგნებული, რომ რაც უფრო მეტს ხანს იცოცხლებს თვითონ და მისი ძმა — რაული, მით უფრო მეტ ხანს გაძლებს სოციალიზმი ამ ტროპიკულ კუნძულზე. გავრცელდა ინფორმაცია იმის თაობაზეც, რომ „სიცოცხლის ელექსირს“ 1979 წლიდან ისრაელშიც ამუშავებენ, თუმცა, ჯერჯერობით ამის შესახებ არაფერია ცნობილი. ამერიკის პრესა გასული საუკუნის 60-იანი წლების დამდეგისათვის აქვეყნებდა მასალებს ცენტრალურ სადაზვერვო სამმართველოს ლაბორატორიების შესახებ, სადაც ახორციელებდნენ ცდებს „უკვდავების წამლის“ შექმნისათვის, მაგრამ, ეს თემა დავიწყებას მიეცა და უკვე კარგა ხანია ამის შესახებ არაფერს წერენ.

— იქნებ, ჩემმა გამოკვლევებმა რაიმე ნაყოფი გამოიღოს, მაგრამ შესაძლოა, ეს ასე არ მოხდეს, — თქვა დევიდ ნგავანგმა. — მე დავიწყე უჯრედების გამოყვანა ლაბორატორიაში კლონირების დაწყებამდე კარგა ხნით ადრე, და ახლა ჩემთვის მთავარია, რომ ამ უჯრედებმა უფრო მეტ ხანს იცოცხლონ და ისინი ნორმალურად შეითვისოს ორგანიზმმა. ამის მიღწევას ჯერჯერობით ვერ ვახერხებ, მაგრამ ვფიქრობ, სწორ გზას დავადექი. მანამდე ვცდილობდი შემექმნა ხელოვნური სისხლი — ხსნა-



რი სამკურნალო ნივთიერებებით, რომლებიც ორგანიზმს დაიცავდნენ დაავადებებისაგან, მაგრამ, სამწუხაროდ, ჩემი ცდა წარუმატებლად დასრულდა.

პროფესორი არ ეკამათება იმ ადამიანებს, რომლებიც ამტკიცებენ, რომ მას არაფერი გამოუვა, — ეს სავსებით შესაძლებელია, თუმცა, იგი მაინც იცავს თავის მოსაზრებას — თუ XVIII საუკუნეში ვინმეს მოუყვებოდით ჩვეულებრივი ანტიბიოტიკების ან სტომატოლოგიური ბურღვის შესახებ, კოცონზე დაწვა არ აგცდებოდათ. ჯერ კიდევ 20 წლის წინ არანორმალურად შერაცხეს ის ადამიანები, რომლებიც კლონირებას შეისწავლიდნენ. „სიცოცხლის ელექსირის“ შემუშავება არ გახლავთ რაიმე ექსტრაორდინარული XXI საუკუნისათვის და მე თუ ვერ შევქმნი წამალს, ამას გააკეთებს ვინმე სხვა, თანაც, ძალზე მალე.

**ალექსეი ალექსანდროვი,**
ჰონკონგი[illegible]

◎ კომპეტენტური აზრი

(მეათე გვერდიდან)

# დედამიწიდან ასროლილი მფრინავი თეფშები

## ასტრონომია თუ ასტროლოგია?

ზოგი მათგანის არსებობა აიხსნება სხვადასხვაგვარი ატმოსფერული მოვლენით, ზოგიც-მეცნიერთა ან სამხედროების მიერ სხვადასხვა მიზნით ჩატარებული ცდების შედეგია.

ხაზგასმით უნდა ითქვას, რომ არც ერთი ავტორიტეტული მეცნიერი და არც ერთი სერიოზული სამეცნიერო ჟურნალი არ მიიჩნევს „მფრინავ თეფშებს“ გარე კოსმოსიდან შემოჭრილ უცხო სხეულებად, მით უმეტეს — „უცხოპლანეტელთა“ ხომალდებად. ერთი სიტყვით „მფრინავ თეფშებს“ აკვირდება ყველა მსურველი, გარდა პროფესიონალი ასტრონომ-დამკვირვებლებისა.

ჯერჯერობით დედამიწის გარდა, არც ერთ სხვა ციურ სხეულზე სიცოცხლე აღმოჩენილი არ არის. ისე კი ასტრონომებს, ეჭვი თითქმის აღარ ეპარებათ, რომ პლანეტა მარსი (ძველქართულად-მარიხი) ოდესღაც შეიძლება ცოცხალი ორგანიზმებით (იქნებ მოაზროვნეებითაც!) იყო დასახლებული. ყოველ შემთხვევაში, ამას წინათ ამერიკელმა მეცნიერებმა იქ აღმოაჩინეს კრისტალები ისეთი ნივთიერებებისა, რომელთა დაკრისტალება შესაძლებელია მხოლოდ წყლის არსებობის პირობებში, წყალი კი დედამიწაზე არსებული სიცოცხლის საფუძველს წარმოადგენს. მარსზე ოდესღაც წყლის არსებობაზე ნათლად მეტყველებს, აგრეთვე მისი ზედაპირის ფოტოსურათებზე მდინარეების კალაპოტთა მსგავსი წარმონაქმნების აღბეჭდვა.

შეიძლება ვინმემ იფიქროს, რომ სხვა ციურ სხეულებზე სხვაგვარად განვითარდა ფიზიკური პროცესები და იქ ისტორიულად ჩამოყალიბდა სრულიად სხვანაირი სიცოცხლე, რომელიც სრულებით არ საჭიროებს წყალსო. მაგრამ ეს უკვე ფანტასტიკური მსჯელობის სფერო იქნება, ჩვენ ვიცნობთ მხოლოდ ისეთ სიცოცხლეს, როგორიც არსებობს დედამიწაზე და მხოლოდ ასეთზე შეგვიძლია სერიოზული ბჭობა.

დაბოლოს, შეიძლება თუ არა, რომ დედამიწას დაეჯახოს რომელიმე ციური სხეული და ზიანი მიაყენოს მას? ეს სავსებით შესაძლებელია და არაერთხელ მომხდარა კიდეც ასეთი შემთხვევები. აქ მხედველობაში არ მაქვს წვრილმანი კოსმოსური ნაწილაკები, რომლებიც უგზო-უკვლოდ, აურაცხელი ოდენობით, ქაოსურად დაქრიან დედამიწის ირგვლივ და ხშირად შემოიჭრებიან მის ატმოსფეროში. ასეთ შემოჭრას თან ახლავს ატმოსფეროსთან ხახუნის გამო მათი წვა, რაც იწვევს ნათებას. ამ მოვლენას **მეტეორი** ეწოდება. ხშირად ამ „ნაწილაკებს“ იმდენად დიდი მასა აქვთ, რომ მთლიანად კვეთენ ატმოსფეროს და ეცემიან მის ზედაპირზე. ასეთ სხეულებს **მეტეორიტები** ეწოდება. მეტეორიტების ჩამოვარდნას შეუძლია ლოკალური ზიანის მოტანა. ცნობილია, მაგალითად, შორეულ აღმოსავლეთში სიხოტე-ალინის მიდამოებში 1947 წელს ჩამოცვენილი მეტეორიტების „წვიმა“, როცა ტონობით რკინის შემცველი ლოდები დაეცა დედამიწის ზედაპირს (კიდევ კარგი, რომ ეს მიდამოები უკაცრიელია, თორემ...).

სულ სხვაგვარი, გრანდიოზული მოვლენების გამოწვევა შეუძლიათ შედარებით მყარი ორბიტების მქონე დიდი მასისა და ზომის კოსმოსური სხეულების (მაგალითად მცირე პლანეტების, ანუ ასტეროიდებისა და კომეტების) შეჯახებას დედამიწასთან. მათ ძალუძთ ზიანი მიაყენონ მთელ დედამიწას, როგორც პლანეტას. მეცნიერები ვარაუდობენ, რომ ამ რამდენიმე ათეული მილიონი წლის წინათ დედამიწაზე მცხოვრები დინოზავრების ამოწყვეტა გამოწვეული იყო სწორედ ასეთი დიდი სხეულის ჩვენს პლანეტასთან შეჯახების მიზეზით.

რაც შეეხება დღევანდელობას, მსგავსი მოვლენების მოხდენა სავსებით შესაძლებელია თანამედროვე ეპოქაშიც. ოღონდ მეცნიერებისა და ტექნიკის განვითარების დონე ახლა საშუალებას იძლევა: ჯერ ერთი, დედამიწასთან შეჯახებამდე დიდი ხნით ადრე დავაფიქსიროთ ჩვენსკენ მქროლავი უცხო კოსმოსური სხეული და თვალ-ყური ვადევნოთ მის მოძრაობას (მაგალითად, ასტრონომებმა ორი წლით ადრე შეძლეს დაედგინათ, რომ 1994 წელს ერთ-ერთი კომეტა დაეჯახებოდა პლანეტა იუპიტერს, რაც დიდი სიზუსტით გამართლდა. სხვათა შორის, ამ მოვლენას წარმატებით დავაკვირდით აბასთუმანშიც); მეორეც, ბირთვული ფიზიკისა და კოსმოსური ტექნიკის განვითარების თანამედროვე დონის მეოხებით შეიძლება კოსმოსური სხეულის ჩვენთან მოფრენამდე დაქუცმაცება ან მისი ტრაექტორიის შეცვლა.



ერთი სიტყვით, კაცობრიობა გადარჩება იმით, რითაც კინაღამ დაიღუპა სუპერძლიერი იარაღით.

ჩემი საუბარი მინდა იმით დავამთავრო, რომ, თუმცა, ქართველებს უკვე [illegible]ნობით გააჩნიათ ისეთი ნივთიერი და სულიერი ღირებულებანი, რომელნიც უთუოდ იმსახურებენ კაცობრიობის საერთო საგანძურში შესვლას, მათ (ქართველმა ხალხმა, საქართველოს ხელისუფლებამ) ამთავითვე, სულს მოითქვამს თუ არა ჩვენი ქვეყანა, უნდა იზრუნონ თანამედროვეობის შესაფერისი ახალი ღირებულებების შექმნისათვის. მე თუ მკითხავთ, მაგალითად, ერთ-ერთ ასეთ ღირებულებას წარმოადგენს ქართველ კოსმონავტთა ისეთი ძლიერი რაზმის მომზადება, რომელიც განიმსჭვალება ჩვეული ქართული გმირული სულისკვეთებით და შეძლებს, მსოფლიოს სხვა ქვეყნების წარმომადგენლებთან ერთად, თავისი შესამჩნევი წვლილი შეიტანოს სხვა პლანეტების ათვისების საქმეში.

**ვიქტორ ჯაფიაშვილი,**
პროფესორი.

◉ გამოიცა

# ... და რომ გახსოვდეს

**მაქსიმ გორკის ცნობილი გამოთქმა „თუ მტერი არ ნებდება, მას სპობენ“, ბოლშევიკებმა საბოლოოდ ასე შეავსეს – თუ მტერი ნებდება, მას მაინც სპობენ, ხოლო თუ მტერი არ არსებობს, მას იგონებენ.**

ტერმინი „ხალხის მტერი“ საბჭოთა კავშირში უნივერსალური იყო. იგი გამორიცხავდა იდეოლოგიური შეცდომების მტკიცებათა აუცილებლობას. ასეთი კონცეფცია იძლეოდა უსასტიკესი რეპრესიების გამოყენების საშუალებას, არღვევდა კანონიერების ყველა ნორმას ყველას წინააღმდეგ.

1937 წლის 30 ივლისს, გრიფით „სრულიად საიდუმლოდ“, სსრკ შინაგან საქმეთა მინისტრმა ნიკოლაი ეჟოვმა გამოსცა ოპერატიული ბრძანება № 00447. მასში დასახულია ზუსტი ამოცანა: „1937 წლის 5 აგვისტოდან ყველა რესპუბლიკაში, მხარესა და ოლქში დაიწყოს ყოფილი კულაკების, აქტიური ანტისაბჭოთა ელემენტებისა და სისხლის სამართლის დამნაშავეთა რეპრესიების ოპერაცია, რათა ერთხელ და სამუდამოდ მოეღოს ბოლო მათს ძირგამომთხრელ მუშაობას საბჭოთა სახელმწიფოს საფუძვლების წინააღმდეგ“.

ამ ბრძანება-ინსტრუქციაში გამოწვლილვით არის ჩამოთვლილი „რეპრესიას დაქვემდებარებული კონტინგენტი“, გამოძიების წარმოების, „სამეულების“ მუშაობის წესი და, რაც ყველაზე საშინელია, მოცემულია საკონტროლო ციფრები, ე.წ. დახვრეტებისა და დაპატიმრებების ლიმიტები.

არის დოკუმენტი, რომლითაც ირკვევა, რომ იმ წლის 10 თვეში საქართველოს შინსახკომის ორგანოებმა დააპატიმრეს 12000-ზე მეტი კაცი, მათგან სასჯელი დაედო 7374 კაცს, აქედან „სამეულებით“ – 5236-ს, „საგანგებო თათბირით“ – 591-ს. „სამეულის“ განაჩენი, იშვიათი გამონაკლისის გარდა, ერთადერთი იყო – დახვრეტა.

მკვლევარები დაასკვნიან, რომ არასრული მონაცემებით, 1921-1938 წლებში ჩეკას ორგანოებმა საქართველოში დახვრიტეს 13470 კაცი, მათ შორის 1937-1938 წლებში – 11764 კაცი; 1937-1938 წლებში არასასამართლო ორგანოებმა სხვადასხვა ვადით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა 11086 კაცს, მათ შორის 8974 კაცს – 10 წლით.

ჩვენ ალბათ ვერასდროს შევიტყობთ მთელ სიმართლეს საბჭოთა რეპრესიებზე და ამ დროს ყველა ახალი ნაშრომი ფასეული გზამკვლევია სამართლის ძიებაში.

ახლახან გამოიცა **ავთანდილ ქურხულის** წიგნი **„... და რომ გახსოვდეს“,** რომელიც რეპრესირებულ მედიცინის დარგის მუშაკებს გვამცნობს.

ავტორს (იგი პროფესიით ექიმი და რეპრესირებული ოჯახის შვილია) სამწლიანი თავაუღებელი შრომით მოუპოვებია ზღვა მასალა. არქივებში დაუდგენია 1921-1953 წლებში ხელისუფლების მიერ საქართველოში პოლიტიკური ბრალდებით რეპრესირებული 324 მედიცინის მუშაკის (მათ შორის 75 ქალია) ბედი.

ამ 324 რეპრესირებულიდან სასჯელის უმაღლესი ზომა – დახვრეტა მიესაჯა 142 ადამიანს. მათგან 9 ქალი იყო.

324 გამრუდებული, ჩამქრალი სიცოცხლე...

დახვრიტეს საქართველოში პირველი ტუბდისპანსერის და ტუბერკულოზის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დამაარსებელი, ქართული მეცნიერული ფთიზიატრიის ფუძემდებელი, პროფესორი იოსებ აბაკელია. ბრალად წაუყენეს „ძირგამომთხრელი საქმიანობა, აქტიური მონაწილეობა ტერაქტების მომზადებაში სკპ (ბ) და საბჭოთა მთავრობის ხელმძღვანელთა წინააღმდეგ და ჯაშუშური საქმიანობა უცხო ქვეყნების სასარგებლოდ“. ერთი სიტყვით, გვირაბის გათხრა ბომბეიდან ლონდონამდე.

ასევე აბსურდული, წარმოუდგენლად უაზრო ბრალდებებით გამოასალმეს სიცოცხლეს აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანდაცვის სახალხო კომისარი, საკურორტო საქმის ცნობილი ორგანიზატორი ვიანორ ანჩაბაძე (იმავდროულად, ყაზახეთში 5 წლით გადაასახლეს მისი მეუღლე ვერა შენგელაია-ანჩაბაძე); საექიმო-სანიტარიული სამსახურის აღიარებული სპეციალისტი ნიკოლოზ გეგეჭკორი; გამოჩენილი თერაპევტი, პედაგოგი, ერუდიტი და სამკურნალო საქმის ორგანიზატორი, პროფესორი შალვა მიქელაძე (იგი მართლაც უბედურ ვარსკვლავზე იყო დაბადებული: 1938 წელს მისჯილი დახვრეტა 1939 წელს 10 წლით თავისუფლების აღკვეთით შეეცვალა, მაგრამ 1941 წლის 8 სექტემბერს კვლავ სიკვდილი მიუსაჯეს და ქ. ორიოლთან ე.წ. მედვედევის ტყეში დახვრიტეს); ცნობილი პარტიული მუშაკის, იმავე წელს დახვრეტილი მიხეილ ოკუჯავას მეუღლე, სამი შვილის დედა, პედიატრი ნინო მოდებაძე-ოკუჯავა, თბილისის სამედიცინო ინსტიტუტის სტუდენტი იასონ ჟორდანია, რომელსაც ბრალად წაუყენეს... 1930 წელს, 14 წლის ასაკში (!) ორგანიზაცია „ახალგაზრდა მარქსისტების“ წევრობა. აჭარის საავთიაქო სამმართველოს დირექტორი ანა ქიქავა, რომელმაც თურმე „სამი წლის განმავლობაში იცოდა კონტრრევოლუციური, ტროცკისტული, ტერორისტული ორგანიზაციის არსებობის შესახებ და იზიარებდა ამ ორგანიზაციის წევრთა შეხედულებებს“, თბილისის სამედიცინო ინსტიტუტის დირექტორი, საქართველოს ჯანდაცვის სახკომის მოადგილე, გამოჩენილი ექიმი, პედაგოგი და ორგანიზატორი, პროფესორი კლიმენტი ცომაია, რომლის საქმესაც ავადსახსენებელმა ბაღჩო ქობულოვმა საგანგებოდ დააწერა რეზოლუცია სისასტიკით ცნობილ გამომძიებელ ივიანისთვის: „დააწექით მაგრად და მიაღწიეთ აღიარებას“; საქართველოს კურორტოლოგიისა და ფიზიოთერაპიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დამაარსებელი და უცვლელი დირექტორი (ეს ინსტიტუტი დღეს მისი სახელობისაა), პროფესორი ივანე კონიაშვილი...

სხვადასხვა დროს საქართველოს პროფსაბჭოს მდივანი, სახკომსაბჭოს თავმჯდომარის მოადგილე, ა/კავკასიის სფსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარი, შემდეგ – ა/კავკასიის სფსრ სახკომსაბჭოს თავმჯდომარის მოადგილე, საქართველოს საგეგმო კომისიის თავმჯდომარე, თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე, სპეციალობით აფთიაქარი სიმონ ჯუღელი 1935 წელს სამუშაო კაბინეტში მოწამლეს (ოჯახის წევრთა გადმოცემით), დიდი პატივით დაკრძალეს მთაწმინდაზე, მისი სახელი უწოდეს ქ. ზესტაფონს, 1937 წლის ბოლოს კი ხალხის მტრად გამოაცხადეს და... საფლავიდან ამოთხარეს. დააპატიმრეს და დახვრიტეს მისი მეუღლე, ფარმაცევტი ნინა საბახტარაშვილიც, რომელმაც, როცა მეუღლის საფლავიდან ამოთხრა შეიტყო, გამწარებულმა ბინაში დაურეკა ბერიას: „გარეწარო, დესპოტო, კაცი მოკალი, ბავშვები ობლად დატოვე და ახლა მიცვალებულს საფლავშიც არ ასვენებო?“

ავტორს განსაცვიფრებელი გულმოდგინებით შეუკრებია ეს მასალები და შეუქმნია შესანიშნავი ცნობარი.




წიგნის ღირსება ისიც არის, რომ ახლავს დეკრეტები, დოკუმენტები, ცირკულარები, საიდუმლო თუ სრულიად საიდუმლო ნორმატიული აქტები და ბრძანებები, რომლებმაც მნიშვნელოვნად შეუწყვეს ხელი ბოლშევიკური ხელისუფლების ბრძოლას პოლიტიკურ ოპონენტებთან და „იურიდიული“ საფუძველი შეუქმნეს პოლიტიკური რეპრესიების განხორციელებას. ამ საკანონმდებლო აქტებში კარგად ჩანს რეპრესიების მექანიზმი, მასშტაბი, რეჟიმის სისასტიკე, ადამიანთა დაუცველობა, ის, თუ რა გზა და მეთოდი აირჩიეს ბოლშევიკებმა მიზნების მისაღწევად. ერთი სიტყვით, თვალი აქვს გადევნებულ მთელ სისხლიან გზას 1921 წლიდან 1953 წლამდე. წიგნს დანართად ახლავს უშუალოდ სტალინისა და პოლიტბიუროს სხვა წევრების რეზოლუციებით საქართველოდან რეპრესირებულთა სია – 3550-მდე კაცისა.

**გაწეულია დიდი, ნაყოფიერი შრომა და ბატონ ავთანდილ ქურხულს გულითადი მადლობა ეკუთვნის ამ შრომისათვის. ასეთი წიგნი საჭიროა იმისათვის, რომ საზოგადოებამ თავისი ისტორია იცოდეს და რომ გახსოვდეს!“**

**ალეკო ასლანიშვილი.**

◉ ღიმილიანი საკითხავი

# პარლამენტმა კახელები გაახარა

**წიწაკაანთ გიგოს ვირმა ჩოჩორი მოიგო. მეზობლები შეუჩნდნენ, ოჯახში გამწევი ძალა შემოგემატა, ეს ისეთი ამბავია, თუ არ აღვნიშნეთ, ღმერთიცა და კაციც შენი მომდურავი დარჩებაო.**

გიგომ კარგად იცოდა, რომ მეზობლებთან უარი არ გაუვიდოდა და მეუღლეს სუფრა გააშლევინა. ცოტა რომ შეზარხოშდნენ, ბინდი ჩამოწვა, ნავთის ლამპა უნდა აენთოთ, მაგრამ მოხდა სასწაული – ნათურა აჩახჩახდა, ფართოდ გაახილა თვალი და, შემოსწრებულ სასურველ სტუმარივით, ოჯახში სითბო და სიხარული შემოიტანა.

– ესეც ასე, ძლივს წესიერად არ დაგინახეთ?... თქვე სახეძაღლებო, რა ლამაზები ჩანხართ ყველანი, ჩემი ჩოჩორივით, ახლად დაბადებულებსა გევხართ!

– თითოც დავლიოთ და კიდევ უფრო ლამაზები მოგვეჩვენება ერთმანეთი, – თქვა წიწაკამ, ღვინო უნდა დაესხა, მაგრამ ტელევიზორმა მოსტაცა თვალი და გაჩერდა.

გადმოსცემდნენ ნაწყვეტებს პარლამენტის ცხოვრებიდან, ეკრანზე გამოჩნდა ერთ-ერთი დეპუტატი, რომელიც ოდნავ წვრილი ხმით, აღგზნებული ლაპარაკობდა:

– ბატონებო, თქმა არ უნდა, აფხაზები ავტოქტონები არიან, მათ არსად წაესვლებათ და ამას გაგებით უნდა მოვეკიდოთ...

– ამ ჩემანალას სუფრაზე ხომ არ ჰგონია თავი, რომ მთელი აფხაზეთი აფსუებს დაუმტკიცა... მა დავიჯერო, რომ აფსუები და ქართველები გადარბენაზე იყვნენ და ერთდროულად შემოაბიჯეს ამ კურთხეულ მიწაზედა?! – გაჯავრდა წიწაკა და მეუღლეს გასძახა:

– დედაკაცო, აბა ერთი, გუშინ რო ბიჭმა თბილისიდან ლუდი ჩამაიტანა, თითო ბოთლი ჩამოგვირიგე!...

– ამ დალოცვილ ქრისტეს სისხლთან ლუდი რა სახსენებელია?! – გაიკვირვა ყარფუზაანთ შალიკომ.

– მა რა ვუყოთ, როცა ლუდით სადღეგრძელებელი ხალხიც გამოგვიჩნდა... ამას ღვინიან ჭიქაში ვერ ჩავასხამ და ასე დავლიოთ, – ლუდიანი ბოთლი აიღო თამადამ, – მოდი, ჩვენს ზოგიერთ წვინტლიან ისტორიკოსს გაუმარჯოს, თავის დროზე, ვიღაცის შიშითა თუ ხათრით, სიმართლე არ თქვეს, აფსუები აფხაზებად მონათლეს და მათ საქართველოს ძირძველი მოსახლეები უწოდეს...

– აი, სწორედ მეც მანდა ვარ, რა გვეშველება ახლა რომ ლეკმა ასბულამ თქვას, ჩემი პირველი სამშობლო კახეთია და მეც კახელი ვარო?– ფეხზე წამოდგა ბურბუშელაანთ ანზორა.

– დაჯექი, ბურბუშ, შენი ნერვიულობა არ შეიძლება, რა გვეშველება და თუ ჩვენმა ყოფილმა უფროსმა ძმამ მოინდომა, ყველას თვალებში ნაცარს შეაყრის და მაგასაც გააკეთებს.

ეკრანზე ერთმანეთზე წაყინჩებული ვიცე-სპიკერი ვახტანგ რჩეულიშვილი და ნოდარ ნათაძე გამოჩნდა. ფეხშიშველაანთ გაბრომ აღტაცებით შემოჰკრა ტაში:

– ბიჭო ვახტანგ, რაღას უყურებ, მიდი ერთი, გული მოგვფხანე, ჩვენებურად, მადლიანად შეუკურთხე და ნამდვილად ჩვენი რჩეული შვილი იქნები!...

ვიცე-სპიკერმა ვერ გაიგო ეს წაქეზება და ნათაძეს ბორჯომის წყალი შეასხა სახეში.

– აბა, როგორღა შეუკურთხებს, როცა მაგაზე ახალი კანონი გამოსულა, – თქვა კრამიტაანთ მერაბამ და ნაღვლიანად ამოიოხრა.

– რა ახალი კანონიო, – ყველამას მიაჩერდა და ტელევიზორი გადაავიწყდათ.

– რა და, გუშინ რაიცენტრში ვიყავი, ჩვენს გამგებელს შევუვარდი, მე შენი დედის ასე და ისე რა ვქენი, ე მანქანა-ტრაქტორები რო წურბელებს ჩაუგდეთ ხელში, რა ჩემფეხებით მოვხნათ და დავთესოთ-მეთქი... ჰოდა, იცი, რა მითხრა?... კრამიტაანთ ბიჭო, ახალი კანონით სხვისი დედის გინებისათვის იმხელა ჯარიმაა დაწესებული რო, იმის გადახდას მთელი შენი ქონების ნახევარიც არ ეყოფა, ახლა მიპატიებია, ამის შემდეგ კი ფრთხილად იყავიო. ყველაფერი გადამავიწყდა, გაოგნებული წამოვედი და აღარც ვიცი რა ვქნა, ლამის კაცს ბოღმით გული გამისკდეს!... თქვენ რა, ჭურში ხომ არ ზიხარ?... ეს ამბავი უკვე მთელმა საქართველომ იცის, ხვალ კატლეტაანთ ვანო თბილისში მიდის, პარლამენტში ვიღაც კაცი ჰყოლია და ყველაფერს დაწვრილებით გაგვიგებს.

– ეს ხუმრობა საქმე არ არის, – წელმოწყვეტილივით წამოდგა ვირმიხაანთ ბექანა, – ხვალ დილით კატლეტა ჩვენც ვინახულოთ, იმ კაცს შეგვახვეწოს, იქნებ კანონი შემოატრიალონ, სხვა მხარეზე გაუკეთონ ყური და გაჭირვებისაგან გვიხსნან.

სუფრა ჩაუშხამდათ, უხალისოდ დაიშალნენ. მეორე დღეს მთელი სოფელი კატლეტაანთ ვანოსთან შეიკრიბა, მათ გარდა კახეთის სხვადასხვა რაიონებიდანაც კი მოსულიყო თითო-ოროლა კაცი და ყველა თავისებურ დავალებას აძლევდა:

– დაბოღმილი გულის გასაქარვებლად ეგ ერთი სიხარულიღა გვქონდა, მთავრობას უნდა, როეგეც წაგვართვას, უთხრი იმ კაცს, გვიშველოს რამე, თორემ კახეთი დაიღუპება...

– თუ არაფერი გამოვიდა, – არიგებდა მეორე, – უკან არ დაიხიო, ყველას ჩვენებურად მოეფერე, ძირი-ძირობამდე ყველაფერი ამოუტრიალე და ჯარიმას ჩვენ გადავიხდით... ბედის ანაბარად მიტოვებული ხალხი სიცივ-შიმშილით იხოცება, ეგენი კი კატა-თაგვობანას თამაშობენ!...

წავიდა კატლეტა, მაგრამ ჩამოსვლა დააგვიანდა. მთელმა კახეთმა პირზე კლიტე დაიდო და ბოღმით იხრჩობოდა. ზოგიერთმა ცალტვინა ახალგაზრდამ გამოსავალი გამონახა, სხვის დედას მოეშვა და საკუთარი დედის გინებაზე გადავიდა.

კატლეტამ ბევრი იარა და ბოლოს პარლამენტის სპიკერთან მივიდა.

– მე თუ მკითხავთ, ჩემთვის ყველაფერი ადამიანური გასაგებია და უცხო არ არის, მაგრამ დედის გინება მაინც ლამაზი არ უნდა იყოს, – თქვა სპიკერმა.

– მა არაფერი გვეშველება? – შეეკითხა გულგალეული კატლეტა და როცა მან არაფერი უპასუხა, წყალწაღებულივით ხავსს მოეჭიდა, – არც საკუთარი შვილებისა და შვილიშვილების შეგინება შეიძლება?

– საკუთარი შვილებისა – კი ბატონო, მაგრამ შვილიშვილებისა – ნურას უკაცრავადაო.

– ეგეც დიდი შეღავათიაო, – თქვა კატლეტამ, წამოვიდა და ეს სასიხარულო ამბავი, დიდი ხნის ნაავდრალ ცაზე ახლად გამოსულ მზის მაცოცხლებელი სხივებივით, მთელ კახეთს მოჰფინა.

შეიქმნა მხიარული ფუსფუსი. უცოლოებმა ოჯახები შექმნეს, თითოოროლა შვილის პატრონებმა გამრავლებაზე დაიწყეს ზრუნვა. აბა, ერთი და ორი შვილი რას გვეყოფა, დარდითა და ბალღამით გასიებულ გულს თუ დროზე ვერ მოვიოხებთ, იმას რაღა მადლი ექნებაო, ამიტომ ექვსი-შვიდი შვილი მაინც უნდა გვყავდეს, რომ ცდა და მათი ძებნა არ დაგვჭირდესო.

ერთმა სტატისტიკოსმა თვალა, თვალა და გამოთვალა, რომ საქართველოს მოსახლეობა, მარტო კახეთის წყალობით, ოცდამეერთე საუკუნის პირველი ნახევრის ბოლოსათვის ათ მილიონს მიუკაკუნებს და უქართველებოდ საქართველოს მოსიყვარულეთა იმედები ნულს გაუტოლდებაო.

**მიხეილ შუბითიძე.**

◉ კინოკოლორიტები

# გია-გიკა...

მრავალჯერ მითქვამს და ვამბობ, გია უცნაური კაცია-მეთქი. ხან ისეთ უმნიშვნელო საკითხზე შეგეკამათება ჯიუტად, თვითონაც რომ არ სჯერა-ხოლმე, ჭკუიდან გადაგიყვანს კაცს, თუ დაიჟინა, სულს გაყიდის, შავს მაინც თეთრად მოგაჩვენებს, ხანაც ბაბუაწვერასავით დამყოლია. და ისეც ხდება, ქვეყანა თავზე რომ დაემხოს, სიტყვას ვერ დააძვრევინებ.

„ნუთუ ამ კაცმა გიას მეტი უცნაურობა ვერ შეამჩნია?“ – გამკილავს ვინმე, ჩვენი საერთო ნაცნობთაგანი.

იქნებ სხვაზე მეტი მე შევამჩნიე, მაგრამ ესეცაა, ჩემს ახლობელ ადამიანებს ბოლომდე ხომ ვერ გავწირავ საკალმისწვეროდ.

ესეცაა, პირველად მოხვდები სტუმრად გიასთან და, თუ ცოტა არ იყოს, უქმურაყოლილ ფეხზეც ხარ დილით ამდგარი, შეიძლება კიდეც გაგიჟდე კაცი.

„ბიჭო, ბიჭო, ბიჭო! შენი დედა... ესე!“ – ოთახში, სადაც ჩვენ სუფრასთან ვსხედვართ, ვიღაცა ენამოჩლექილი მწარედ იგინება დედას.

იქითკენ ვიხედები, საიდანაც გინება მესმის:

წიგნების უწიგნებო თაროსთან გალიას ვხედავ, შიგ ციცარის კვერცხისოდენა თუთიყუში ზის და წეღან თუ ასე მოურიდებლად, ურცხვად იმყრალებდა ენას, ახლა უცოდველი კრავივით წკურავს თვალებს და საბრალობლად შემომცქერის.

„ვაა, მესამე ხმაც გვყოლია!“

„მესამე ხმა ჩემია, – ოჯახურ მდგომარეობას მიმხელს გია, – მაგას ამ სახლში პირველი ხმა ეკუთვნის“.

„მეორე ხმა ვისია?“

„მეორე ხმა ნინო თევზაძემ დაითრია“.

„რა ჰქვია?“

„ჩემი სეხნიაა. გიკას ვეძახით“.

„თუ შენი სეხნიაა, ეგ „კ“ საიდანღა გამოკვეხეთ, გია დაგეძახათ“.

„მე კი არა, ნინომ გამოკვეხა“.

„ვაა, ეს ნინო ვინა ყოფილა, კაცო?!“

„ხომ გითხარი, ნინო მეორე ხმაა-მეთქი“.

„ეგეც ყუფარაძეა?“

„აბა, თევზაძეზე ხომ არ დავწერდი“.

„არ გაგიგოს, თორემ ვეღარც გადაურჩები“.

„ისეთს რას მიზამს, რაც არ უქნია?!“

„ეგ შენი გიკა რა პროფესიის მასტია?“

„კოლეგები ვართ. მომავალ გიორგობას დამსახურებული კინემატოგრაფისტის სიგელი უნდა გავუჩალიჩო“.

„გიორგობა რა შუაშია, რევოლუციონერი ხომ არ არი?“

„არ დამიჯერებ. „ვარდების რევოლუციის“ წვიმიან დღეებში მე ცელოფანის ქვეშ ვეფარებოდი თავსხმას, გიკა – ჩემი საწვიმარი კურტკის უბის ჯიბეში“.

„მაშინ, იმ სიგელს ოქროს ვარდიც უნდა მიაყოლოთ“.

„ვნახოთ, მანამდე როგორ მოიქცევა“.

„ჰო. ავხტი, დავხტი და, დიდი შოთა მანაგაძის ფილმზე „წუთისოფელი“ ადმინისტრატორად დავიწყე მუშაობა“.

„დიდებული ადამიანი ბრძანდებოდა ბატონო შოთა“.

„ჩემი ალალი ბაბუა იყო. ჩემი მუშაობა მოეწონა და დირექტორატში რეკომენდაციაც მომცა, ამის მერე იყო, ნელი ნენოვასა და გენო წულაიას ფილმზე „მოვდივართ და მოვიმღერით“ დირექტორად გამიშვეს“.

„ეკრანზე როგორღა მოხვდი?“

„შემთხვევით. იცი, ფილმის ბედს ხშირად ტიპაჟი წყვეტს. რეჟისორმა თუ ჩაგავლო თვალი, გადმოგიგდებს ანკესს და, კინო ისეთი მაგიური სატყუარაა, ჩანგალზე უეჭველად წამოეგები“.

„რამდენ ფილმში ითამაშე?“



„იქნება, ღირსების ორდენიც დაითრიოს“.

„შენ ხუმრობ, და ნახავ, ჩემი გიკა თანამდებობასაც დაითრევს“.

„ეკონომიკასთან როგორ არის?“

„ეკონომიკა რა შუაშია?“

„დღეს ყველაზე დიდი გასავალი ეკონომისტის დიპლომიანებს აქვთ. ეკონომისტი გერქვას და, თუ მოინდომებ, მუსკომედიის მთავარ რეჟისორადაც დაგნიშნავენ“.

„მე თუ ეკონომიური დავამთავრე, იმიტომაც არ ავშენდი?! ამდენი ეკონომისტი ვის უნდა, დუქინი ორშაურად ყრია დილმის ბირჟაზე“.

„ინტისტუტიდან პირდაპირ კინოსტუდიაში მოხვედი სამუშაოდ?“

„თუ ძმა ხარ, მაგას ნუღა გაიმეორებ, რა თამაში, რის თამაში, კი არ ვითამაშე, გადამიღეს“.

„ორი ფილმი დამისახელე და შეგეშვები“.

„კარგი. „დათა თუთაშხია“ და „მიზანი“. „მიზანში“ ინგლისელი კომერსანტი განვასახიერე. როცა რეჟისორმა გენო ხოჯავამ გადაღება შემომთავაზა, ერთი კი ყასიდად მოვიკატუნე თავი, მაგრამ არ დაგიმალავ, გადაღების სურვილიც მქონდა“.

„დათა თუთაშხიაში?“

„ოჰ, ეს დაუვიწყარი ფილმია ჩემთვის. ბატონმა გიგა ლორთქიფანიძემ პოლკოვნიკ კნიაზევის როლში გადამიღო. ამ ფილმში – თუნდაც თითო კადრში გადაღებაზე, თვით დიდი პროფესიონალი მსახიობები ოცნებობდნენ და, მე რა ჯანდაბა მათქმევინებდა უარს?!“

გია საქაღალდეს იწვდის, დიდხანს იქექება, რამდენიმე ფოტოსურათს იღებს და მაწვდის:

„ეს სურათი, მიყვარს, შეხედე, ჯიბეგაფხეკილ აზნაურს არ ვგავარ?!

„ახლა ხომ ჯიბეები გეხევა ფულის სიმძიმით“.

„ღმერთი მოგვცემს. აი, ამ სურათს განსაკუთრებით ვინახავ, „დათა თუთაშხიადანაა“. გრაფი სეგედის როლის შემსრულებელ დიდებულ მსახიობ იური იარვეტთან ერთად ვარ გადაღებული“.

„კარგია, რაღა... მსახიობობა დაითრიე, ახლა რეჟისორობასაც მოინდომებ“...

„რას მეშაყირები, რაღა დროს ჩემი რეჟისორობაა?! სცენარის დაწერა კი მიფიქრია“.

„მწერლობასაც აპირებ?“

„მწერლობა რა შუაშია. მწერლობას კი არ ვაპირებ, სცენარი უნდა დავწერო-მეთქი, ვიდეოფილმის სცენარი, ქართული კინოს პრობლემებზე. ამ წუთას ახალი იდეაც დამებადა, თემად ჰიმნი უნდა ავიღო, ხომ მაგარია?! იდეა თუ მოგეწონება, ერთად დავწეროთ“.

„ორი კაცი ერთ სცენარს როგორ დაწერს?!“

„ეგრე, როგორც „ტელე-იმედში“ წერენ. მე მოგიყვები და შენ დაწერე. თუ გინდა, სათაურიც შენ შეურჩიე“.

„სათაურად „ჰიმნის მაძიებლები“ მოგწონს?“

„მომწონს, მაგრამ გრძელი მეჩვენება. უფრო ზუსტი სათაურია საჭირო. ზუსტი და მოკლე“.

„ამაზე მოკლე რაღა უნდა იყოს. „ჰიმნოკრატებზე“ როგორა ხარ?“

„ოჰ, ჯიგარი ხარ, „ჰიმნოკრატები“ კარგია. მაგრამ... რას ნიშნავს?“

„რა მნიშვნელობა აქვს, რას ნიშნავს. მთავარია, მოგწონს“.

ამ დროს ისევ მესმის გიკა ყუფარაძის მყრალი გინება.

„ერთი გამაგებინა, რას მერჩის, რატომ იგინება“.

„რას უნდა გერჩოდეს, უნდა და იგინება“.

„მეტი ვერაფერი ასწავლეთ?“

„მე არ მისწავლებია“.

„ვინ ასწავლის?!“

„ნინო თევზაძე“.

„ნინოსაც აგინებს?“

„საღამოობით“.

„დღისით?“

„ყველას, ვინც აქ შემოდის“.

„შემოსწრებულებს?“



„ვინც ხელთ მოხვდება“.

„მაგარი მასტი ყოფილა ეს შენი გიკა ყუფარაძე. – ვეუბნები გიას: – ნინოს უთხარი, ცოტა მეტად გაისარჯოს, იქნება ახალი „ჰიმნიც“ შეასწავლოს“.

„რისთვის?“

„ტელე-იმედის“ რეჟისორები სერიალებში გადასაღებად მიიწვევენ და ცოტაოდენ მაყუთს მოხევდით“.

„აუფ, მაგარი იდეაა!“ – თითქოს ფული უკვე ჯიბეში ჰქონდეს, გია გამდიდრების იმედით ცაში დაფრინავს.

„რომ იცოდე, გიკამ მოფერებაც იცის“.

და სწორედ ამ დროს:

„ბიჭო, ბიჭო, ბიჭო! რა კარგი ხარ, გენაცვალე, ბიჭო!“ – კვლავ მესმის გიკა ყუფარაძის ხრინწიანი ხმა და ნისკარტის წკაპუნი.

ფეხზე ავდექი, გალიისკენ წავინაბიჯე, და ჰოი, საოცრებავ, მერწმუნეთ კი – გიკას სტუმარ-მასპინძლობის თვითდადგენილი წესი არც ამჯერად დაურღვევია:

„ბიჭო, ბიჭო, ბიჭო!.. შენი დედაა... ესე... კრრრ!“ – ენაზე მომდგარი ყურადღების გამომხატველი სიტყვები, კიდევ ერთხელ, და უშურველად, ტყვიამფრქვევივით დამაყარა:

„ეს რა მურტალი ვინმე ყოფილა, კაცო?!“ – ვეღარ ვფარავ გულისთქმას.

„მურტალი კი არა, – სიცილით ბჟირდება გია, – დამსახურებული არტისტია, არ-ტი-სტი!“

„არტისტი კი არა, ისა...“

„რა?“

„არტისტი!.. არტისტი თქვენა და...“

„არც დაიჯერებ, – ისევ იცინის გია, – ნინოც არტისტია-მეთქი და გიკაც“.

„ყველანი არტისტები ხართ, თქვენი...“

**რომან ამირეჯიბი.**

**სურათებზე: გია ყუფარაძე; კადრი ფილმიდან „დათა თუთაშხია“, გია ყუფარაძე მსახიობ იური იარვეტთან ერთად.**

◉ ეს საინტერესოა

# გენერალი დე გოლი „DS 19“ ავტომობილში სივიწროვეს უჩიოდა, თუმცა მაინც ამ მანქანას ანიჭებდა უპირატესობას

**ფუფუნება, როგორც თვით ამ სიტყვის განმარტება მიგვანიშნებს, ყველასათვის არ არის ხელმისაწვდომი, ამ სიკეთით ცოტა ვინმე თუ სარგებლობს. ლუქსის კლასის მანქანის შემქმნელები უნდა შეურიგდნენ ასეთ აშკარა უსამართლობას. თუმცა, ფრანგებმა ეს ვერ შეძლეს, რადგან ისინი მუდამ ესწრაფვიან თანასწორობას.**

მეორე მსოფლიო ომის გასრულების შემდეგ საფრანგეთში შემოიღეს პროგრესული გადასახადი „ჯიბესქელთა“ მანქანებისათვის. მაგრამ ამან გამოიწვია, ის რომ გადასახადის შემოღებიდან სულ რამდენიმე წელიწადში საფრანგეთში, შეიძლება ითქვას, დაიღუპა პრესტიჟული ავტომობილების ინდუსტრია: „Bugatti “, „Delge“ და „Talbot-Lago “ სცენიდან ჩამოვიდნენ. ქვეყნის პრეზიდენტი შარლ დე გოლიც კი მოკრძალებული „სიტროენ DS 19“-ით დაკმაყოფილდა. ამ მანქანაში საკმაოდ ტანმაღალ პრეზიდენტს ადგილი არ ჰყოფნიდა. თავი სახურავზე ჰქონდა მიბჯენილი, მუხლები კი – პირადი მცველის სავარძელზე. და მაინც დე გოლს უყვარდა „DS 19“ – ერთ-ერთი ყველაზე ელეგანტური, და საყოველთაო აღიარებით, ჭეშმარიტად ფრანგული ავტომობილი. სწორედ ამ მანქანით მგზავრობდა პრეზიდენტი, როცა მოხდა მასზე თავდასხმა, რომელიც აღწერილია ფრედერიკ ფორსაიტის პოპულარულ რომანში „ტურის დღე“, „სიტროენის“ ჰიდროპნევმატური საკიდრის თავისებურებამ მძღოლს მისცა იმის საშუალება, რომ აეწია ტყვიით გახვრეტილი ბორბალი და მანქანა სახიფათო ადგილიდან მხოლოდ სამი ბორბალით გაეყვანა.

დე გოლის მიერ დამკვიდრებულ ამ დემოკრატიულ ტრადიციებს არც საფრანგეთის ამჟამინდელი პრეზიდენტი ჟაკ შირაკი ღალატობს. იგი საკმაოდ შელანძღული „Renault Sofrant“-ით დადის. დიახ, მას შემდეგ რაც ბრიტანეთის დედოფალმა იყიდა „რეიჯ-როვერ“ ყველგანმავალი, ახლა ძლიერი ამა ქვეყნისანი ყველანაირი ატვომობილებით ჩნდებიან ელიტარული საზოგადოების თავშეყრის ადგილებში...ძნელია ითქვას, რა განაპირობებს ამას, – „მასებთან“ უფრო ახლოს ყოფნის სურვილი, თუ ფრანგული პრაქტიკულობა (ან, თუნდაც, სიძუნწე, რომელიც არავისთვის არის საიდუმლო). თუმცა, ასეთი სახელოვანი საავტომობილო ისტორიის ქვეყანას უთუოდ უნდა ჰქონდეს, ეგრეთ წოდებული, ფლაგმანი – მოდელებიც ისეთები, რომელთა ჩვენებაც არ შეგრცხვება საერთაშორისო ავტოსალონებზე. და ფრანგებმაც მოკიდეს ხელი ათასგვარ ექსპერიმენტს. „რენომ“ და „სიტროენმა“ ყველა გააოცეს თავიანთი შესანიშნავი ავტომანქანებით. ექსპერიმენტულმა „Citroen C-Airlouge “-მ, როგორც ჩანს, უნდა განაგრძოს დე გოლის „DS 19“-ის ფუტურისტული ტრადიციები.



**სურათზე: შარლ დე გოლის დროის შავი „სიტროენ DS19“ ფრანგული ავტომობილის სიმბოლოა. ამ მანქანის სილუეტი დახატა დიზაინერმა ფლამინიო ბერტონიმ.**

◉ ყველაფერი ყველაფერზე

## სალვადორ დალი ასი წლისაა

**სიურეალიზმი მას არ გამოუგონია, – გავრცელებული შეხედულების საწინააღმდეგოდ. ასეთი მოძრაობა, რომელსაც 1929 წელს შეუერთდა ახალგაზრდა ესპანელი ფერმწერი, უკვე ასრებობდა პარიზელ მხატვრებს, პოეტებსა და კინემატოგრაფისტთა შორის.**

დალი დიდი მხატვრული ერუდიციის მქონე გახლდათ და ადვილად აიტაცებდა ხოლმე იდეებს სულ სხვადასხვა წყაროდან – ამაღლებული კლასიციზმი თუ ურცხვი პორნოგრაფიული გრავიურები, აღორძინება თუ იტალიური ფუტურიზმი. იგი გახდა თანამემამულე ლუის ბენიუელის თანაავტორი სიურეალის-



ტური კინოს პირველი შედევრების, ფილმების „ანდალუზური ქოფაკისა“ და „ოქროს საუკუნის“ შექმნაში, რომელთა ჩვენებასაც პარიზში პოლიციასთან შეტაკება მოჰყვა.

მას შემდეგ ეპატაჟი იქცა დალის განუყოფელ თვისებად: შეეძლო სტუმრებიან დარბაზში თავის მაგიერ აქლემი შეეშვა, დიდებულ ოტელში მკვდარდელფინიანი ბარგით შესულიყო... მან სიზმრების, ოცნებებისა და ილუზიების სამყაროში შეიყვანა ხელოვნება.

დალის დაბადების ასი წლისთავის აღსანიშნავად მსოფლიოში იმოგზაურებს მხატვრის 400 ნამუშევრისგან შემდგარი გამოფენა, ის ბარსელონაში აიდგამს ფეხს, იქიდან მადრიდში გაემგზავრება და შემდეგ მთელ პლანეტას მოივლის. აგრეთვე, გაიხსნება სპეციალური გამოფენა დედამიწის ზურგზე უდიდეს დალის მუზეუმში, ამერიკულ ქალაქ სანკტ-პეტერბურგში, ფლორიდის შტატში. ეს მუზეუმი ცოლქმარ მორზეების კოლექციიდან აღმოცენდა, რომლებმაც გამოჩენილი მხატვრის ნამუშევრები პირველად 1941 წელს ნახეს.

## ფული ყოველი ნოტისთვისო

**გერმანულ ქალაქ ბონში არსებული ბეთჰოვენის სახელობის ორკესტრის მევიოლინეებმა სასამართლოში იჩივლეს ხელფასის მომატების მოთხოვნით – ესაო და, კონცერტზე მეტ ნოტას ვუკრავთ, ვიდრე სხვა ინსტრუმენტებზე დამკვრელი კოლეგებიო.**

დირიჟორმა ლაურენტიუს ბონიტცმა კი თქვა, რომ უჭკუობაა სხვა რომელიმე სამუშაოსთან მუსიკალურ ინსტრუმენტზე დაკვრის შედარება და, საერთოდ, მევიოლინეთა სარჩელი აბსურდულია. ისინი მოითხოვენ, რომ ყოველი გამოსვლისა და რეპეტიციისთვის 90 ევროთი გაეზარდოთ გასამრჯელო. მევიოლინეები ამბობენ, რომ ნოტების რაოდენობის საკითხის გარდა, ერთი მომენტიც აწუხებთ: უსამართლო დანამატები სოლისტ მუსიკოსებისთვის. დირიჟორი ბონიტცი კი ფიქრობს, რომ თუკი ვინმე იმსახურებს ხელფასის მომატებას, სწორედ სოლისტები და ზოგიერთი სხვა მუსიკოსი, მაგალითად, ორი ორკესტრანტი ჰობოისტი...

## მხატვარმა ბუნების შელამაზებას მოჰკიდა ხელი

**დანიელმა მხატვარმა მარკო ევარისტიმ სისხლივით წითელი საღებავით შეღება ერთ-ერთი აისბერგი გრენლანდის მახლობლად. 900 კვადრატული მეტრი ფართობის მქონე ბუნების ქმნილების ფერის შესაცვლელად საჭირო გახდა ორი საათი დრო, სამი ათასი ლიტრი ზღვის წყალთან შეზავებული საღებავი, სამი სახანძრო შლანგი, ორი ყინულმჭრელი და 20 თანაშემწე, თანაც მარკოს გუნდს საშინელ სიცივეში მოუხდა მუშაობა. მხატვრის თქმით, მისი ჯგუფი ნახევარი საათი დაბორიალობდა ყინულებს შორის შესაფერისი აისბერგის ძებნაში.**

გრენლანდიის ხელისუფალნი ჯერჯერობით არ გამოხმაურებიან სკანდალური გამოხდომებით ცნობილი მარკო ევარისტის აქციას...

## ფირმებს ვერ გაუყვიათ მადონა

**ხმისჩამწერმა კომპანიამ** Maverick**-მა, რომელიც მადონას ჩანაწერებს გამოსცემს, საკონტრაქტო ვალდებულებათა დარღვევისათვის 200 მილიონი დოლარი თანხის სარჩელი შეიტანა დედოკომპანიის** Wamer Music**-ის წინააღმდეგ. მადონას მტკიცებით, ეს დარღვევები მომღერალსა და მის საქმიან პარტნიორებს მილიონობით დოლარი დაუჯდათ. სარჩელი** Wamer Music**-ის მისამართით შეიცავს ბრალდებებს „უკანონო მოგების მიღებასა და თავის სასარგებლო აქციების ჩატარების შესახებ“.**

მადონამ კომპანია Maverick-ი 1992 წელს შექმნა და მას აქეთ ამ კომპანიამ კონტრაქტები დადო ისეთ შემსრულებლებთან, როგორც ალანის მორისეტი და მიშელ ბრანჩია. სარჩელში იმაზეცაა ლაპარაკი, რომ კომპანია Maverick-ის შემოსავლებმა დაარსების დღიდან 100 მილიონი დოლარის ოდენობის მოგება შეადგინა.

ხსენებული სარჩელი აღძრულია ლოს-ანჟელესის სასამართლოში. კომპანია Wamer Music-ს ის დაბრალდება, რომ მან არ დაფარა კონტრაქტით გათვალისწინებული ხარჯები, კერძოდ, რადიორეკლამისა, მარკეტინგისა და თანმდევი საქონლის გაყიდვისა. საპასუხო განცხადებაში Wamer Music-მა ამ ბრალდებებს „უსაფუძვლო, დაუდასტურებელი და უმართებულო“ უწოდა. სარჩელის მიუხედავად, ის ხაზს უსვამს, რომ თვით მადონასთან დამოკიდებულება არ გაფუჭებულა – პოპ-ვარსკვლავი კომპანიასთან ცალკე ხელშეკრულებითაა დაკავშირებული.



## საიენტოლოგია არაფერ შუაში ყოფილა

**ტომ კრუზმა მიატოვა მეგობარი ქალი – მსახიობი პენელოპა კრუსი. ერთმანეთი მათ 2001 წელს გაიცნეს, ფილმის „ვანილის ცის“ გადაღებისას.**

38 წლის ტომი მაშინ გაშორდა ნიკოლ კიდმანს, რომელთან ერთა-



დაც ორი ბავშვი ჰყავს ნაშვილები. წლეულს, იანვარში, 29 წლის პენელოპამ ტომთან ერთად ლამის მსოფლიო ტურნე მოაწყო შეყვარებულების ახალი ფილმის – „უკანასკნელი სამურაის“ რეკლამირებით. მაშინ მათ ლონდონიც მოიარეს და ტოკიოც. მერე კი, სამუშაოს მიზეზით, ხშირად უწევდათ ერთიმეორისგან დაშორებით ყოფნა. ამას წინათ კრუზმა გაწყვიტა 14-წლიანი ურთიერთობები თავის პრეს-მდივანთან პეტ კინგლისთან, რომელიც ჰოლივუდის ერთ-ერთ ყველაზე გავლენიან ფიგურად ითვლება. ხმების მიხედვით, მან ეს



გააკეთა საიენტოლოგიაში სულ უფრო აქტიური მონაწილეობის გამო. განთავისუფლებული ადგილი კრუზმა დას – ლი ენს გადაულოცა, აგრეთვე, საიეტოლოგიური სექტის ადეპტს. პენელოპა კრუსის წარმომადგენლის თქმით, მსახიობი ქალი საიენტოლოგი არ გამხდარა, თუმცა დადის საიენტოლოგიის კურსებზე და ფიქრობს, რომ ეს მასზე სასიკეთო გავლენას ახდენს. ამასთან, დაუმატა წარმომადგენელმა, ტომ კრუზის რელიგიური მიდრეკილებები არ დასტყობია პენელოპასთან მის დამოკიდებულებას.

## მშვენიერი მეგობრობის დასასრული

**დაშლა გამოაცხადა ცნობილმა ამერიკულმა როკ-ჯგუფმა „Greed“. მის მუსიკოსთაგან, სამმა უკვე ჩამოაყალიბა ახალი ჯგუფი „Alter Bridge“ სოლისტ სკოტ სტაპის გარეშე, როგორც ახალხან გამოტყდა გიტარისტი მარკ ტრემონტი, სკოტთან დიდი ხნის მეგობრობას ბზარი გაუჩნდა, რამაც კონფლიქტი გამოიწვია.**

„Greed“-მა რვა წელი იარსება, სამი ალბომი გამოუშვა და ეს ალბომები მარტო აშშ-ში 24-მილიონიანი ტირაჟით გაიყიდა. ჯგუფი ასრულებდა ქრისტიანული მოძღვრებით შთაგონებულ სიმღერებს.

მოამზადა
**ქეთევან ზეგიაშვილმა.**

## ორშაბათი 19 ივლისი

**07.30** ალიონი **09.45** მულტსერიალი "სიმბა-ფეხბურთელი" **10.10** სერიალი **"ოჯახური ურთიერთობანი" 12.00, 15.00, 20.00, 23.00** მოამბე **12.15** ტელესერიალი **"სოლედადი" 13.00** ნაშუადღევს **14.00** მოამბე ოსურ ენაზე **14.15** დოკ. სერიალი "მსოფლიოს ქალაქები" **15.20** სერიალი **"რვაფეხა-6" 16.00** მოამბე ინგლისურ ენაზე **16.05** სერიალის გაგრძელება **16.25** დოკ. ფილმი "ვაცლავ ნიჟინსკი" **17.30** მულტსერიალი "სიმბა-ფეხბურთელი" **18.00** ვესტნიკი **18.20** სერიალი **"ხუმრობა იქით იყოს" 18.45** დოკ. ფილმი "ყველანი ორბიტაზე" **19.00** "იმღერე რამე" **19.40** ბასტი-ბუბუ **21.05** სერიალი **"სოლედადი" 22.00** ღამის მატარებელი **00.00** ვიდეოფილმი "საქართველო მე-20 საუკუნე" **00.20** მხ. ფილმი **"უსაფრთხოების ზომები"** (15)

**19.00** მულტფილმი "ბელფეგორი" **19.30** სერიალი **"ეშმაკუნა"** (ბ) **21.00** დოკ. ფილმი "მითიური მხედრები" **21.30** მოგზაურობა სასიტყვეთში **22.00** მხ. ფილმი **"იასამნისფერი ტაქსი"** (15)

**07.30** დილა მშვიდობისა **08.00** "ტელელიპუტები" **09.40** სერიალი **"შურისძიება" 11.00** ღამის შოუ დ. გოგიჩაიშვილთან ერთად **12.00, 15.00, 18.00, 21.00, 02.05** კურიერი **12.20** დისკავერი **13.20** მხ. ფილმი **"ნაზი სიყვარული"** (ბ) **15.25** სერიალი **"სასწრაფო" 16.30** სერიალი **"მაშველები" 17.25** პერეკროსტოკი **18.20** "ტელელიპუტები" **18.55** "დისკავერი" **19.45** სერიალი **"შურისძიება" 22.00** სერიალი **"უკვდავი" 23.00** სერიალი **"სოპრანოს კლანი". 00.00** მხ. ფილმი **"ჩალის ძაღლები"**. მთ. რ-ში: დასტინ ჰოფმანი, სუზენ ჯორჯი (**18**).

**18.00** მინისერიალი **"ბარონი" 1**-ლი ს. **19.50** დოკ. ფილმი **20.50** კონცერტი **22.40** მხ. ფილმი **"შეიცან თავი შენი" 1**-ლი ს. (15)

**07.00, 12.00, 13.00, 14.00, 15.00** ქრონიკა **07.15, 11.20, 16.40, 17.20, 02.10** იმედის მელოდიები **08.30** ანიმაც. ფილმი "შავი მეკობრე" **09.10** სერიალი **"რელიკვიების მაძიებელი" 10.00** დროება **11.25, 01.40 ტვ-**მარკეტი **12.10** სერიალი **"კლონი" 13.15** სერიალი **"შერლოკ ჰოლმსის თავგადასავალი" 15.15** ქალთა ეროვნული საკალათბურთო ასოციაცია **17.00, 18.00, 19.00, 21.25, 22.00, 01.20** ქრონიკა **17.25** ანიმაციური ფილმი "შავი მეკობრე" **18.05** სერიალი **"ტყუპები" 19.35** სერიალი **"კლონი" 20.30** სერიალი **"შერლოკ ჰოლმსის თავგადასავალი" 21.30** "ვაკაჭი-ნიუსი" **23.00** სპ. პროგრამა "გოლი" **23.30** მხ. ფილმი **"დიდი კაიფი"** (ე. ბირკინი) (**15**)

**09.00** მზერა დღის ბოლოს **10.00** სერიალი **"ველური მთვარე" 11.10, 20.50** მინისერიალი **"ოდისევსი" 12.00, 15.00, 18.00, 20.00** საინფ. გამოშვება "მზერა" **12.10, 21.45** დეტ. სერიალი **"კონან დოილის ქრონიკები" 13.10** მხ. ფილმი **"მთიელი"** (ბ) (კრისტოფერ ლამბერტი) **15.10** სერიალი **"მარია ემილია" 16.10** სერიალი **"არაბული ღამეები" 17.10** მულტსერიალი "რედვოლი" **17.35** მულტსერიალი "კეროტის თავგადასავალი" **18.10** მულტსერიალი "მეხანძრე ძაღლები" **18.35** დოკ. სერიალი "ტაიმსლოტი" **19.00** სერიალი **"ველური მთვარე" 22.45** "მზერა დღის ბოლოს" **00.00** მხ. ფილმი **"გრაფი მონტე კრისტო"** (ბ) (დეპარდიე)

**12.00** ინდ. მხ. ფილმი **15.00** მხ. ფილმი **17.00, 19.00, 20.30, 00.00** საინფორმაციო პროგრამა "დღეს" **17.15** მუსიკა **18.00** სერიალი **"მილედი" 15-16** ს. **19.20, 21.00** სპექტრი **22.30** "საქმე და ეკონომიკა"

**07.20** პოპ. ად. ათეული **08.00** ტოროლა **11.00** ქართული მუსიკა **13.00** ინფორმატორი **13.30** პროფათეული **14.10** მუსიკა **16.00** მუსიკა **17.00, 19.15** მუსიკა **19.00, 20.00, 21.00, 22.00** ინფორმატორი **19.30, 20.15** ვიდეორადიო **21.15** მუსათეული **22.35** პაპარაცი **23.00** პოპ. ად. ათეული **02.00** "ბრავო" **03.00** პაუზის გარეშე

**10.00** მულტფილმი **12.00** მხ. ფილმი **"შესანიშნავი"** (ბელმონდო) (**ბ**) **14.00** მუსიკა **15.00** მხ. ფილმი **"უკანასკნელი მოჰიკანი"** (დენიელ დეი-ლუისი) (**ბ**) **17.00** საბ. ფილმი **19.00** სერიალი **"მუსკულები"** (გან.) **20.00** მხ. ფილმი **"ძარცვა"** (ჯინ ჰეკმანი) (**15**) **22.00** სერიალი **"მუსკულები" 22.20** ნიკა ქავთარაძის ანეგდოტები **22.30** შიშველი სიმართლე **22.40** ი. სალინაძის "კენო" **23.00** დებატები **00.00** მხ. ფილმი **"სუპერპოლიციელები"** (15)

**08.30, 02.20** საინფორმაციო დაიჯესტი **08.50** მუსიკა **09.00** მულტფილმი "ჯუნგლების წიგნი-2" **10.10** დოკუმენტური ფილმი **11.00** სათავგადასავლო ფილმი **"ჰაერის მეფე" 12.30, 16.30, 20.30, 22.30** საინფორმაციო გამოშვება **12.45** კომედია **"ცხრა იარდი" 14.20** მუსიკა **14.30** ისტორიული ფილმი **"ელისაბედი" 16.45** მულტფილმი **18.30** საინფორმაციო გამოშვება "ნოვოსტი" **19.00** სერიალი **"კონკიაზე ნადირობა"** მე-**6** სერია **19.50** დოკუმენტური ფილმი **21.00** თრილერი **"ვასაბი" 23.00** მხ.ფილმი **"ნავი" 02.40** ისტორიული ფილმი **"ნეფერტიტი მზის ქალიშვილი" 04.15** მუსიკა **04.20** ფილმი-ფანტასტიკა **"გატაკა"**

## სამშაბათი 20 ივლისი

**07.30** ალიონი **09.45** მულტსერიალი "სიმბა-ფეხბურთელი" **10.10** სერიალი **"ოჯახური ურთიერთობანი" 12.00, 15.00, 20.00, 23.00** მოამბე **12.15** ტელესერიალი **"სოლედადი" 13.00** ნაშუადღევს **14.00** მოამბე ოსურ ენაზე **14.05** ლერერის შოუ **15.20** სერიალი **"რვაფეხა-6" 16.00** მოამბე ინგლისურ ენაზე **16.10** სერიალის გაგრძელება **16.30** დოკ. ფილმი "ექსცენტრიკოსები" **17.00** მულტსერიალი "სიმბა-ფეხბურთელი" **17.30** "ამბობენ" (განმ.) **18.00** ვესტნიკი **18.20** სერიალი **"ხუმრობა იქით იყოს" 18.45** დოკ. ფილმი "ყველანი ორბიტაზე" **19.00** "იმღერე რამე" **19.40** ბასტი-ბუბუ **21.05 "სოლედადი" 22.00** სერიალი **"ფსიქფაქტორი"** (12) **22.25** "მუსიკალური არჩევნები" **00.00** "საქართველო მე-**20** საუკუნე" **00.20** მხ. ფილმი **"სახიფათო პროფესია"** (ბ)

**19.00** მულტფილმი "ბელფეგორი" **19.30** სერიალი **"ეშმაკუნა"**(ბ) **21.00** "პალიტრა" **21.30** ისტორიანი **22.00** მხ. ფილმი **"როგორ მოვიშოროთ მეზობლის ძაღლი"** (ბ)

**07.30** დილა მშვიდობისა **08.00** "ტელელიპუტები" **09.40** სერიალი **"შურისძიება" 11.00** სერიალი **"უკვდავი" 12.00, 15.00, 18.00, 21.00, 02.05** კურიერი **12.20** "დისკავერი" **13.20** მხ. ფილმი **"გოგონა და დელფინი"** (ბ) **15.25** სერიალი **"სასწრაფო" 16.30** სერიალი **"ალფი" 17.05** სერიალი **"მაშველები" 18.20** "ტელელიპუტები" **18.55** "დისკავერი" **19.45** სერიალი **"შურისძიება" 22.00** ღამის შოუ დ. გოგიჩაიშვილთან ერთად **23.00** სერიალი **"სოპრანოს კლანი". 00.00** მხ. ფილმი **"გამოუსწორებელი თაღლითები"**. მთ. რ-ში: მაიკლ კეინი, სტივ მარტინი (**18**).

**18.00** მინისერიალი **"ბარონი" 19.35** დოკ. ფილმი **20.35** კონცერტი **22.50** მხ. ფილმი **"შეიცან თავი შენი"** მე-**2**ს. (**15**)

**07.00, 09.00, 10.00, 11.00, 12.00, 13.00, 14.00, 15.00** ქრონიკა **07.15, 11.20, 13.15, 17.20, 01.55** იმედის მელოდიები **08.30** ანიმაც. ფილმი "შავი მეკობრე" **09.10** სერიალი **"რელიკვიების მაძიებელი" 10.10** სერიალი **"ტყუპები" 11.05** "იმედითა შენითა" **11.30** სპ. პროგრამა "გოლი" **12.10** სერიალი **"კლონი" 13.30, 01.25 ტვ-**მარკეტი **14.05** სერიალი **"შერლოკ ჰოლმსის თავგადასავალი" 15.15** მხ. ფილმი **"დიდი კაიფი"** (**ბ**) **17.00, 18.00, 19.00, 21.25, 22.00, 01.05** ქრონიკა **17.25** ანიმაციური ფილმი "შავი მეკობრე" **18.05** სერიალი **"ტყუპები" 19.35** სერიალი **"კლონი" 20.30** სერიალი **"შერლოკ ჰოლმსის თავგადასავალი" 21.30** ლარის მახე **23.00** "ერთხელ ჰოლივუდში" **23.30** მხ. ფილმი **"დამკვირვებელი"** (ჯ. სპეიდერი) (**ბ**)

**09.00** მზერა დღის ბოლოს **10.00** სერიალი **"ველური მთვარე" 11.00, 12.00, 13.00, 14.00, 15.00** საინფ. გამოშვება "მზერა" **11.10, 20.50** მინისერიალი **"ოდისევსი" 12.10, 21.45** დეტ. სერიალი **"კონან დოილის ქრონიკები" 13.10** მხ. ფილმი **"იამაკასი"** (**ბ**) (ლუკ ბესონი) **15.10** სერიალი **"მარია ემილია" 16.00, 17.00, 18.00, 20.00** საინფ. გამოშვება "მზერა" **16.10** სერიალი **"არაბული ღამეები" 17.10** მულტსერიალი "რედვოლი" **17.35** მულტსერიალი "კეროტის თავგადასავალი" **18.10** მულტსერიალი "მეხანძრე ძაღლები" **18.35** დოკ. სერიალი "ტაიმსლოტი" **19.00** სერიალი **"ველური მთვარე" 21.45** დეტ. სერიალი **"კონან დოილის ქრონიკები" 22.45** მზერა დღის ბოლოს **00.00** მხ. ფილმი **"გრაფი მონტე კრისტო-2"** (**ბ**)

**13.00** მუსიკა **16.00** "საქმე და ეკონომიკა" **17.00, 19.00, 20.30, 00.00** საინფორმაციო პროგრამა "დღეს" **17.15** სერიალი **"მილედი" 16-17** ს. **19.20, 21.00** სპექტრი **00.30** მუსიკა

**07.20** პოპ. ად. ათეული **08.00** ტოროლა **11.00** ქართული მუსიკა **13.00** ინფორმატორი **13.30** მუსათეული **14.10** მუსიკა **16.00** მუსიკა **17.00, 19.15, 22.35** მუსიკა **19.00, 20.00, 21.00, 22.00** ინფორმატორი **19.30, 20.15** ვიდეორადიო **21.15** მუსათეული **23.00** პოპ. ად. ათეული **02.00** "ბრავო" **03.00** პაუზის გარეშე

**10.00** დებატები **202**-ზე (განმ). **11.30** მულტფილმი **12.00** მხ. ფილმი **"ძარცვა"** (ჯინ ჰეკმანი) (**15**) **14.00** მუსიკა **15.00** მხ. ფილმი **"კომანდოსი"** (ა. შვარცენეგერი) (**12**) **17.00** საბ. ფილმი **19.00** სერიალი **"მუსკულები"** (გან.) **20.00** მხ. ფილმი **"ქსელი"** (ს. ბალოკი) (**12**) **22.00** სერიალი **"მუსკულები" 22.20** ნიკა ქავთარაძის ანეგდოტები **22.30** შიშველი სიმართლე **22.40** ი. სალინაძის "კენო" **23.00** დებატები **00.00** მხ. ფილმი **"ცოფიანი ძაღლები"** (ტიმ როტი) (**18**)

**08.30, 02.50** საინფორმაციო დაიჯესტი **08.50** მუსიკა **09.10** მულტფილმი "ნოტერდამელი კუზიანი" **10.10** დოკუმენტური ფილმი **11.00** სათავგადასავლო ფილმი **"ჰაერის მეფე ბრუნდება" 12.30, 16.30, 20.30, 22.30** საინფორმაციო გამოშვება **12.45** კომედია **"ბედის საჩუქარი" 14,30** მუსიკა **14.40** მხ.ფილმი **"ბაიკერები" 16.45** მულტფილმი "მონსტრების კორპორაცია" **18.15** მუსიკა **18.30** საინფორმაციო გამოშვება "ნოვოსტი" **19.00** სერიალი **"კონკიაზე ნადირობა" 19.50** დოკუმენტური ფილმი **21.00** კომედია **"ჟანდარმი და უცხოპლანეტელი" 22.25, 05.40** მუსიკა **23.00** ისტორიული ფილმი **"ჰამლეტი" 03.20** მხ.ფილმი **"ჰავანა"**

## ოთხშაბათი
### 21 ივლისი

07.30 ალიონი 09.45 მულტსერიალი "სიმბა-ფეხბურთელი" 10.10 სერიალი "**ოჯახური ურთიერთობანი**" 12.00, 15.00, 20.00, 23.00 მოამბე 12.15 ტელესერიალი "**სოლედადი**" 13.00 ნაშუადღევს 14.00 მოამბე ოსურ ენაზე 14.15 დოკ. ფილმი "ცეკვის ბრწყინვალება" 15.20 სერიალი "**რვაფეხა-6**" 16.00 მოამბე ინგლისურ ენაზე 16.05 სერიალის გაგრძელება 16.30 დოკ. ფილმი "ექსცენტრიკოსები" 17.00 მულტსერიალი "სიმბა ფეხბურთელი" 17.30 "მუსიკალური არჩევნები" 18.00 ვესტნიკი 18.20 სერიალი "**ხუმრობა იქით იყოს**" 18.45 დოკ. ფილმი "ყველანი ორბიტაზე" 19.05 "იმღერე რამე" 19.40 ბასტი-ბუბუ 21.05 სერიალი "**სოლედადი**" 22.00 ღამის მატარებელი 00.00 ვიდეოფილმი "საქართველო მე-20 საუკუნე" 00.20 მხ. ფილმი "**რემბო-3**" (15)

19.00 მულტფილმი "ბელფეგორი" 19.30 სერიალი "**ეშმაკუნა**"(გ) 21.00 დოკ. ფილმი "მადმუაზელ მორო" 22.00 მხ. ფილმები "**ვალენტინი**" (გ)

07.30 დილა მშვიდობისა 08.00 "ტელელიპუცები" 09.40 სერიალი "**შურისძიება**" 11.00 ღამის შოუ დ. გოგიჩაიშვილთან ერთად 12.00, 15.00, 18.00, 21.00, 02.00 კურიერი 12.20 "დისკავერი" 13.20 მხ. ფილმი "**კურიერი**"(გ) 15.25 სერიალი "**სასწრაფო**" 16.30 სერიალი "**ალფი**" 17.05 სერიალი "**მაშველები**" 18.20 "ტელელიპუცები" 18.55 "დისკავერი" 19.45 სერიალი "**შურისძიება**" 22.00 სერიალი "**საპარას საიდუმლო**" 23.00 სერიალი "**სოპრანოს კლანი**". 00.00 მხ. ფილმი "**ჰამლეტი**". მთ. რ-ში: მელ გიბსონი, გლენ ქლოუზი (18).

18.00 მინისერიალი "**ბარონი**" 19.35 დოკ. ფილმი 20.40 კონცერტი 22.30 მხ. ფილმი "**უსირცხვილო**" (15)

07.00, 09.00, 10.00, 11.00, 12.00, 13.00, 14.00, 15.00, 16.00 ქრონიკა 07.15, 13.15, 17.20, 01.50 იმედის მელოდიები 08.30 ანიმაც. ფილმი "შავი მეკობრე" 09.10 სერიალი "**რელიკვიების მაძიებელი**" 10.10 სერიალი "**ტყუპები**" 11.05 "ჩ-კლუზივი" 12.10 სერიალი "**კლონი**" 13.25, 01.20 ტვ-მარკეტი 14.05 სერიალი "**შერლოკ ჰოლმსის თავგადასავალი**" 15.15 მხ. ფილმი "**დამკვირვებელი**" (გ) 17.00, 19.00, 21.25, 22.00, 01.00 ქრონიკა 17.25 ანიმაციური ფილმი "შავი მეკობრე" 18.05 სერიალი "**ტყუპები**" 19.35 სერიალი "**კლონი**" 20.30 სერიალი "**შერლოკ ჰოლმსის თავგადასავალი**" 21.30 "პირველი ნახევარი" 23.00 არტ-ბულვარი 23.30 მხ. ფილმი "**სამი ალვის ხე პლიუშჩიხაზე**" (ტ. დორონინა) (გ)

09.00 მზერა დღის ბოლოს 10.00 სერიალი "**ველური მთვარე**" 11.00, 12.00, 13.00, 14.00, 15.00 საინფ. გამოშვება "მზერა" 11.10, 20.50 მინისერიალი "**ოდისევსი**" 12.10, 21.45 დეტ. სერიალი "**კონან დოილის ქრონიკები**" 13.10 მხ. ფილმი "**გაიქეცი რონი გაიქეცი**" (გ) (დევიდ როსი) 15.10 სერიალი "**მარია ემილია**" 16.00, 17.00, 18.00, 20.00 საინფ. გამოშვება "მზერა" 16.10 სერიალი "**ალისა საოცრებათა ქვეყანაში**" 17.10 მულტსერიალი "რედვოლი" 17.35 მულტსერიალი "კეროტის თავგადასავალი" 18.10 მულტსერიალი "მეხანძრე ძაღლები" 18.35 დოკ. სერიალი "ტაიმსლოტი" 19.00 სერიალი "**ველური მთვარე**" 22.45 მზერა დღის ბოლოს 00.00 მხ. ფილმი "**გრაფი მონტე კრისტო-3**" (გ)

13.00 მუსიკა 17.00, 19.00, 20.30, 00.00 საინფორმაციო პროგრამა "დღეს" 17.15 სერიალი "**მილედი**" 17-18 ს. 19.20, 21.00 სპექტრი 00.30 მუსიკა

07.20 პოპ. ად. ათეული 08.00 ტოროლა 11.00 ქართული მუსიკა 13.00 ინფორმატორი 13.30 მუსათეული 14.10 მუსიკა 16.00 მუსიკა 17.00, 19.15 მუსიკა 19.00, 20.00, 21.00, 22.00 ინფორმატორი 19.30, 20.15 ვიდეორადიო 21.15 ქართ. მუსათეული 22.35 პაპარაცი 23.00 პოპ. ად. ათეული 02.00 "ბრავო" 03.00 პაუზის გარეშე

10.00 მულტფილმი 12.00 მხ. ფილმი "**ქალი**" (სანდრა ბალოკი) (12) 14.00 მუსიკა 15.00 მხ. ფილმი "**ოქროს ბავშვი**" (ედი მერფი) (გ) 17.00 მულტფილმი 19.00 სერიალი "**მუსკულები**" (გან.) 20.00 მხ. ფილმი "**პატრიოტთა თამაშები**" (ჰარისონ ფორდი) (15) 22.00 სერიალი "**მუსკულები**" 22.20 ნიკა ქავთარაძის ანეგდოტები 22.30 შიშველი სიმართლე 22.40 ი. საღინაძის "კენო" 22.45 დებატები 202-ზე 00.00 მხ. ფილმი "**ფართოდ დახუჭული თვალები**" (ნ. კიდმანი) (18)

08.30, 01.00 საინფორმაციო დაიჯესტი 08.50 მუსიკა 09.00 მულტფილმი "ოლივერი და კომპანია" 10.15 დოკუმენტური ფილმი "ბარსელონა" 10.40 სათავგადასავლო ფილმი "**ფათერაკების მაყიებელნი**" 12.30, 16.30, 20.30, 22.30 საინფორმაციო გამოშვება 12.45 კომედია "**როკის სკოლა**" 14.35 მუსიკა 14.45 თრილერი "**ციხე**" 16.45 მულტფილმი "შრეკი" 18.15 მუსიკა 18.30 საინფორმაციო გამოშვება "ნოვოსტი" 19.00 სერიალი "**კონკიაზე ნადირობა**" 19.50 დოკუმენტური ფილმი 21.00 კომედია "**მედალიონი**" 23.00 მხ.ფილმი "**მზის ცრემლები**" 01.20 თრილერი "**უძილობა**" 03.20 მუსიკა 03.50 მხ.ფილმი "**ღმერთების შური**"

## ხუთშაბათი
### 22 ივლისი

07.30 ალიონი 09.45 მულტსერიალი "სიმბა ფეხბურთელი" 10.10 სერიალი "**ოჯახური ურთიერთობანი**" 12.00, 15.00, 20.00, 23.00 მოამბე 12.15 ტელესერიალი "**სოლედადი**" 13.00 ნაშუადღევს 14.00 მოამბე ოსურ ენაზე 14.15 დოკ. ფილმი "ჟან ლიუკ პონტი" 15.20 სერიალი "**რვაფეხა-6**" 16.00 მოამბე ინგლისურ ენაზე 16.05 სერიალის გაგრძელება 16.15 დოკ. ფილმი "კეთილშობილი ბაზიერი" 17.10 მულტსერიალი "სიმბა ფეხბურთელი" 17.35 ჩემი მშვენიერი ლედი 18.00 ვესტნიკი 18.20 სერიალი "**ხუმრობა იქით იყოს**" 18.45 დოკ. სერიალი "ჩემი სახლი" 19.00 "იმღერე რამე" 19.40 ბასტი-ბუბუ 21.05 სერიალი "**სოლედადი**" 22.00 სერიალი "**ფსიქფაქტორი**" (12) 22.25 "მუსიკალური არჩევნები" 00.00 ვიდეოფილმი "საქართველო მე-20 საუკუნე" 00.20 მხ. ფილმი "**ინსპექტორი ლავარდენი**" (12)

19.00 მულტფილმი "პაპირუსის თავგადასავალი" 19.30 სერიალი "**ეშმაკუნა**" (გ) 21.00 დოკ. ფილმი "პალიტრა" 21.30 ჩემი მშვენიერი ლედი 22.00 მხ. ფილმი "**რემბო-2**" (15)

07.30 დილა მშვიდობისა 08.00 "ტელელიპუცები" 09.40 სერიალი "**შურისძიება**" 11.00 სერიალი "**საპარის საიდუმლო**" 12.00, 15.00, 18.00, 21.00, 01.55 კურიერი 12.20 "დისკავერი" 13.20 მხ. ფილმი "**მაიმუნის ძვალი**" (გ) 15.25 სერიალი "**სასწრაფო**" 16.30 სერიალი "**ალფი**" 17.05 სერიალი "**მაშველები**" 18.20 "ტელელიპუცები" 18.55 "დისკავერი" 19.45 სერიალი "**შურისძიება**" 22.00 სერიალი "**საპარას საიდუმლო**" 23.00 სერიალი "**სოპრანოს კლანი**". 00.00 მხ. ფილმი "**დაკარგულები**". მთ. რ-ში: სკარლეტ იოჰანსონი, ბილ მიურეი (18)

18.00 მინისერიალი "**ბარონი**" 19.35 დოკ. ფილმი 20.40 კონცერტი 21.55 მხ. ფილმი "**კუზიანი**" (15)

07.00, 09.00, 10.00, 11.00, 12.00, 13.00, 14.00 ქრონიკა 07.15, 11.05, 13.15, 16.50, 17.20, 01.35 იმედის მელოდიები 08.30 ანიმაციური ფილმი "შავი მეკობრე" 09.10 სერიალი "**რელიკვიების მაძიებელი**" 10.10 სერიალი "**ტყუპები**" 11.30 არტ-ბულვარი 12.10 სერიალი "**კლონი**" 13.25, 01.05 ტვ-მარკეტი 14.05 სერიალი "**შერლოკ ჰოლმსის თავგადასავალი**" 15.00, 16.00, 17.00, 18.00, 19.00, 21.25, 22.00, 00.45 ქრონიკა 15.15 მხ. ფილმი "**სამი ალვის ხე პლიუშჩიხაზე**" 17.25 ანიმაციური ფილმი "შავი მეკობრე" 18.05 სერიალი "**ტყუპები**" 19.35 სერიალი "**კლონი**" 20.30 სერიალი "**შერლოკ ჰოლმსის თავგადასავალი**" 21.30 საქმე № 23.00 მხ. ფილმი "**კონტაქტი**" (რეჟ. მ. პაო, მ. იეო) (გ)

09.00 მზერა დღის ბოლოს 10.00 სერიალი "**ველური მთვარე**" 11.00, 12.00, 13.00, 14.00, 15.00 საინფ. გამოშვება "მზერა" 11.10 მინისერიალი "**ოდისევსი**" 12.10, 21.45 დეტ. სერიალი "**კონან დოილის ქრონიკები**" 13.10 მხ. ფილმი "**ჰოლივუდის პოლიციელები**" (ჰარი-სონ ფორდი) (გ) 15.10 სერიალი "**მარია ემილია**" 16.00, 17.00, 18.00, 20.00 საინფ. გამოშვება "მზერა" 16.10 სერიალი "**ალისა საოცრებათა ქვეყანაში**" 17.10 მულტსერიალი "რედვოლი" 17.35 მულტსერიალი "მეხანძრე ძაღლები" 18.10 დოკ. სერიალი "ტაიმსლოტი" 19.00 სერიალი "**ველური მთვარე**" 20.50 მინისერიალი "**ფანი კემბელის ამბავი**" 22.45 მზერა დღის ბოლოს 00.00 მხ. ფილმი "**გრაფი მონტე კრისტო-4**" (გ)

13.00 მუსიკა 17.00, 19.00, 20.30, 00.00 საინფორმაციო პროგრამა "დღეს" 17.15 სერიალი "**მილედი**" 18-19 ს. 19.20, 21.00 სპექტრი 00.30 მუსიკა

07.20 პოპ. ად. ათეული 08.00 ტოროლა 11.00 ქართული მუსიკა 13.00 ინფორმატორი 13.30 მუსათეული 14.10 მუსიკა 16.00 მუსიკა 17.00, 19.15 მუსიკა 19.00, 20.00, 21.00, 22.00 ინფორმატორი 19.30, 20.15 ვიდეორადიო 21.15 მუსათეული 22.35 მუსიკა 23.00 პოპ. ად. ათეული 02.00 "ბრავო" 03.00 პაუზის გარეშე

10.00 დებატები 202-ზე 11.30 მულტფილმი 12.00 მხ. ფილმი "**პატრიოტთა თამაშები**" (15) 14.00 მუსიკა 15.00 მხ. ფილმი "**მოგზაურობა ამერიკაში**" (ედი მერფი) (გ) 17.00 მულტფილმი 19.00 სერიალი "**მუსკულები**" (გან.) 20.00 მხ. ფილმი "**მართალი ტყუილი**" (ა. შვარცენეგერი) (15) 22.00 სერიალი "**მუსკულები**" 22.20 ნიკა ქავთარაძის ანეგდოტები 22.30 შიშველი სიმართლე 22.40 ი. საღინაძის "კენო" 22.45 ანიმ. ფილმი "დარდუბალა 2" 23.00 დებატები 00.00 მხ. ფილმი "**ჯეკი ბრაუნი**" (რ. დე ნირო) (18)

08.30, 01.05 საინფორმაციო დაიჯესტი 08.50 მუსიკა 09.00 დოკუმენტური ფილმი 09.55 მულტფილმი "პრინცესა გედი" 11.05 სათავგადასავლო ფილმი "**ფესალიელი გოლიათი**" 12.30, 16.30, 20.30, 22.30 საინფორმაციო გამოშვება 12.45 კომედია "**ძლიერი ქარი**" 14.15 მუსიკა 14.30 მხ.ფილმი "**კერკეტი კაკალი-3**" 16.45 მულტფილმი "მეფე ლომი" 18.15 მუსიკა 18.30 საინფორმაციო გამოშვება "ნოვოსტი" 19.00 სერიალი "**კონკიაზე ნადირობა**" 19.45 დოკუმენტური ფილმი 21.00 კომედია "**ტაქსი-2**" 22.25 მუსიკა 23.00 "ექსკლუზივი" 23.40 თრილერი "**დედოფლის სიკვდილი**" 01.25 ფილმი "**სირანო დე ბერჟერაკი**" 03.45, 05.50 მუსიკა 04.00 კომედია "**ჰარლემის ღამეები**"

**ტესტი**

# ყველაფერს სულ რაღაც 60 წამში შევიტყობთ

**როცა გვეკითხებიან, „როგორ გრძნობთ თავს?", როგორც წესი, ჩვენ ვუპასუხებთ ხოლმე: „ნორმალურად". მაგრამ, მართლაც ასეა საქმე? გადახედეთ ჩვენს ტესტს და გაეცით პასუხი რამდენიმე მარტივ კითხვას, რათა შეიტყოთ, თუ როგორ მდგომარეობაშია თქვენი იმუნიტეტი.**



**1. ყოველ დილით, როცა იღვიძებთ, როგორ გრძნობთ თავს:**

ა) საკმაოდ მხნედ, ჯან-ღონით და ენერგიით სავსე ხვდებით ახალი დღის დაწყებას – 2 ქულა.

ბ) ოდნავ მოდუნებული ხართ, საკმაო ხანი გჭირდებათ იმისთვის, რომ აუწყოთ ფეხი სამუშაო რიტმს – 1 ქულა.

დ) კარგა ხანი გჭირდებათ იმისთვის, რომ ლოგინიდან წამოდგეთ, მთელი დღის განმავლობაში კი ისე გრძნობთ თავს, თითქოს საცაა ჩაგეძინებათ – 0 ქულა.

**2. ხშირად თუ დადიხართ ექიმთან, და რა შემთხვევაში ხდება ეს?**

ა) წელიწადში რამდენჯერმე პროფილაქტიკური გამოკვლევის მიზნით – 2 ქულა.

ბ) მხოლოდ მაშინ, როცა ავად გახდებით – 1 ქულა.

გ) ყოველთვიურად, საჭირო წამლების გამოსაწერად ან ბიულეტენის გასახსნელად – 0 ქულა.

**3. რას აკეთებთ იმუნიტეტის განმტკიცებისათვის?**

ა) იღებთ სხვადასხვა ვიტამინებს, ცდილობთ სხეულის გაკაჟებას – 2 ქულა.

ბ) სარგებლობთ ტრადიციული ხალხური საშუალებებით – ლიმონის წვენი, ნიორი და ა. შ. – 1 ქულა.

გ) არაფერს არ აკეთებთ, რადგან მიგაჩნიათ, რომ პროფილაქტიკა არაეფექტიანია – 0 ქულა.

**4. ხშირად ცივდებით?**

ა) წელიწადში მხოლოდ ერთხელ, ისიც ეპიდემიის დროს – 2 ქულა.

ბ) წელიწადში რამდენჯერმე, ძირითადად – ზამთარში – 1 ქულა.

გ) პრაქტიკულად ყოველ თვეს – 0 ქულა.

**5. მისდევთ თუ არა სპორტის რომელიმე სახეობას?**

ა) რეგულარულად დადიხართ სავარჯიშოდ – 2 ქულა.

ბ) მხოლოდ მაშინ, როცა თავისუფალი დრო გაქვთ – 1 ქულა.

გ) საერთოდ არ მისდევთ სპორტს – 0 ქულა.

**6. თუ გაცივდებით, რამდენ ხანს ავადმყოფობთ?**

ა) ჩვეულებრივ 2-3 დღეს, რის შემდეგაც ორგანიზმი სწრაფად ერევა დაავადებას – 2 ქულა.

ბ) საშუალოდ ერთ კვირას – 1 ქულა;

გ) კვირაზე მეტს, რადგან, როგორც წესი, გარკვეული დროის განმავლობაში გაწუხებთ ხველა და სურდო – 0 ქულა.

**7. მოქმედებს თუ არა თქვენზე ქუჩაში ტემპერატურის მკვეთრი ცვალებადობა?**

პ) პრაქტიკულად არ ახდენს ზემოქმედებას – 2 ქულა.

ბ) ამინდის ცვალებადობა ზოგჯერ შეიძლება გახდეს გაცივების მიზეზი – 1 ქულა.

გ) მაშინათვე ცივდებით, თვით თბილი ტანსაცმელიც კი ვერ გშველით – 0 ქულა.

**8. გეშინიათ თუ არა ორპირი ქარის?**

ა) არ გეშინიათ ფართოდ გაღებული ფანჯრების – 2 ქულა.

ბ) ცდილობთ მხოლოდ ოდნავ შეაღოთ სარკმელი – 1 ქულა.

გ) ცდილობთ კარგად ჩაკეტოთ ფანჯრები და სარკმელი, რათა არ გაცივდეთ – 0 ქულა.

**9. თუ შედის თქვენს კვების რაციონში ვიტამინებით გამდიდრებული საკვები პროდუქტები?**

ა) ვიტამინებით გამდიდრებული პროდუქტი ყოველთვის ამჯობინებთ ჩვეულებრივს – 2 ქულა.

ბ) ზოგჯერ მიირთმევთ მენიუს გამრავალფეროვნების მიზნით – 1 ქულა.

გ) არასდროს არ უყურებთ ეტიკეტს, რადგან ამას მნიშვნელობას არ ანიჭებთ – 0 ქულა.

**10. ხშირად თუ მიირთმევთ ციტრუსებს?**

ა) პრაქტიკულად ყოველდღე – 2 ქულა.

ბ) კვირაში ერთხელ – 1 ქულა.

გ) ძალზე იშვიათად – 0 ქულა.

**ახლა შევაჯამოთ შედეგები:**

**0-6 ქულა:** თქვენი იმუნიტეტის მდგომარეობა არადამაკმაყოფილებელია. ორგანიზმი დაზუსტებულია ხშირი ინფექციური დაავადებებისა და ნაკლებად მოძრავი ცხოვრების წესის გამო. გირჩევთ, სერიოზულად მოჰკიდოთ ხელი საკუთარ თავსა და ჯანმრთელობას. თანაც, სასურველია დაიწყოთ ეს პროფილაქტიკური ღონისძიებების განხორციელებით.

**7-13 ქულა:** თქვენი იმუნიტეტის მდგომარეობა შეიძლება შევაფასოთ როგორც დამაკმაყოფილებელი, თუმცა მას კარგს ვერ ვუწოდებთ. ცხოვრების ყოველდღიური რიტმი არ გიტოვებს დროს ჯანმრთელობის გაკაჟებაზე ზრუნვისთვის. ეს იწვევს კიდეც ყოველგვარ დაავადებებსა თუ გადაღლილობას. თქვენ ცდილობთ დაიცვათ თავი ინფექციური დაავადებისაგან, მაგრამ ამას ყოველთვის როდი ახერხებთ.

**14-20 ქულა:** თქვენ შესაშური ჯანმრთელობა გაქვთ. ყოველთვის ჩინებულ ფორმაში ხართ, იშვიათად ავადდებით და აქტიური ცხოვრების წესის მიმდევარი ხართ. თქვენი იმუნიტეტი ნორმის ფარგლებშია.

**ამ დღეს დაიბადნენ**

### 19 ივლისი

**გურამ გოგიაშვილი** (1934) – მწერალი, მთარგმნელი, ჟურნალისტი;

**ნიკოლოზ ღოღობერიძე** (1839-1911) – გამომცემელი, ქველმოქმედი;

**ქეთევან არახამია** (1968) – მოჭადრაკე, საერთაშორისო დიდოსტატი.

**ვახტანგ (ბუბა) – კიკაბიძე** (1938) – საქართველოს სახალხო არტისტი.

### 20 ივლისი

**ნიკო სამადაშვილი** (1905-1963) – პოეტი;

**სოფრომ მგალობლიშვილი** (1851-1925) – მწერალი;

**ლევან გაჩეჩილაძე** (1964) – პოლიტიკოსი.

**ნუგზარ ტატიშვილი** (1933-2004) – ექიმი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი.

**ლეილა შელია** (1953) – მხატვარი.

**ნესტორ ხერგიანი** (1975) – სპორტსმენი, ევროპის ჩემპიონი ძიუდოში.

**გიული გეგელია** (1943) – არქიტექტორი.

### 21 ივლისი

**თენგიზ სუხიშვილი** (1938) – ქორეოგრაფი, ქართული ხალხური ცეკვის სახელმწიფო აკადემიური ანსამბლის სამხატვრო ხელმძღვანელი.

**მაქსიმ შარაძე** (1859-1908) – ქველმოქმედი, მთარგმნელი, ლოტბარი, გამომცემელი, ნოტების პირველმბეჭდავი ქართულად.

### 22 ივლისი

**ელგუჯა ამაშუკელი** (1928-2001) – მოქანდაკე;

**თამარ გაბარაშვილი** (1937) – მუსიკოსი, საქართველოს სახალხო არტისტი.

**დავით მახარობლიშვილი** (1948) – არქიტექტორი.

### 23 ივლისი

**მარიამ ჯამბაკურ-ორბელიანი** (1852-1941) – საზოგადო მოღვაწე, თსუ-ს დაფუძნების დიდი მომავგე.

**თეიმურაზ ანდრონიკაშვილი** (1928)– ინჟინერ-ტექნოლოგი, აკადემიკოსი.

**ნატო ონიანი** (1961) – ჟურნალისტი.

**გივი თარგამაძე** (1968) – პოლიტიკოსი.

## ალბომი

# ყველას რაიმე აქვს სახსოვარი



ზუგდიდი, 1951 წლის სკოლადამთავრებულების შეხვედრა. 1983 წლის 22 ოქტომბერი.

მოგვაწოდა რევაზ ბერულავამ.

## ციტაც გავიღიმოთ...



— ძვირფასო, როდესაც დავქორწინდებით, სამი შვილი გვეყოლება.

— საიდან იცი ასე ზუსტად?

— ისინი ამჟამად დედაჩემთან ცხოვრობენ...

* * *

— რამდენი გჭირდება, რომ მანქანის მართვა ისწავლო?

— ასე, შვიდი, რვა...

— თვე?

— არა, ავტომობილი.

* * *

— ამბობენ, ისეთ გოგონაზე დაქორწინებულხარ, როგორზეც, თურმე, არც გიოცნებია.

— მართალია. ნუთუ ფიქრობ, რომ ასეთ ალქაჯზე შემეძლო ოცნება?

* * *

— გაქვთ ცხელ-ცხელი საგზურები? — რეკავენ ექსტრემალური ტურიზმის სააგენტოში.

— კი, ცხელ წერტილებში...

* * *

მიხო სიჩქარის გადაჭარბებისთვის ავტოინსპექტორმა სოლიდური თანხით დააჯარიმა და შევსებული ქვითარიც გადასცა.

— ეს ფურცელი რა ჯანდაბად მინდა! — ხელი აუქნია გაბრაზებულმა მიხომ.

— კარგად შეინახე, როდესაც ათ ასეთ ფურცელს შეაგროვებ, ველოსიპედით დაგასაჩუქრებენ.

## მოდა

# არმანის ტრიუმფი დღემდე გრძელდება

**ვინც მაღალი მოდის ერთ-ერთი კანონმდებლის, უდიდესი კუტიურეს ჯორჯო არმანის შემოქმედებას იცნობს, ალბათ გააოცებს ის ფაქტი, რომ მას დიზაინერობაზე არასოდეს უფიქრია. წარსულში ის აბსოლუტურად განსხვავებულ სფეროში მოღვაწეობდა, თავდაპირველად არმანის მილანის უნივერსიტეტის სამედიცინო ფაკულტეტზე სწავლობდა, უმუშევრობის პერიოდში კი, ფოტოხელოვნებით დაინტერესდა, აფორმებდა მაღაზიების ვიტრინებსაც.**

არმანის საბოლოო პროფესია კი, მისმა და მსოფლიო მოდის სამყაროში მეტად პოპულარული ფიგურის ნინო ჩერუტის შემთხვევითმა ნაცნობობამ განაპირობა, სწორედ ჩერუტიმ აღმოაჩინა მასში მოდელიერის განუმეორებელი ალღო, ნიჭი და თავისთან სამუშაოდ მიიწვია. დასაწყისში არმანი „ჰიტმენის" მოდელებს ქმნიდა, ხოლო დამოუკიდებელი და ამასთანავე, მეტად წარმატებული ჩვენება პირველად, 70-იან წლებში მოაწყო. მაშინ კოლექცია მხოლოდ ქალებისთვის წარმოადგინა და მისი ფოტო, დიდი პატივით, ჟურნალ „ტაიმსის" გარეკანზე გამოქვეყნდა კიდეც. სწორედ აქედან დაიწყო მოდელიერის ფანტასტიკური წინსვლა, რომელიც დღემდე ტრიუმფალურად გრძელდება.







მაღალი მოდის სამყაროში მას მეტად თავდაჯერებულ (ეს ბუნებრივიცაა) და ეგოისტ დიზაინერად მიიჩნევენ. იგი ხშირად ამხელს მოდის სხვადასხვა კანონმდებელს მისი სტილის მიბაძვასა და მითვისებაში.

ჯორჯო არმანის შემოქმედების მთავარი კრედო „მოდელების მინიმალიზმია". აღსანიშნავია ისიც, რომ მან პირველმა შესთავაზა ძლიერი სქესის წარმომადგენლებს მეტად ფაქიზი, ნაზი და ამასთანავე, წარმოიდგინეთ, მამაკაცური სურნელის მქონე, მისივე სახელობის სუნამო — „ჯიო", რომელიც დღემდე ჯენტლმენების აუცილებელ ატრიბუტად რჩება...

არმანის უდიდესი წარმატების ერთ-ერთი საიდუმლო, ალბათ ისიცაა, რომ იგი მკვეთრად გამიჯნულ ქალისა და მამაკაცის მოდელებს ქმნის, ანუ მათში მძაფრად არის ხაზგასმული ქალური და მამაკაცური შტრიხები, ალბათ ამიტომაცაა, რომ ჰოლივუდში გამორჩეულად ქალური და მამაკაცური ვარსკვლავები არმანის მუდმივი თაყვანისმცემლები და მომხმარებლები არიან.

**ლელა დონაძე.**

**სურათებზე: ჯორჯო არმანის მოდელები.**

## „პარნასის" პარასკევობები

# ქართული ვერლიბრის ნაწილი...

**„აი, შეხედეთ, მოდის ისიც.
XX საუკუნის დასასრულის პოეტი.
მას ხელიდან გააგდებინეს ყვავილების თაიგულები და ვარსკვლავები,
ხოლო პირიდან ამოაგლიჯეს
სიყვარული, ერთგულება, მშვენიერება, სილამაზე
და მსგავსი კოხტაპრუწა სიტყვები".**

ამ სტრიქონების ავტორი შოთა იათაშვილია, რომლის წიგნის — **„ფანქარი ცაში"** პრეზენტაცია „პარნასში" გაიმართა. მხატვარი, ოსტატობის კანდიდატი ჭადრაკში, მუსიკოსი, რედაქტორი, სამი ქალიშვილის მამა, პროფესიით მათემატიკოსია.

„თავიდან მიღწევები ჭადრაკში მქონდა, რომ მივხვდი, ჩემგან დიდი მოჭადრაკე არ გამოვიდოდა, თავი დავანებე. მერე უნივერსიტეტში ჩავაბარე. ჩემი კონსტრუქცია უფრო პოეტური ხასიათისაა. პოეზია მუდმივი სივრცეა, რითაც მუდამ დაკავებული ვარ. მოთხრობებს შიგადაშიგ ვწერ. პროზაში იმდენისთვის ვერ მიმიღწევია, რასაც პოეზიაში მივაღწიე. როცა მივხვდები, რომ დიდი პოეტი ვერ გამოვალ, წერასაც თავს დავანებებ" — განაცხადა ავტორმა.

წერა, ოცი წელია, რაც დაიწყო. ამ კრებულში კი თხუთმეტი წლის ნამუშაკევია გაერთიანებული.

წიგნი რვა ნაწილისგან შედგება. ბოლო ორი ნაწილი პირველად დაიბეჭდა.

„შოთა იათაშვილის პოეზია, გარკვეული თვალსაზრისით, შეგვიძლია ქართული ვერლიბრის ნაწილად მოვიაზროთ. ცხადია, ვერლიბრი საქართველოში შემდგომშიც ყოველთვის იარსებებს, მაგრამ დღეს ამ სკოლასთან რომელიმე თანამედროვე პოეტის ხელოვნური მიმაგრება არა მხოლოდ ისტორიის შეთვლა იქნებოდა, არამედ თვით ასეთ პოეტს არცთუ სერიოზული განხილვის საგნად გადააქცევდა. ერთი სიტყვით, ქართულ პოეზიაში, მით უფრო წინამდებარე კრებულის გამოსვლით, უდავოდ გამოიკვეთა ასე საჭირო ახალი ხედვა... — ამბობს წიგნის წინათქმაში პოეტი **დავით ჩიხლაძე.**

**თამუნა წითაძე,
ნინო უჩავა.**



გივი ხუნაშვილი ოჯახთან ერთად სამძიმარს უცხადებს მანანა, თამაზ, ვაჟა ოდიშვილებს დედის
ანა ოდიშვილის
გარდაცვალების გამო.

---

შვილები ფრიდონი, ვალერი, დარეჯანი, ქეთო, რძლები ლონდა, ლამარა, სიძეები კაკო, თამაზი, შვილიშვილები, უახლოესი ნათესავები იუწყებიან, რომ გარდაიცვალა
შოთა (დოროთე) კანკია
პანაშვიდი 18, 19 VII, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ. მე-7 კორპუსი, ბინა 19. დაკრძალვა (წალენჯიხის რ-ნი სოფ. ლია), 24 VII.

---

საქართველოს ტელე-რადიო მაუწყებლობის თანამშრომლები ღრმა სამძიმარს უცხადებენ არჩილ გოგელიას ძმის
კონსტანტინე (კოტე) გოგელიას
გარდაცვალების გამო.

---

მეუღლე დოდო გეგეჭკორი, შვილები ხათუნა, კოტე, სიძე ზურაბ ფოცხვერია, შვილიშვილები დათა, გიო ფოცხვერიები, რძალი მაკა ასათიანი, და ნანული, ძმები გოგი, არჩილი, დისწული მამუკა ჯიჯიეიშვილი, ძმისწულები კახა, გიგი, არჩილი იუწყებიან, რომ გარდიაცვალა
კონსტანტინე (კოტე) გოგელია
პანაშვიდი 18, 19 VII, 17 სთ. ჩიქოვანის 18. გამოსვენება 20 VII, 14. 30 სთ. ვაკის ეკლესიიდან (სტუდქალაქი).

---



შვილები გია კიწმარიშვილი, ნათია ხეცურიანი ოჯახებით, რძალი ნინო ბერეჟიანი, სიძე პაატა ქავთარაძე, მეუღლე, და ლამარა კიწმარიშვილი, დისწულები ლუიზა, მანანა, შვილიშვილები, ახლო ნათესავები ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა
რომან მაკარის ძე
კიწმარიშვილი
პანაშვიდი 18, 19 VII 17 სთ. გამოსვენება 20 VII, 14 სთ. სანაპიროს 2ა.

---

მეუღლე ნუნუ გულუა, შვილები დავით, გიორგი, თეა მამარდაშვილები იუწყებიან, რომ გარდაიცვალა
ვახტანგ ლადიკოს ძე მამარდაშვილი
პანაშვიდი 18, 19 VII 16 სთ. გამოსვენება 20 VII, 15 სთ. ვერცხლის ქ. № 31.

---

შვილები ნინო, ლელა ნადარაიები, ძმა ომარ ნადარაია, სიძეები თემურ სარჩიმელია, გია დანელია, შვილიშვილები თემურ, ანანო სარჩიმელიები, სალომე დანელია, ძმისწულები თამარ, კოტე ნადარაიები, რძალი ნაზი ნადარაია, ცოლისდა ციალა ბრეგვაძე, ქვისლი გივი ბრეგვაძე მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა
იური კონსტანტინეს ძე ნადარაია
პანაშვიდი 20, 21 VII, 16 სთ. დაკრძალვა 22 VII, 15 სთ. თბილისი, ნუცუბიძის ფერდობი, მე-2 მ/რ. I კორპ. ბ. 12.

---

თბილისის სამედიცინო ინსტიტუტ „თბილისის" რექტორატი და პროფესორ-მასწავლებლები თანაუგრძნობენ საზოგადოება „ცოდნის" მთავარ ბუღალტერს ნუნუ გულუას
მეუღლის
გარდაცვალების გამო.

**რედაქცია მადლობას უხდის ყველას, ვინც გაზეთის ეს ნომერი შეიძინა და წაიკითხა!**

საქართველოს რესპუბლიკა
Sakartvelos Respublika
გამომცემელი შპს „ახალი საუკუნე"
იბეჭდება გამომცემლობა „კოლორის" სტამბაში, რკინიგზის ჩიხი, 20.

დამფუძნებლები—გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის" თანამშრომლები
მთავარი რედაქტორი **რუსლან რუსია.**
ნომრის მორიგე რედაქტორი
**ოთარ ხუციშვილი.**

**ინდექსი 66434,** მისამართი: 380008, თბილისი, მ. კოსტავას ქ. №14. ტელ: 99-73-24.
სარეკლამო განყოფილება - ტელ: 93-28-13.
ელექტრონული ფოსტა: sakresp@gol.ge
ვებ გვერდი: www.open.ge/sakartvelos-respublika